

An aerial photograph of a rural landscape during sunset. The foreground shows a vibrant green field with a dirt road and some trees. The middle ground features a large, dark brown plowed field, a small farmstead with several buildings, and more green fields. The background consists of rolling hills and mountains under a warm, orange and yellow sky with soft clouds.

XIX საუკუნის აღწერის დავთრები  
საქართველოს ეთნოისტორიული  
პრობლემების შესახებ

როლანდ თოვჩიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა  
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

**როლანდ თოფჩიშვილი**

**XIX საუკუნის აღწერის დავთრები  
საქართველოს ეთნოისტორიული  
პრობლემების შესახებ**

თბილისი  
2021

*წინამდებარე წიგნში, რომელსაც საფუძვლად უდევს საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული მოსახლეობის აღწერის დაგორები, შესწავლილია საქართველოს ეთნოისტორიული პრობლემები, კერძოდ განხილულია დღემდე უცნობი ეთნიკური, რელიგიური და სოციალური ურთიერთობები, საოჯახო ყოფის საკითხები, ანთროპონიმები.*

რედაქტორები: **სალომე ბახია-ოქრუაშვილი**  
**ნათია ჯალაბაძე**  
**ლავრენტი ჯანიაშვილი**

ISBN: 978-9941-490-52-1

## შესავალი

წინამდებარე წიგნს საფუძვლად უდევს საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივის № 254 ფონდში დაცული მოსახლეობის აღწერის დავთრები, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება დროდადრო ატარებდა. ასეთ აღწერებს კამერალურ აღწერებსა და საოჯახო სიებს უწოდებდნენ. ამ აღწერების დამუშავება 1970-1980-იან წლებში მომიხდა. აღნიშნული საარქივო მონაცემების გადმოწერის თავდაპირველი მიზანი იყო მომეძია მოსახლეობის მიგრაციის ამსახველი მასალები, რომლითაც უნდა შემევესო ის ეთნოგრაფიული მასალები, რომელსაც ველზე მოვიპოვებდი. პირველივე წელს (1973) აღწერის დავთრებიდან იმდენად საინტერესო მონაცემები მოვიპოვე, რომ შემდეგ არქივში მუშაობა ტრადიციად მექცა. ჩემი საკანდიდატო დისერტაციის თემა გახლდა „აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის მიგრაციის კულტურულ-ისტორიული პრობლემები“. მიგრირებულ მთიელთა შთამომავლები კი დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ ერწო-თიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში. ოდესღაც მიგრირებულთა შთამომავლებისაგან ჩაწერილ ეთნოგრაფიულ მასალებს (აღვილი, საიდანაც გადმოსახლდნენ, ადრინდელი გვარი...) უმეტეს შემთხვევაში XIX საუკუნის აღწერის დავთრებიც გვიდასტურებდა. ეთნოგრაფიული და საარქივო მასალების შერწყმა-შეერთების შედეგი იყო ჩემი რამდენიმე ნაშრომი, რომელიც მთის მოსახლეობის მიგრაციას მიეძღვნა<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> რ. თოფჩიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს. (ფშავისა და ხევსურეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), თბ., 1984; რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის (შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგრაციის ეთნოისტორიული საკითხები), თბ., 2002; რ. თოფჩიშვილი. სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა

XIX საუკუნის აღწერის დავთრებმა მნიშვნელოვანი მასალა მოგვცა ქართველთა რელიგიურ-კონფენსიური ჯგუფების შესახებ – ქართველ მუსლიმებზე, ქართველ მონოფიზიტებზე, ქართველ კათოლიკეებზე. ამ პრობლემაზე ცალკეული ნაშრომები გამოვაქვეყნე<sup>1</sup>, მონოგრაფია კი გამოქვეყნებას ელის.

XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებმა მიბიძგა ისეთ თემას შეეჭიდებოდი, როგორცაა საქართველოში ოსთა ჩამოსახლების პრობლემა. ბუნებრივია, როდესაც მეტ-ნაკლებად დავამთავრე თბილისის გუბერნიის თიანეთისა და დუშეთის მაზრების კამერალური აღწერის დავთრების დამუშავება, სურვილი გამიჩნდა გორის მაზრის აღწერის დავთრებსაც გავცნობოდი. 1818, 1830-1831, 1860, 1873 და 1886 წლის აღწერებმა კი პირდაპირ გადაგვიშალა ოსთა შიდა ქართლის მთის სოფლებიდან მთისწინეთსა და ბარში მიგრაცია, გვანგენა ამ მიგრაციის ინტენსიური ხასიათი, მიმართულებას, რის შედეგადაც იყო მონოგრაფიის შექმნა ოსების საქართველოში მიგრაციის შესახებ<sup>2</sup>. ოსთა მიგრაციის პრობლემამ კი, თავის მხრივ, დვალეთისა და დვალეების საკითხთან მიგვიყვანა; ამ შემთხვევაში კი გადამწყვეტი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ 1818 წლის გორის მაზრის ნარას „უჩასტკის“ (დვალეთის) აღწერაში ოსი მამაკაცების თითქმის ნახევარი, ისეთ ქართულ სახელებს ატარებდა, რომლე-

---

(ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია XVII-XIX საუკუნეებში), თბ., 2000.

<sup>1</sup> XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის მასალები საქართველოს ეთნოისტორიისა და სოციალური ეოფის შესახებ. – მნათობი, №12, 1987; P. Топчишвили. Посемейные списки Тифлисской губернии 1886 г., как этнографический источник. – «Советская этнография», №6, 1989; რ. თოფჩიშვილი. ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი გრიგორიანელები. – კრ.: დიდგორი. თბ., 1991.

<sup>2</sup> რ. თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1979.

ბიც ძირითადად დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი სამეგრელოში, იყო გავრცელებული.

XIX საუკუნის აღწერებმა დიდი მასალა მოგვცა ქართული გვარსახელებისა და პიროვნული სახელების შესახებ. ეს მასალები ერთ-ერთი ძირითადი წყარო იქნება ქართული გვარების ისტორიის შესაქმნელად, რის განხორციელებაც მომავლის საქმეა. თუმცა მისი გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნა საქართველოს თავდაზნაურთა გვარების ისტორიის დაწერის დროს<sup>1</sup>. ძირითადად ამ მასალებზე დაყრდნობით ხდებოდა ქართული ეროვნებისა და გვარების აღდგენის მსურველთათვის სამეცნიერო დასკვნების გაცემაც.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივის (მაშინ ასე ერქვა) №254 ფონდიდან ამოწერილი მასალები დროდადრო გვახსენებს თავს – ის სხვა არაერთი პრობლემის დასამუშავებლადაცაა უნიკალური წყარო. ვფიქრობთ ამას მკითხველი წინამდებარე წიგნის გაცნობის შემდეგაც დაინახავს. ესენია: XIX საუკუნეში არსებული ეთნიკური, რელიგიური, სოციალური საკითხები, საოჯახო ყოფა. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ საკითხს ეთნოლოგები მხოლოდ ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე სწავლობდნენ.

P.S. ჩვენს მიერ შესწავლილი აღნიშნული ეთნოისტორიული პრობლემები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ეხება, რადგან არქივში მხოლოდ თბილისის გუბერნიის აღწერის დავთრებია დაცული. დასავლეთ საქართველოს XIX საუკუნის კამერალური აღწერის მასალები, სამწუხაროდ, ჩვენს არქივებში დაცული არაა, მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია გაგვანია. წესით და რიგით ქუთაისის გუბერნიის კამერალური აღწერის

---

<sup>1</sup> რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავდაზნაურთა გვარების ისტორია, თბ., 2011; იხ. აგრეთვე: რ. თოფჩიშვილი. სახელების ეთნოლოგია და ისტორია, თბ., 2010.

დავთრები და 1886 წლის საოჯახო სიები ქუთაისის არქივში უნდა იყოს დაცული. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს მასალები ცარიზმმა, თავის დროზე, ქუთაისიდან ყუბანში გაიტანა და სამოქალაქო ომის დროს განადგურდა, და არა მხოლოდ XIX საუკუნის აღწერის დავთრები და სხვა მასალები, არამედ შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერებიც, რომლებსაც ხსენებული ომის დროს ბაზრებში გასახვევ ქაღალდებად გამოიყენებდნენ. საქართველოში ამ ინფორმაციის მოსვლისთანავე ყუბანში წასულმა სარგის კაკაბაძემ მხოლოდ რაღაც უმნიშვნელო ნაწილს ჩაუსწრო და ისინი დაღუპვას გადაარჩინა.

XIX საუკუნის აღწერის დავთრებს აწერია „კოპიო“. ამ ფაქტმა კი ბუნებრივად გვიბიძგა იმისაკენ, რომ ისინი ორ ცალად დგებოდა, დედანი იგზავნებოდა იმპერიის ცენტრში, ხოლო ასლი აქ რჩებოდა. ასევე უნდა ყოფილიყო ქუთაისის გუბერნიის აღწერის დავთრების მიმართ. ეს აზრი მაშინდელი არქივის სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად გაგვიჩნდა. სავარაუდოდ დედნები საგუბერნიო ხელისუფლებას (თუ მეფისნაცვლის კანცელარიას) პეტერბურგში უნდა გაეგზავნა. როდესაც ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს აკადემიკოს ვიორგი მელიქიშვილს ინფორმაცია მივაწოდე, ლენინგრადში მივლინებამაც არ დააყოვნა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ არქივში ჩვენთვის სასურველ ქუთაისის გუბერნიის აღწერის დავთრებს ვერ მივაკვლიეთ. ეს ფაქტი უფრო მეტად იმიტომაცაა გულდასაწყვეტი, რომ 1886 წლის საოჯახო სიები როდესაც შედგა, მაშინ შემოერთებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული მხარეები ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა. გაირკვა, რომ ლენინგრადის არქივში არის პირველი საიმპერიო აღწერის (1897) მასალები, მაგრამ არა უშუალოდ დედნები, არამედ სტატისტიკური მონაცემები თითოეული სოფლის შესახებ. ადგილის სიმცირის გამო ამ აღწერის დედნები ლენინგრადის არქივში გაუნადგურებიან.

## **თავი I. XIX საუკუნის აღწერის დავთრები დღემდე უცნობი ეთნიკური, რელიგიური და სოციალური ურთიერთობების შესახებ**

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიამ საქართველოში რამდენიმე აღწერა ჩაატარა, რომელიც ძირითადად კამერალურ აღწერად იწოდებოდა. აღწერებს ზოგჯერ საოჯახო სიებსაც უწოდებდნენ (მაგალითად, 1886 წლის აღწერა). აღწერები მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოში მიმდინარე მთელი რიგი პროცესების შესასწავლად, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური შემადგენლობა და ეთნიკური პროცესები, შიდა და გარე მიგრაციული პროცესები, ოჯახების შემადგენლობა, პიროვნული სახელები და გვარსახელები. კამერალური აღწერის დავთრები და საოჯახო სიები თავის დროზე, ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად, საფუძვლად დაედო მთელი რიგი საკითხების შესწავლა. XIX საუკუნის აღწერის დავთრები გვაძლევს საშუალებას თვალი გავადევნოთ ისეთ საკითხებს, რომლებიც საქართველოში მიმდინარეობდა და რომელთა შესახებაც დღემდე არაფერი ვიცით. სამწუხაროდ, ჩვენამამდე მოაღწია მხოლოდ თბილისის გუბერნიის აღწერის დავთრებმა, ქუთაისის გუბერნიის ანალოგიური აღწერის დავთრები ჩვენს არქივებში არაა. ამჯერად მხოლოდ ზოგიერთ მიგრაციულ პროცესს შევ-ეხებით, რომელიც აქამდე ფაქტობრივად უცნობი იყო.

### ***1. სამცხე-ჯავახეთში ქისტების მოსახლეობის შესახებ***

XIX საუკუნეში, სამცხე-ჯავახეთის რუსეთის იმპერიაში შეყვანის შემდეგ, ეთნიკური თვალსაზრისით დიდი ცვლილებები მოხდა – ქართველი მაჰმადიანების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მამა-პაპათა მიწა-წყლიდან აიყარა და ოსმალეთის იმპერიის მიერ კონტროლირებულ



ტერიტორიაზე გადასახლდა. რუსეთის იმპერიამ მაშინვე დაიწყო სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური აჭრელება: აქ დიდი რაოდენობით შემოასახლა სომხური მოსახლეობა და რუსი სექტანტები (დუხობორები). ეს მიგრაციული პროცესები მხოლოდ ერთჯერადი აქტი არ ყოფილა, მუდმივად მიმდინარეობდა დასახელებულ ეთნიკურ ერთეულთა მცირე ჯგუფებად შემოსახლება, ხდებოდა ინდივიდუალური გადმოსახლებანიც, სხვა ეთნიკური ჯგუფების მიგრაციაც, რის შესახებაც ჩვენს მეცნიერებაში ფაქტობრივად არაფერია ცნობილი. მხედველობაში გვაქვს ქისტების მიგრაცია, რომლებიც აქ გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ.

ქისტების ჯგუფი XIX საუკუნის ბოლოს მიგრირებული იყო სამცხე-ჯავახეთში. უფრო რომ დავაზუსტოთ ესენი იყვნენ ხევის სოფელ გველეთიდან გადმოსახლებულ ეთნიკური ინგუშები. ინგუშების აქ გადმოსახლების ფაქტები დაფიქსირებულია 1873 წლის კამერალური აღწერის დავთრებში, რომლებშიც გვიანდელი მინაწერებია სამცხისა და ჯავახეთის რამდენიმე სოფელში მიგრაციისა და შემდეგ აქედან უკვე ჩრდილოეთ კავკასიაში – თერგის ოლქში გადასახლების შესახებ (1873 წლის აღწერა ბოლო კამერალური აღწერა იყო და, როგორც ირკვევა, მომხდარი ცვლილებები მასში მუდმივად შექონდათ. ბოლო მინაწერი 1912 წლით თარიღდება). ქისტები დასახლებულან არა ერთ რომელიმე სოფელსა თუ ნასოფლარში, არამედ გაფანტულან თორმეტი სხვადასხვა სოფელში.

ქისტები განსახლებული იყვნენ შემდეგ სოფლებში: ლეპინის საზოგადოების სოფლებში: *არდახი, ვანი, გურბაგა-ოდლი, ნიალა*, ვალეს საზოგადოების სოფელი *არყის-ციხე*, ურაველის საზოგადოების სოფლები – *ენტელი, ტრიბონი*, იდუმალას საზოგადოების სოფელი *ვარანეთი*, აგრეთვე *რუსთავი*; ახალქალაქის მაზრაში ცხოვრობდნენ *კვარშაში* (იგივე *ყაურმა*), *ფათხანაში*, *წყალობაში*.

ლეპინის სასოფლო-საზოგადოების სოფელ *არდახ-ში/არტახში* ქისტების დასახლება 1890 წელს მომხდარა. ისინი გადმოსახლებულან საქართველოსავე ტერიტორიიდან – დუშეთის მაზრის სოფელ გველეთიდან. გველეთი ხევის სოფელი იყო, რომელშიც ინგუშები ცხოვრობდნენ. ინგუშების/ქისტების დასახლებამდე არდახში „თათრების“ ცხრა კომლი ცხოვრობდა. გადმოსახლებული ქისტები ორი გვარისანი იყვნენ: *დოსხაეები* (ორი კომლი) და *კარიეები* (სამი კომლი), სულ 5 ოჯახი. 1873 წლის აღწერის დავთარში მინაწერია არა მხოლოდ ქისტების აღნიშნულ სოფელში გადმოსახლების შესახებ, არამედ იმის შესახებაც, რომ ისინი გარკვეული ხნის გასვლის შემდეგ, 1897 წელს აქედან აყრილან და ჩრდილოეთ კავკასიაში, თერგის ოლქში გადასულან საცხოვრებლად. დოსხაეები სოფელ პესდახში (?) დასახლებულან, კარიეები – ნაზრანის სიახლოვეს, სოფელ სურხოსში<sup>1</sup>.

ქისტები დასახლებულან ლეპინისავე სასოფლო-საზოგადოების სოფელ *აზვიუნდაში* (1886 წელს ხერთვისის საზოგადოებაში შედიოდა). ამ სოფელში 16 კომლი „თათარი“ ცხოვრობდა. აქაც ქისტები 1890 წელს მიგრირებულან – *კარიეები* (2 ოჯახი) და *დასხიეები* (1 ოჯახი), სულ სამი კომლი<sup>2</sup>.

ლეპინის საზოგადოების სოფელ *ვანშიც* 1890 წელს გადმოსახლებული სამი ოჯახი ქისტი ცხოვრობდა<sup>3</sup>.

ქისტები დაფიქსირებული იყვნენ ლეპინისავე საზოგადოების სოფელ *გურბაგა-ოღლშიც*. სოფელში ათი კომლი „თათარი“ ცხოვრობდა, რომლებსაც 1890 წელს დამატებია გველეთიდან გადმოსახლებული ქისტი *ოზიეების* სამი კომლი. საარქივო დოკუმენტში ისიცაა მითი-

---

<sup>1</sup> სცსსა, ფონდი №254, ანაწერი 3, საქმე №282, გვ. 25-28.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე № 282, გვ. 32-37.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე № 282, გვ. 335.

თებულის, რომ ეს სამი კომლი 1895 წელს ახალციხის მაზრის სოფელ *ბაზარხანაში* გადასულა<sup>1</sup>.

ვალეს სასოფლო-საზოგადოების სოფელი იყო *არყის-ციხე*, რომლის ძირითადი მკვიდრნი სომხები იყვნენ (2 ოჯახი, 1886 წელს ისინი უკვე ოთხ კომლს შეადგენდნენ). 1890 წელს ამ სოფელში გველეთელი ქისტების შვიდი კომლი დასახლებულა. ისინი გვარად *ჩერბიშევები* იყვნენ. არყის-ციხიდან ჩრდილოეთ კავკასიაში, თერგის ოლქში ქისტები 1898 წელს წასულან საცხოვრებლად<sup>2</sup>.

იდუმალას სასოფლო-საზოგადოების სოფელი იყო *დიდი ვარნეთი*. აქ 1873 წელს 27 კომლი „თათარი“ იყო აღრიცხული. ამ სოფლის შესახებაც აღწერის დავთარში გვიანდელი მინაწერია, რომლის მიხედვითაც 1890 წელს აქ გველეთიდან 3 კომლი ქისტი დასახლებულა. სხვათა ანალოგიურად ისინიც თერგის ოლქში გადასახლებულან 1898 წელს<sup>3</sup>.

1873 წელს ურაგელის საზოგადოების სოფელი *ენთელი* ქურთებით იყო დასახლებული (ცხრა კომლი). მაგრამ ამ სოფელშიც ქისტები გადმოსახლებულან, გვარად *გაზახოვები*. 1890 წელს დასახლებულები ჩრდილოეთ კავკასიაში 1896 წელს წასულან<sup>4</sup>. სხვათა შორის, 1886 წლის საოჯახო სიებით, ენთელის მცხოვრებლებად 7 კომლი პოლონელია მითითებული.

1873 წლის კამერალური აღწერის დავთარით ქისტები დასახლებულან სოფელ *ნიალაშიც* (ლეპინის საზოგადოება). სოფლის ძირითადი მკვიდრი 43 კომლი „თათარი“ იყო. აქ ხუთი კომლი ქისტი, გვარად *ოზიევები* სოფელ გველეთიდან 1890 წელს მოსულა. 1896 წელს ქისტები ნიალადან აყრილან და თერგის ოლქის ნაზრანის

---

<sup>1</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე № 282, გვ. 395.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე № 282, გვ. გვ. 198-200.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე № 282, გვ. გვ. 317-318.

<sup>4</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე № 282, გვ. 578-580.

„ოტდელის“ სოფელ *ალტიევსკოეში* გადასულან საცხოვრებლად<sup>1</sup>.

სამცხის სოფელ *რუხთაეში* (ჩეხერეკის საზოგადოება, 1886 წელს ურაველის სასოფლო-საზოგადოებაში შედიოდა) 1873 წელს ოთხი კომლი ქურთი ცხოვრობდა. მათ აქ 1890 წელს ქისტები შემატებიან, რომლებიც გვარად *ოზიევები* (ორი ოჯახი) და *გაზახოვები* (სამი ოჯახი) ყოფილან. 1890 წელს მოსულები თერგის ოლქში 1896 წელს წასულან.

ურაველის სასოფლო-საზოგადოების სოფელ *ტრიბონშიც* დასახლებულან გველეთელი ქისტები. აქ მათ 1890-1896 წლებში უცხოვრიათ, რომელთა შორის *გაზახოვების* ოთხი და *მაჯიევების/გაჯიევების* ერთი ოჯახი იყო<sup>2</sup>

დასახლებულან ქისტები ჩეხერეკის სასოფლო-საზოგადოების სოფელ *წყალთბილაშიც* (1886 წელს სოფელი ვაღეს საზოგადოებაში იყო შეყვანილი). სოფელში მაჰმადიანი ქურთების 6 კომლი იყო აღრიცხული. მათ ქისტი *გაზახოვები* (ორი კომლი) 1890 წელს შემატებიან. ისინი თერგის ოლქში 1896-1897 წლებში წასულან<sup>3</sup>.

სამი ოჯახი ქისტი ცხოვრობდა ახალქალაქის მაზრის სოფელ *კვარშაში* (იგივე *ყაურმა*). აქ ექვსი კომლი „თათარი“ ყოფილა. გველეთიდან 1890 წელს ქისტები გვარად *კოტიკოვები* იყვნენ მოსული. ჩრდილოეთ კავკასიაში მათი ერთი ნაწილი 1896 წელს წასულა, მეორე ნაწილი – 1899 წელს<sup>4</sup>. ჯავახეთის სოფელ *ვათხანაშიც* მიგრირებულან გველეთელი ქისტები. აქ მათი ოთხი ოჯახი ცხოვრობდა, გვარად *კოტიკოვები*<sup>5</sup>.

---

<sup>1</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე № 282, გვ. 578-580.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №283, გვ. 407-408.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №283, გვ. 647.

<sup>4</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №275, გვ. 955.

<sup>5</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №275, გვ. 223

ამრიგად, არდახში, ნიალაში, რუსთავში – 5-5 კომლ ქისტს უცხოვრია, არყის-ციხეში 7 კომლს, დიდ ვარანეთში, ვანში, გურბაგა-ოღლში, კვარშაში – 3-3 კომლს, ენთელში 9 ოჯახი ცხოვრობდა, ფათხანაში – 4 კომლი, წყალობაში – 2 კომლი. ისინი ძირითადად გაფანტული იყვნენ მაჰმადიანი ქართველების სოფლებში. მხოლოდ რუსთავსა და წყალობაში ქურთებთან ერთად ცხოვრობდნენ. ქისტების სამცხე-ჯავახეთის სხვადასხვა სოფელში გადმოსახლება მომხდარა 1890 წელს, ხოლო აქედან თერგის ოლქში მიგრაცია კი განხორციელდა 1896, 1897, 1898, 1900, 1891 წლებში. **სულ სამცხე-ჯავახეთის სხვადასხვა სოფელში 51 ქისტის ოჯახი ყოფილა გადმოსახლებული.**

როდის დასახლდნენ ქისტები ხევის სასახლვრო სოფელ გველეთში გაურკვეველია. *იოანე ბაგრატიონის* მიერ XVIII საუკუნის ბოლოს შედგენილ ქართლ-კახეთის აღწერაში, რომელშიც სოფელი გველეთიცაა შეტანილი ვკითხულობთ: „ქ. გველისთავი თუ გველეთი, მოსახლენი“<sup>1</sup>. ამ ჩანაწერიდან არ ჩანს, რომ გველეთში ქისტები ცხოვრობდნენ. სოფელში რომ სხვა ეთნიკურ ერთობას ეცხოვრა, იოანე ბაგრატიონი აუცილებლად მიუთითებდა. ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ იქვე, ხევში, სადაც ოსები ცხოვრობდნენ, ავტორს სათანადოდ აქვს მითითებული: „ქ. კობი, მოსახლენი ოსნი“. „თრუსოს ხეობა 8 სოფელი მოსახლენი ოსნი“. 1831-1832 წლის საქართველოს სამხედრო გზის ირგვლივ არსებული სოფლების აღწერაში რუსულ ხელისუფლებას სოფელ გველეთში 21 კომლი ქისტი (85 სული) ჰყავს დაფიქსირებული. ესენი იყვნენ: *კარიევები* (5 კომლი), *გაზიკიევები* (6 კომლი), *კოტიევები* და *ოზიევები* (3-3 კომლი), *ხერბილევები* (2 კომლი), *აზიევი* (1 კომლი). რაც ყველაზე საინტერესოა, აღ-

<sup>1</sup> ბაგრატიონი ი. 1986, ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძისა და გურამ ბელოშვილის გამოცემა, თბ., 1986, გვ. 36.

ნიშნულ აღწერაში ქისტების სარწმუნოებად მითითებულია ქრისტიანობა, უფრო სწორედ, „ბერძნულ-ქართული სარწმუნოება“<sup>1</sup>. 1860 წლის აღწერაში გველეთელი ქისტების 40 ოჯახია მითითებული (255 სული). 1873 წლის კამერალური აღწერით კი გველეთში 43 კომლი ქისტი ცხოვრობდა (291 სული). გვარები ამ აღწერაში შემდეგი დაფიქსირებული: *დოსხოვეი, კარიევი, ჩარუბაშევი, ოხიევი, გაზახოვი, კოტუკოვი*.

რატომ გადასახლდნენ ქისტები ხევის სოფელ გველეთიდან სამცხე-ჯავახეთის სხვადასხვა სოფელში? ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, ან რა იყო შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში – თერგის ოლქში – გადასახლების მიზეზი? გასარკვევია, ეს იყო ხელისუფლების მიერ ორგანიზებული მიგრაცია, თუ ის თავად ინგუშების გადაწყვეტილება. მიგრირებული ქისტების სხვადასხვა სოფელში დასახლება გვაფიქრებინებს, რომ ეს იყო ხელისუფლების მიერ მართული მიგრაცია. რუსეთის ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდა ოსმალეთის საზღვართან ახლოს ეთნიკური ქისტების დასახლება. ბუნებრივია, გადმოსახლებული ქისტების სურვილი იქნებოდა, ისინი ერთ სოფელში დასახლდებოდნენ და არ გაფანტულიყვნენ სხვადასხვა სოფელში, თანაც ერთ გვარის წარმომადგენლები. ხომ არ სურდა მეფის რუსეთის ხელისუფლებას რაიმე მიზნით აქ ქისტების გამოყენება? ხომ არ მიემართებოდნენ ქისტები ოსმალეთის იმპერიაში და გზად მიმავალნი გაიფანტნენ სამცხე-ჯავახეთის სხვადასხვა სოფელში? ყოველ შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

ამ თვალსაზრისით იქნებ ინტერესმოკლებული არ იყოს ის ფაქტი, რომ 1831 წელს გველეთელი ქისტების ოჯახი საშუალოდ 4,04 სულისაგან შედგებოდა, ხოლო

---

<sup>1</sup> სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე № 1245, გვ. 3-7.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, №229, გვ. 156-173.

1860 წელს ამ მაჩვენებელმა 6,4-ს მიაღწია. აღნიშნული აღწერით, გველეთში სულ 40 კომლი ქისტები ცხოვრობდა, რომელთაგანაც 11 კომლი კაზახოვები იყვნენ, კარიევიები და ოზიევიები – 8-8 კომლი, კოტიკოვი – 6 კომლი, ჩერბიშევი – 3 კომლი, დოსხოევი და კერიევი – თითო კომლი<sup>1</sup>. ხევში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით, ქისტების გველეთიდან სამცხეში გადასახლების მიზეზი მათი ქურდობა იყო: „გველეთში ქისტები ცხოვრობდნენ 60 კომლი და როგორც ამბობდნენ, გიორგი ყაზბეგს გაუსახლება, იმის გამო, რომ ქურდობდნენ. გაუსახლება ახალციხეში და იქიდან გამოქცეულან ქისტეთში. ბესულთანოვები არ გაუსახლება მარტო, ერთი კომლი. ის არ ქურდობდა თურმე“ (მთხრობელი ივანე მიხეილის ძე წიკლაური, 89 წლის, სოფელი ცლო, 1990 წელი). იყო თუ არა გველეთელების ხევიდან აყრის მიზეზი ქურდობა? ვფიქრობთ, რომ, არა. მიგვაჩნია, რომ ქურდობაც მიწის უკმარისობით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ის მხოლოდ საბაბი უნდა ყოფილიყო. ხელისუფლებას ქისტების ახალციხის მაზრაში ჩასახლებით მხოლოდ ერთადერთი სურვილი ჰქონდა: დაეახლოებინათ ისინი მაჰმადიანურ-თურქული გარემოსათვის. იქნებ მათ აქ უკეთესად ებრძნოთ თავი და სხვა თანამემამულეებიც გაეყოლებინათ თან.

ქისტებთან დაკავშირებით 1873 წლის კამერალურ აღწერაში საინტერესო ფაქტია დაფიქსირებული. სამეცნიერო ლიტერატურაში პანკისელი ქისტების შესახებ მითითებულია, რომ ისინი აქ XIX საუკუნის 40-იან წლებში გადმოსახლდნენ. XIX საუკუნის მოღვაწე მ. მაჩაბელი ქისტების პანკისში გადმოსახლებას ვორონცოვის მმართველობის წლებით ათარიღებდა: «кисти или кистины... переселились из Маистского общества при Наместнике кн. Воронцова (1844-1854 гг. ) и образовали три селения: Джоколо,

<sup>1</sup> სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე №235, გვ. 80-89.

Дуи (Панкиси) и Омало»<sup>1</sup>. არის მცდელობა მათი აქ დასახლება XVIII საუკუნის ბოლოდან დაიწყონ. ზემოთ მითითებულ ადწერაში ყურადღებას იქცევს სოფელი ჯოყოლო. ამ დროს აქ 27 კომლი (138 სული) ცხოვრობდა. ყველა კომლს მიწერილი აქვს აქ დასახლების დრო – 1858 წელი. ისინი მაისტიდან იყვნენ გადმოსახლებული. შეიძლება ზოგიერთი გვარიც დავასახელოთ: *ბათიშვილი, ჭაბლაშვილი, ბორჩაშვილი, ხირჩლაშვილი, ფითუაშვილი, ცისკარაშვილი, დათოშვილი...* რაც საყურადღებოა ჯოყოლოელი ქისტები მართლმადიდებლებად არიან ჩაწერილი, დუისელები – „ბუსურმანებად“ (72 კომლი, 353 სული).

XIX საუკუნის აღწერის დავთრებით, საქართველოში ქისტები სხვაგანაც მოსახლეობდნენ, მაგალითად, თიანეთის მაზრის სოფელ ზენამხარში. 1860 წლის კამერალური აღწერის დავთარში მითითებულია, რომ აქ *ჩოფანაშვილები, ამარზაშვილები* (2 კომლი), *თოლეკაშვილები, ამოკაშვილები* (3 კომლი), *ლაჩოშვილები* ქისტებიდან გადმოსახლდნენ. საყურადღებოა, რომ ოჯახის უფროსებიდან ორი ქისტურ სახელთან ერთად მართლმადიდებლურ სახელსაც ატარებდა (ზეიტა ივივე ივანე ჩოფანაშვილი – 45 წლის, კუშკა ივივე გიორგი ამარზაშვილი – 38 წლის)<sup>2</sup>, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გადმოსახლების შემდეგ მართლმადიდებლებად მოინათლნენ. ქისტებიდან გადმოსახლებული ორი კომლი თიანეთის სოფელ ახალსოფელშიც მოსახლეობდა. ორივე მათგანი *ქისტოშვილის* გვარით იყო ჩაწერილი<sup>3</sup>. ეთნიკური ქისტები იქვე

---

<sup>1</sup> Мачабели М. В. 1887, Экономический быт государственных крестьян Тифлисского уезда Тифлисской губернии. – Материалы для изучения Экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. V, ч. I, Тифлис, 1887, с. 328.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 248-ა.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 248-ა.



ახლოს, სოფელ ჩაბანოშიც ცხოვრობდნენ. ისინი როგორც ჩანს, უფრო ადრე იყვნენ გადმოსახლებული, რადგან მათ მხოლოდ ეთნიკურობა აქვთ მიწერილი; ასეთები იყვნენ: *ამათა ამათაშვილი, ვაჟიკა და სოსიკა აღბუთაშვილები, იოსებ ბუხცაური, წურწუმელა ცხაოშვილი, ომან და ბატა ხაძეშვილები, ოროხა სურხოშვილი*<sup>1</sup>.

1821 წლის ანანურის მაზრის აღწერაში, სოფელ კობიანთკარში (დუშეთთან) მიგრანტი ქისტების ორი ოჯახია დაფიქსირებული<sup>2</sup>.

## **2. რუსების/დუხობორების მიგრაციის შესახებ**

ცნობილია, რომ რუსეთის იმპერია დაპყრობილ და შემოერთებულ ტერიტორიებს ეთნიკურად აჭრელებდა. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო იყო. იმპერიამ მოსახლეობის ეთნიკური ცვლა განსაკუთრებით სამცხესა და ჯავახეთში მოახდინა. ქართველი მაჰმადიანები მასობრივად გავიდნენ თავიანთი განსახლების არეალიდან. Xოლო მათ ნასოფლარებზე სხვადასხვა ეთნიკური ერთეულები, განსაკუთრებით სომხები და სექტანტი რუსები (დუხობორები) დაასახლეს. სომხებისა და დუხობორების მიგრაცია მეცნიერებაში კარგადაა შესწავლილი. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ დუხობორების გადმოსახლების გადაწყვეტილება ცარიზმმა 1839 წელს მიიღო. ჯავახეთში მათი პირველი ნაკადი კი 1841 წლის სექტემბერში მოვიდა. მიგრაცია 1845 წელს დასრულდა. ასე შეიქმნა ჯავახეთში რუსი სექტანტების რვა სოფელი: *ბოგდანოვკა, ტამბოვკა, არლოვკა, გორელოვკა, სპასოვკა, ტროიცკოვ, ევრემოვკა, როლიონოვკა*. უხობორების საერთო რაოდენობა 1845 წელს 495 ოჯახს (4.097 სულს)

---

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 248-ა.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 689, გვ. 339.

შეადგენდა<sup>1</sup>. დუხობორების დასახლება ქართველთა ნა-  
სოფლარებზე მოხდა. მაგრამ უცნობია ის ფაქტი, რომ  
როგორც ერთი, ისე მეორე ეთნოსის – სომხებისა და  
რუსი დუხობორების – მიგრაცია სამცხე-ჯავახეთში შემ-  
დეგაც გრძელდებოდა. ამჯერად სწორედ რუსი სექტან-  
ტების XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე მიგ-  
რაციებს შევეხებით.

როგორც აღვნიშნეთ, დუხობორები მოსახლეობდნენ  
ჯავახეთის სოფელ *როდიონოვკაში*. 1873 წელს აქ 85 დუ-  
ხობორის ოჯახი იყო. 1901 წელს მათ სექტანტები კიდევ  
დამატებიან – 28 კომლი დუხობორი ბორჩალოს მაზრის  
სოფელ *ორმაშენიდან* გადმოსულა საცხოვრებლად<sup>2</sup>.

1873 წელს რუსი დუხობორების 109 კომლი ცხოვრობ-  
და სოფელ *გორელოვკაში*. 1867-1871 წლებში ელისავეტო-  
პოლსკის გუბერნიიდან 8 კომლი გადმოსახლებულა. X-  
ოლო XIX საუკუნის 80-90-იან წლებში დამატებით 69  
კომლი გადმოსახლებულა<sup>3</sup>. ანალოგიური ვითარება  
გვექონდა სოფელ *ეფრემოვკაში*. 1873 წელს აქ მცხოვრებ  
დუხობორებს XIX საუკუნის 80-90-იან წლებში კიდევ 17  
კომლი დამატებია.

სოფელ *ორლოვკაში* 1873 წელს 110 კომლი დუხო-  
ბორი იყო აღიციხული. დუხობორების ეს რაოდენობა  
გაზრდილა 1860-იანი წლების ბოლოს (6 კომლი) და 23  
კომლით 1880-1890-იან წლებში გადმოსახლებულებით<sup>4</sup>.  
ანალოგიური ვითარება ყოფილა სოფელ *სპასოვკაში*. აქ  
მცხოვრებ 58 კომლ დუხობორს, 1903 წელს ახალი 10  
კომლიანი ჯგუფი დამატებია<sup>5</sup>. 70 კომლიანი *ტამბოკის*

---

<sup>1</sup> ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან  
XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბ., 1975, 337-339.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №276, გვ. 268-270.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №275, გვ. 423-446.

<sup>4</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №276, გვ. 168-169.

<sup>5</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №275, გვ. გვ. 223.

დუხობორული მოსახლეობა 1894 წელს 7 კომლით გაზრდილა; ისინი ბორჩალოს მაზრიდან მოსულან<sup>1</sup>.

რუსი დუხობორების 78 კომლი ცხოვრობდა სოფელ *ტროიცკოეში*, რომელთაგან 1869-1871 წლებში 26 კომლი იყო მოსული. მათი ეს რაოდენობა 1898 წელს კიდევ 21 კომლით გაზრდილა<sup>2</sup>. 1886 წლის საოჯახო სიებით ჯავახეთის „დუხობორიის“ რვა სოფელში საერთო ჯამში 817 კომლი (6.616 სული) დუხობორი ცხოვრობდა<sup>3</sup>. 1845 წელთან შედარებით დუხობორების რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა, რაც მოხდა მათი არა მხოლოდ ბუნებრივი გამრავლებით, არამედ თითქმის მუდმივი მიგრაციით. მიგრაცია კი XX საუკუნის დასაწყისშიც გრძელდებოდა.

თბილისის მაზრის ბორჩალოს უჩასტკის 1860 წლის აღწერით ახალციხის მაზრაში მცხოვრები დუხობორები აქ სოფელ *ყარახლისში* გადასახლებულან (14 კომლი)<sup>4</sup> მიგრაციის იგივე გზა ჰქონდათ გავლილი *ორმაშენში* მცხოვრებ დუხობორების 31 კომლს<sup>5</sup>.

ჯავახეთში მართლმადიდებელ რუსებსაც ასახლებდნენ, სადაც 1903 წელს რუსეთიდან მიგრირებულებს ახალი სოფელი – *ვლადიმროვკა* – შეუქმნიათ. ისინი მართლმადიდებლები იყვნენ და გადმოსახლებულან ეკატერინოსლავის, ჩერნიგოვის, ხარკოვისა და ვორონეჟის გუბერნიებიდან. 1873 წლის კამერალური აღწერის მინაწერებში აქ 23 ასეთი კომლია დაფიქსირებული<sup>6</sup>. 1864 წელს შეუქმნიათ რუსებს ჯავახეთში სოფელი *ნოვო-ივანოვსკოე*. ამ სოფელში მართლმადიდებელი რუსების ახა-

---

<sup>1</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №276, გვ. 280-286.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №276, გვ. 415-420.

<sup>3</sup> Свод статистических данных о населении Закавказского Края, извлеченных из посемейных списков 1886 г. – Тифлис.

<sup>4</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 240, გვ. 36-41.

<sup>5</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 240, გვ. 666-678.

<sup>6</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №275, გვ. 370-395.

ლი პარტია (5 ოჯახი) 1904 წელსაც მოსულა პოლტავის გუბერნიიდან<sup>1</sup>

თბილისის მაზრაში რუსების მიგრაცია დაფიქსირებულია 1860 წლის კამერალური აღწერის დავთარში. სოფელ *მალხაზოვკაში* რუსების პირველი პარტია (24 კომლი) სარატოვის გუბერნიიდან 1851 წელს მოსულა, მეორე – 1862 წელს (17 კომლი)<sup>2</sup>.

ცნობილია, რომ საქართველოში ეთნიკური რუსების დასახლების წყაროს „ასტაგნოი“ ჯარისკაცები წარმოადგენდნენ. ასეთი რუსები დაფიქსირებული არიან ანანურის 1873 წლის აღწერაში, სადაც ოთხი კომლია მითითებული, რომელთა უფროსები იყვნენ *საღდაჩენკო, ბელიაევი, პშიშინი, მერიცუ*. პირველი ორი ეთიკური რუსი იყო, მეორე ორი – პოლონელი<sup>3</sup>. 1873 წლის აღწერით, რუსები ცხოვრობდნენ *ბორჯომში*. ამ დროს აქ 32 კომლი რუსი იყო, რომლებსაც მიწერილი აქვთ „სამხედრო“. მხოლოდ ერთ მათგანს, გვარად *კოსტენკოს*, უწერია, რომ „ასტაგნოი უნტერ-ოფიცერია“<sup>4</sup>. იმავე წლის აღწერით, არაგვის ხეობის დაბლობის სოფელ ნაოზაშიც ცხოვრობდა „ასტაგნოი“ ჯარისკაცის ოჯახი: «Оставной рядовой Григорий Куприянов»<sup>5</sup>.

1886 წლის საოჯახო სიებით, ეთნიკური რუსები ცხოვრობდნენ ბორჯომის სოფელ *თორში*. ამ დროს მათი რაოდენობა 16 კომლი იყო<sup>6</sup>.

---

<sup>1</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №276, გვ. 105.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 2334, გვ. 320-333.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.№ 226, გვ. 31.

<sup>4</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 1689, გვ. 1-17

<sup>5</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.№ 258.

<sup>6</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.№ 1707, გვ. 49-60.

### 3. სომხების მიგრაციის შესახებ

ჯავახეთის სოფელ *პატარა ყანდურაში* მცხოვრებ სომხებს 1873 წლის შემდეგ თურქეთიდან მოსული ორი ოჯახი დამატებია<sup>1</sup>. ჯავახეთის სოფელ *კორხში* მცხოვრებ სომხებს ასევე დამატებია 1901 წელს მიგრირებული 11 კომლი სომეხი. იგივე ვითარება გეჰონდა სოფელ *კულაღისში*, სადაც 1866 წელს ექვსი ოჯახი სომეხი მოსულა<sup>2</sup>. ხუთი კომლი დამატებია სოფელ *მოლითის* სომხურ მოსახლეობას.

1873 წლისათვის ახალდასახლებული იყვნენ სომხები (38 ოჯახი) სოფელ *ორჯოღარში*. ერთი ჯგუფი (18 კომლი) 1867 წელს მოსულა, მეორე უფრო გვიან – 1894 წელს; მათ კიდევ 10 ოჯახი დამატებია<sup>3</sup>

1873 წელს 75 კომლი მკვიდრობდა ფოკაში, რომლებსაც 1864 წელს ერთი ოჯახი თურქეთიდან მიგრირებული და ალექსანდრეპოლის მაზრიდან გადმოსახლებული ხუთი ოჯახი დამატებია<sup>4</sup>. აქედანვე გადმოსახლებულ სომხებს ჯავახეთში დაუფუძნებიათ სოფელი *პატარა სირკვა*<sup>5</sup>.

1870-იანი წლების დასაწყისში მოშენებულა სომხური სოფელი *თახჩა*. აქ ასეთ მიგრირებულთა 18 ოჯახი ცხოვრობდა. სოფელ *ტრაკანაში* მცხოვრებ 12 კომლს 1906 კიდევ ექვსი კომლი მიგრანტი დამატებია<sup>6</sup>.

ჯავახეთში ადრე გადმოსახლებული სომხები ახალ ტერიტორიებსაც იკავებდნენ. მაგალითად, სოფელი *სამსარა* 1860 წელს სოფელ *თოკიდან* გადმოსულ ეთნიკურ

---

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.№ 1707, გვ. 49-60.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №275, გვ. 871-891, 905-910.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №275, გვ. 871-891, 905-910.

<sup>4</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №276, გვ. 245-246.

<sup>5</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 2, საქმე №122, გვ. 391.

<sup>6</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №276, გვ. 430.

სომეხებს (25 ოჯახი) შუქმნია. სოფელ *ტირკნალში* სომხის ერთი ოჯახი 11 მამაკაცით თურქეთიდან 1842 წელს მოსულა.

სომეხების გადმოსახლება მხოლოდ თურქეთიდან არ ხდებოდა. მათი მიგრაცია ინტენსიური იყო აზერბაიჯანის ტერიტორიიდან – ალექსანდრეპოლის მაზრიდან. ასეთი მიგრანტები მოსულან სოფელ *ხორენიაში*, *თორიაში*...

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა სომეხების თურქეთიდან ახალციხეში გადმოსახლება. შამისო ჩანაწერები ბევრია 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარში. განსაკუთრებით ბევრი სომეხი მოსულა 1860-იან წლებში. დროის ამ მონაკვეთში *ახალციხეში* ორმოც კომლამდე სომეხი დასახლებულა, რომელთა უმრავესობა არზრუმიდან, ბაიბურთიდან, აგრეთვე კონსტანტინეპოლიდან და თავრიზიდან იყო მიგრირებული. ამ დროს გადმოსახლებულთა შორის *ახნაურიანების* ორი კომლიცაა დასახლებული. ორივე მათგანი 1867 წელს არზრუმიდან გადმოსახლებულა. ორი ოჯახი საქართველოს შავშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხრიდან გადმოსახლებულა 1861 წელს და ერთ-ერთი კომლისათვის ხელისუფლებას *შავშეთიანცის* გვარსახელიც მიუნიჭებია<sup>1</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში ფაქტობრივად უცნობია ის ფაქტი, რომ ახალციხეში მიგრირებული სომეხების რაღაც ნაწილი უკან, არზრუმში დაბრუნებულა. 1860 წლის კამერალური აღწერის თანახმად, ასეთი უკან დაბრუნებული 450 კომლი ყოფილა<sup>2</sup>. საერთოდ, ახალციხეში მიგრირებული სომეხების რაოდენობა, გასომეხებული ბოშების ჩათვლით, სულ 1314 კომლი ყოფილა. სომეხების ახალციხიდან თურქეთში წასვლის ფაქტები 1850 წლის აღწერაშიცაა დადასტურებული – 140 კომლზე მეტი გადასახლებულა არზრუმში, ყარსში. ეს მიგრაცია გადმოსახლე-

---

<sup>1</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №281, გვ. 110-303.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, ან. 2, საქმე №243, გვ. 269-353.

ბიდან მალევე დაწყებულა და თითქმის ყოველ წელს ხდებოდა<sup>1</sup>.

XIX საუკუნეში სომხების ინტენსიური მიგრაციული პროცესი მიმდინარეობდა აღმოსავლეთ საქართველოში. აღწერის დავთრებში არაერთი ასეთი ფაქტია დადასტურებული. 1821 წლის აღწრით ერთი ასეთი კომლი ცხოვრობდა სოფელ *თეზამში*, რომელიც ყარაბახიდან იყო გადმოსახლებული<sup>2</sup>. ბევრი მიგრირებული იყო ქალაქ გორში. 1817 წლის აღწერაში გორში ასეთ მიგრირებულებს შორის საკმაოდ იყვნენ. *მინასაშვილ მექვაბეს* მიწვრილი აქვს, რომ „გადმოსახლდა სპარსეთის ნახჭევანიდან“<sup>3</sup>, *ჯანიაშვილს* – „10 წელზე მეტია გადმოსახლდა ყაზახის დისტანაციის სოფელ *კალაჩიდან*“<sup>4</sup>, *მელვოაშვილს* – „ყაზახის დისტანციის სოფელ *აკდამიდან*“, *მერაბაშვილს* – „დიდი ხნის გადმოსახლებული შამქორიდან“<sup>6</sup>, *მელიქ ზადაშვილს* – „სპარსეთის ქალაქ ურმიიდან“<sup>7</sup>, *მამაჯანაშვილს* – „სპარსეთიდან“<sup>8</sup>, *დავითაშვილს* (2 კომლი) – „15 წელზე მეტია ყარაბახის სახანოს სოფელ ხაჩინიდან“<sup>9</sup>, *გალუსტაშვილს* – „გადმოსახლდა ნოვი შუშიდან“<sup>10</sup>, *მელქუაშვილს* – „გადმოსახლდა 16 წელზე მეტია ელიზავეტპოლიდან“<sup>11</sup>, *ასატურაშვილს* – „გადმოსახლდა ელიზავეტპოლის ოკრუგის სოფელ *ბანაბებიდან* 12 წელზე მეტია“<sup>12</sup>, *ალექსაშვილს* – „გადმოსახლდა

---

<sup>1</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 2, საქმე №2070, გვ. 130-150.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№ 689, გვ. 511.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№540, გვ. 58.

<sup>4</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. №540, გვ. 61.

<sup>5</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. №540, გვ. 61.

<sup>6</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№540, გვ. 58.

<sup>7</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№540, გვ. 62

<sup>8</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№540, გვ. 63.

<sup>9</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№540, გვ. 64.

<sup>10</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№540, გვ. 64.

<sup>11</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№540, გვ. 64.

<sup>12</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№540, გვ. 65.

ყარაბახიდან, სოფელ შალიშიდან, 16 წელია<sup>1</sup>, არუთინაშვილს – „აქედანვე“<sup>2</sup>, ათუაშვილს – აქედანვე<sup>3</sup>, არუთინაშვილს – „გადმოსახლდა ყარაბახის სოფელ ჩარაბეთიდან, 12 წელია“<sup>4</sup>, არაქელაშვილს – „აქედანვე, სოფელ მუხუღჩახიდან 12 წელია“<sup>5</sup>, ბაღდასარაშვილს – გადმოსახლდა ძველი შუშიდან, 20 წელია<sup>6</sup>, გრიგოლაშვილს – გადმოსახლდა ყაზახის დისტანციის სოფელ მელიქანდედან, 18 წელია“<sup>7</sup>, აივაზაშვილს – „გადმოსახლდა ელისავეტპოლიდან, 18 წელია“<sup>8</sup>, იონეზაშვილს – „აქედანვე“.

ბორჩალოს დისტანციის 1821 წლის აღწერაში მთელ რიგ სოფლებში (*ახატში, კაატში, უზუნღარში, მარანში, კორინხში*) მცხოვრებ სომხებს გვარები ქართული - შვილი სუფიქსით ჰქონდათ გაფორმებული, მაგალითად, *არუთინ ვართანაშვილი, ავეტკე მარკუაშვილი, ოგანუზ ოხანაშვილი, ზურაბ რეზაზაშვილი, ოსკან სარქისაშვილი*. ყველა ეს გლეხი თავად ბარათაშვილებს ეკუთვნოდა<sup>9</sup>.

ცნობილია, რომ სომხებს მემკვიდრეობით სახელები – გვარსახელები არ ჰქონდათ. სომხებში გვარსახელები თანდათან მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან წარმოიქმნა. ამის დამადასტურებელია ფაქტი, რომელიც დაფიქსირებულია თელავის მაზრის 1821 წლის აღწერაში. სოფელ შილდაში ეთნიკურ სომეხს სახელად დანიელს ასეთი მინაწერი აქვს: «Даниел непомнящий фамилии»<sup>10</sup>.

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№540, გვ. 65.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№540, გვ. 66.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№540, გვ. 66.

<sup>4</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№540, გვ. 66.

<sup>5</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№540, გვ. 66.

<sup>6</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№540, გვ. 66.

<sup>7</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№540, გვ. 66.

<sup>8</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№540, გვ. 67.

<sup>9</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 686.

<sup>10</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 688, გვ. 79.



#### 4. ქართველი კათოლიკეების, ქართველი მაჰმადიანებისა და ქართველი ებრაელების მიგრაციის შესახებ

1860 წლის კამერალური აღწერის დავთარში ახალციხიდან ქართველ კათოლიკეთა მიგრაციაცაა დადასტურებული. ისინი ახალციხეში აღრიცხული არიან, მაგრამ მიწერილი აქვთ, რომ გადასული არიან საცხოვრებლად ქუთაისში. თითოეულ ოჯახს ქუთაისიდან გადასახლების დროც აქვს მიწერილი, მაგალითად, „15 წელია იმყოფებიან ქუთაისში“ (7 კომლი), „32 წელია იმყოფებიან ქუთაისში“ (3 ოჯახი), „19 წელია იმყოფებიან ქუთაისში“ (2 კომლი)... 1860 წლის აღწერაში ქუთაისში გადასახლებულთა სულ 22 კომლია აღრიცხული. ქართველი კათოლიკეები კონსტანტინეპოლშიც მიგრირდებოდნენ<sup>1</sup>. ახალციხელ ქართველ კათოლიკეს *ხარისჩაროვს (ხარისჭარაშვილს)* 1886 წლის აღწერაში მიწერილი აქვს: „მღვდელი, ცხოვრობს კონსტანტინეპოლში“, *იობ თომას ძე ხითაროვს (ხითარიშვილს)* – „ბერი. იმყოფება კონსტანტინეპოლში“<sup>2</sup>. მეორე ხითარიშვილი კი გამოსულა სომხურ-კათოლიკური ეკლესიის დაქვემდებარებიდან, რომელსაც სარწმუნოების გრაფაში „რომაულ-კათოლიკური“ უწერია. ასეთები სხვებიც იყვნენ. აღსანიშნავია, რომ 1817 წლის გორის აღწერაში შეყვანილია ქართველი კათოლიკე *პავლე სიმონიშვილი*, რომელიც გადმოსახლებულა „ახალციხის საფაშოს სოფელ არტანუჯიდან“<sup>3</sup>. ახალციხელი კათოლიკე ქართველების უმრავლესობის გვარები აღწერის დავთრებში რუსული სუფიქსებითაა ჩაწერული, მაგალითად, *ფიროვეი, ნებიეროვი, დათებოვი, ზაზავეი, სადათიეროვი, გოკიელოვი, ბაღახოვი, ბეთანოვი, ფეიქაროვი, ვარძიელოვი, მესარკოვი, ობოლოვი, ჩილინგაროვი*,

<sup>1</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 2, საქმე №243, გვ. 453-461.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 1831.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 540, გვ. 100.

გრძელოვი, თამაროვი, მჭედლოვი, ლალეზოვი... ზოგიერთი კი ქართული გვართ – *მაისურაძე, თეთრაძე/თეთრაშვილი, ჩილაშვილი, მანანაძე, ზაზაშვილი, მონასელიძე, ბენიტაძე*, ხიზაბავრელი... არის შემთხვევები ქართველ კათოლიკეთა გვარსახელების -ეთ სუფიქსით ჩაწერისა (ისე, როგორც ადგილობრივები გამოთქვამდნენ). შეიძლება დავასახელოთ უძველი *გიგო პეტრეთი, მიხაკო პეტრეთი* და *პეტრე პეტრეთი*, აგრეთვე *ანტონ გულიჯანათი, სერო ჩილათი*. ირკვევა, რომ ყმა-გლეხები ჰყვლია გორის კათოლიკურ ეკლესიასაც. ხსენებულ აღწერაში ამ ეკლესიის ყმებად არიან მოხსენიებული კათოლიკე ქართველები: *ფარემუზაშვილი, მამულაშვილი, მებურნეთიშვილი*<sup>1</sup>. რადგან კათოლიკეებზე ვსაუბრობთ, უნდა ითქვას, რომ გორში კათოლიკედ მონათლულთა შორის ეთნიკური ოსების ორი კომლიც იყო.

1842 წლის აღწერით ქალაქ გორში კათოლიკენი 25 კომლი იყვნენ; ესენი იყვნენ: ზუბალაშვილები (3 ოჯახი), სააკაშვილები (3 ოჯახი), დავრიშაშვილები (2 ოჯახი), ფირალიშვილები (იგივე ალაპაპიშვილები) (2 ოჯახი), ანდრონიკაშვილები (2 ოჯახი), ჯულაბაშვილები (3 ოჯახი), კორხმაზაშვილები (2 ოჯახი), აგრეთვე თითო ოჯახი: შიხინაშვილი, მალხაზიშვილი, ტატიაშვილი, გუფთაშვილი (იგივე ვალიშვილი), მურადაშვილი, ნოსაძე იგივე ქურქიგოგიაშვილი<sup>2</sup>. კათოლიკე ფირიაშვილის ოჯახი ქვათახევის ეკლესიას ეკუთვნოდა.

ცნობილია, რომ ქართველი ებრაელები ახალციხეში მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობდნენ. 1860 წლის კამერალური აღწერის დავთრით ახალციხეში ებრაელებს ცალკე უბანი ჰქონდათ. **ებრაელთა ნაწილი ახალციხეში ხერთვისიდან და აბასთუმნიდან ყოფილან გადმოსული. თბილისელი ებრაელები ძირითადად სწორედ**

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 540, გვ. 84.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 1938, გვ. 157-165.

**ახალციხიდან იყენენ მოსული XIX საუკუნეში** [ქართველ ებრაელებთან დაკავშირებით ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიცა დადასტურებული 1886 წლის საოჯახო სიებში. ცნობილია, რომ ისინი მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობდნენ ცხინვალში. ირკვევა, რომ აქაურ ებრაელთა ოჯახებს ერთგვარად „მოძრაობითობა“ ახასიათებდათ. ცხინვალში აღრიცხული ბევრი ქართველი ებრაელი, ფაქტობრივად, სხვაგან ცხოვრობდა, ზოგი დროებით იყო წასული და ზოგიც – მუდმივად საქართველოს თითქმის ყველა მხარეში. საყურადღებო ფაქტია, რომ მაშინაც გადასახლდებოდნენ იერუსალიმში. მაგალითად, ცხინვალის აღწერის № 502-ს ასეთი მინაწერი აქვს: „მანაშეროვი – 10 წლის წინ გადასახლდა საცხოვრებლად იერუსალიმში“; № 507 კომლი: „პაპისმედოვი – 10 წელია გადასახლდა იერუსალიმში“, № 514 – „ბინიაშვილი – 8 წელია გადასახლდა იერუსალიმში“<sup>1</sup>.

ქართველი ებრაელები სრულიად იყენენ ჩართული ქართულ სოციალურ სისტემაში – ისინი ქართველ თავადაზნაურთა ყმები იყენენ. 1818 წლის აღწერით ირკვევა, რომ ისინი საეკლესიო ყმებიც იყენენ, მაგალითად, ცხინვალში მცხოვრები ქართველი ებრაელი *ბაზაზაშვილები* და *კეზერაშვილები* საქართველოს კათალიკოსის ყმებს წარმოადგენდნენ<sup>2</sup>. 1886 წლის საოჯახო სიებში ქალაქ ახალციხეში დადასტურებულია ევროპელი ებრაელის მიერ მართლმადიდებლობის მიღების ფაქტი, კერძოდ, *ნიკოლაი კემბიროვსკი* მონათლულა და ქართველი მართლმადიდებელიც შეურთავს ცოლად<sup>3</sup>.

ქართველი მაჰმადიანების ოსმალეთში გადასახლება თითქმის მუდმივად ხდებოდა. მაგალითად, 1850 წლის მოსახლეობის კამერალურ აღწერაში დაფიქსირებულია,

---

<sup>1</sup> სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე № 1717.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქმე № 544.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქმე № 1835, გვ. 190.

რომ 1854 წელს სოფელ *ფერსას* მოსახლეობა მთლიანად (24 კომლი) გადასახლებულა თურქეთში<sup>1</sup>. 1862 წელს თურქეთში გადასახლებულა სოფელ *ტრეპონის* ხუთივე კომლი<sup>2</sup>. სოფელ *ცხორდის* მკვიდრი 9 კომლიდან თურქეთში გადასულა საცხოვრებლად ერთი ოჯახი. 14 კომლი მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა სოფელ *ჭარალში*. 1850 წლის აღწერაში ამ სოფლის ექვს ოჯახს მიწერილი აქვთ, რომ „1849 წელს გაიქცნენ თურქეთში“<sup>3</sup>. თურქეთში გაქცეულთა შორის დასახელებულია სოფელ *ორცეფში* მცხოვრები ხუთივე ოჯახი. სოფელ *ნიალადან* კი 1862 წელს თურქეთში მაჰმადიანთა ოთხი კომლი წასულა<sup>4</sup>. გაქცეულთა ერთი კომლი მითითებულია *სახუდებელის* აღწერაში. 1849 წელს თურქეთში გაქცეულან *ხორჩოელი* მაჰმადიანები. ასეთივე მიგრანტები ყოფილან ჯავახეთის სომხური სოფლებიდანაც, *აღჯუადან* (2 კომლი, 1861 წელს), *ალასტანიდან* (4 კომლი, 1830, 1831, 1835 წლებში)<sup>5</sup>.

1873 წლის კამერეალური აღწერის მინაწერები იმასაც გვამცნობს, რომ ხანდახან ხდებოდა ადრე თურქეთში გადასახლებული ქართველი მაჰმადიანების უკან დაბრუნების ფაქტები, მაგალითად, კლდის საზოგადოების სოფელ *ფერსაში* 32 კომლი იყო აღრიცხული, რომელთა შორის 12 კომლი თურქეთიდან უკან იყო დაბრუნებული<sup>6</sup>. 1860 წლის დავთარში აღწერის შემდგომდროინდელი მინაწერი გვამცნობს, რომ სოფელ *ნორიოში* მონათლულა თბილისიდან მოსული *ასან უზინი*, რომელსაც ყოველივე ამის შემდეგ მინიჭებია *ნიკოლოზ ორბელიანის* სახელი

<sup>1</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 2, საქმე №2068, გვ. 122-124.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 2, საქმე №2068, გვ. 157.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 2, საქმე №2068, გვ. 200-202.

<sup>4</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 2, საქმე №2069, გვ. 94, 97.

<sup>5</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 2, საქ. №122, გვ. 51, 52-66.

<sup>6</sup> სცსსა, ფ. №254, ან. 3, საქმე №283, გვ. 184-190.

და გვარი<sup>1</sup>. ეს უკანასკნელი ფაქტი კი იმას გვიდასტურებს, რომ მაჰმადიანმა ქართველმა, გვარად ორბელიანმა, გვარი აღიდგინა.

## 5. ოსების შესახებ

საყოველთაოდ ცნობილია, რომ XVIII საუკუნეში ინტენსიურად მიმდინარეობდა ოსების შიდა ქართლში მიგრაცია. ეს მიგრაცია საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან დვალეთიდანაც ხდებოდა. დვალეთი საქართველოს, თბილისის გუბერნიის გორის მაზრას 1858 წელს ჩამოაცილეს – ის დღეს საქართველოს საზღვრებს გარეთაა და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შედის. ისტორიის გამყალბებლები ეჭვსკვეშ აყენებენ დვალეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას, აქ ქართველი თავადების მიწისმფლობელობას. ცნობილია, რომ დვალეთში გვქონდა არაგვის ერისთავების (ფლობდნენ ზახას ხეობას), ქსნის ერისთავების, მაჩაბლების მიწის საკუთრება. 1818 წლის გორის მაზრის კამერალური აღწერის დავთრის თანახმად დვალეთში მიწის საკუთრება ჰქონიათ თავად *ფალავანდიშვილებსაც*. კერძოდ, შიდა ქართლის ბარის სოფლებში დვალეთიდან ჩამოსახლებულ ეთნიკურ ოსებს შემდეგი მინაწერი აქვს: «Объявившие себя крестьянином князя Беция Палавандова хизан из Двалети 40 лет тому назад» (თავს აცხადებენ ბეცია (სხვაგან გლახა) ფალავანდიშვილის გლეხებად, რომლებიც ხიზნად არიან მოსული დვალეთიდან 40 წლის წინ, ე. ი. 1778 წელს)<sup>2</sup>. დვალეთიდან მიგრირებული ოსები მოსული იყვნენ ქართლის ფრონეების ხეობის სოფლებში *წორბისა და ბეყმარში: გეთეშვილები, ჯიოშვილები, კეხო(ი)შვილები, კასაბიშვილები, გერგაულები...* ერთ-ერთ

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 241, გვ. 160.

<sup>2</sup> სცსაა, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე № 543, გვ. 145-146.

მათგანს დვალეთის იმ სოფლის სახელიც კი აქვს მითითებული, საიდანაც გადმოსახლდა – *თიბი*. სხვათა შორის, 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთრით წორბისსა და ბეყმარში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ: *ნებიერიძეები, გვიმრაძეები, ხარაულები, მაისურაძეები, შალბელიძეები, თაბუაშვილები, წოწოლაშვილები, შოშიაშვილები...*<sup>1</sup>. სხვათა შორის, ფრონეების ხეობიდან მოსახლეობის აყრა რომ ჯერ კიდევ ადრე დაწყებულა, ამას ზემოხსენებული რუისის სამწყსოს დავთარიც ადასტურებს. მთელ რიგ სოფლებს ასეთი მინაწერი აქვს: „აყრილი ბევრია“. ლეკიანობის გამო, ფრონეების ხეობის ნასოფლარებს საუკუნის ბოლოდან დვალეთიდან გადმოსახლებული ოსური მოსახლეობა იკავებს, რომელმაც ინტენსიური ხასიათი 1830-იანი წლებიდან მიიღო. აღნიშნულ რეგიონის სოფლებში *რუსთავში, წორბისში, ბეყმარში* 1818 წლისათვის მიგრირებული ოსური მოსახლეობა შესაბამისად 2, 6, 5 კომლის რაოდენობით იყო.

საყურადღებო 1818 წლის აღწერაში კიდევ სხვაცაა. მაგალითად, *კუბათში* მცხოვრებ *ბელელურს* მიწერილი აქვს, რომ დიდი ხნის გადმოსახლებულია ნარადან, ე. ი. დვალეთიდან («Давный переселенец из Нарии»)<sup>2</sup>. აქვე ისიცაა მინიშნებული, რომ ის ეთნიკურად ქართველია. ძუსტად ანალოგიური მინაწერი აქვს სოფელ ქვეშში მცხოვრებ ნინია კუდიშვილს: «Вышедший из осетии Нарского ущелья назад тому 60 лет. груз.»<sup>3</sup>. ზუსტად იგივე მინაწერი აქვს ცხინვალში მცხოვრებ *ბერო მაშიაშვილს* – ისიც დვალეთის ნარას ხეობიდანაა იყო გადმოსახლებული და ასევე ქართველადაა ჩაწერილი<sup>4</sup>. სოფელ *ახაბეთშიც* იმავე ნა-

<sup>1</sup> თაყაიშვილი ე., რუისის სამწყსოს დავთარი, გორი, 2015, გვ. 25-27.

<sup>2</sup> სცსსა, 254-1-541/37.

<sup>3</sup> სცსსა, 254-1-541/61.

<sup>4</sup> სცსსა, 254-1-541/102.

რას ხეობიდან ყოფილა 60 წლის წინ<sup>1</sup>, ე. ი. 1758 წელს გადმოსახლებული *დათუა ხაბარელი*სა და მისი განაყოფის წინაპრები. აღწერაში ისინი ქართველებად არიან დაფიქსირებული. 1818 წელს აბისში ცხოვრობდნენ *ივანე* და *სოსია კორტკუმაშვილის* ოჯახები. მინაწერიდან ირკვევა, რომ წინაპარი ოსეთიდან იყო გადმოსახლებული 50 წლის წინ, ე. ი. 1768 წელს<sup>2</sup>. ამ გვარისანიც ოსეთიდან იყვნენ მიგრირებული. მოყვანილი საარქივო მასალიდან ყველაზე მთავარი ისაა, რომ დვალეთიდან მიგრირებული აღნიშნული გვარების წარმომადგენლები არა ოსებად, არამედ ქართველებად არიან ჩაწერილი. აღნიშნული კი იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომ XVIII საუკუნის ბოლოს დვალეთში ეთნიკურ ქართველთა გაოსების, ასიმილაციის პროცესი ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო. ამას ჩამოსახლებულთა გვარებიც ადასტურებს: *ბელელური*, *მიამიაშვილი* (იგივე *მაშიაური*), *ხაბარელი*...

1860 წლის დუშეთის მაზრის კამერალური აღწერის დავთარში სოფელ *ჭონტილში* მოსახლე ორ ოჯახს *ზუკოშვილებს* მინაწერი აქვს, რომ გადმოსახლდნენ ვლადიკავკაზის ოკრუგიდან<sup>3</sup>. ამ საარქივო მონაცემზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსთა მიგრაცია (აქ, რა თქმა უნდა, დვალეთი არა გვაქვს მხედველობაში) მიმართული იყო ჩრდილოეთ კავკასიის ბარისაკენ. მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსთა საქართველოში გადმოსახლების შემთხვევები მაინც იყო.

1818 წლის ცხინვალის აღწერაში 17 კომლს (*ბერიშვილებს*, *ჭამპურიძეებს*, *თვალაშვილებს*, *სიმონაშვილებს*, *კასრაძეებს*, *მაისურაძეებს*, *ფარსადანიშვილებს*) ასეთი

---

<sup>1</sup> სცსსა, 254-1-541/105.

<sup>2</sup> სცსსა, 254-1-541/163.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. №236, გვ. 524.

მინაწერი აქვს: «Хотя показано по старым описаниям армян 17 дымов, принадлежащих князям Мачабели, но теперь при учинении поверий оказались не армянами, а грузинами»<sup>1</sup>.

1873 წლის კამერალურ აღწერას დაფიქსირებულ აქვს შიდა ქართლის მთიანეთში ქართველთა გაოსების ფაქტები. მაგალითად, მეჯუდას ხეობის სათავეში სოფელ *ისროლისხევში დვალიშვილები უკვე დვალიევის* გვართა და ეთნიკურ ოსებად არიან ჩაწერილნი: „*დვალიევი გიორგი იოსების ძე, ოსი*“. აღწერის რუსულ ნაწილში დვალიშვილად არიან ჩაწერილი; თევდორე იოსების ძე დვალიშვილი, ოსი“; „*ნიკოლოზ იოსების ძე დვალიევი (Двалишвили)*“; „*ესტატე იოსების ძე დვალიევი (Двалишвили)*“. შემდეგ კი ეს დვალიშვილ-დვალიევები ვალიევებად იქცნენ. დვალიშვილების, შემდეგდროინდელი დვალიევების/ვალიევების ქართველობას ქსნის ხეობის 1781 წლის აღწერის დავთარი ადასტურებს. ოსების აქ მოსვლამდე, სხვა ქართული გვარის მატარებლებთან ერთად (*სალუქაშვილი, ელიაური, ასტამაძე, ხახაშვილი, ციცაგი, კვირიკაშვილი, ვინტური, ფოსური, ოდიშვილი*), დვალიშვილებიც ცხოვრობდნენ<sup>2</sup>.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ხევ-თრუსოდან როგორც ეთნიკური ოსების, ისე ქართველების გადინება ხდება ვლადიკავკაზში, მაგალითად, 1886 წლის საოჯახო სიებით თრუსოს სოფელ *აბანოდან* ვლადიკავკაზში გადასული იყო ერთი კომლი (1791), *ბურმასივიდან* – ორი კომლი (1794), *უხათიდან* – ორი კომლი (1803), *დესიდან* – ერთი კომლი (1805), *კარათკავიდან* – 3 ოჯახი, *კობიდან* – 3 კომლი, *ქეთრისიდან* – 2 კომლი (1808), *რესიდან* – 2 კომლი.

---

<sup>1</sup> სცსსა, 254-1- 542/302-303.

<sup>2</sup> ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 206.



ხევის სოფელ გაიბოტენიდან 1886 წელს ვლადიკავკაზში საცხოვრებლად გადასული იყო *ხულებიძეების* ორი ოჯახი, გერგეთიდან – 13 ოჯახი (*სუჯაშვილები, ჩიბოშვილები, წიკლაურები, არაბულები*), დესიდან – ერთი კომლი (1805), კარათკავიდან – 3 ოჯახი, კობიდან – 3 კომლი, ყანობიდან – ხუთი კომლი (1808), სტეფანწმინდიდან – 11 კომლი, სიონიდან – ცხრა ოჯახი (1818), ტყარშეთიდან – სამი ოჯახი.

XIX საუკუნის აღწერის დავთრები მნიშვნელოვანი წყაროა ოსთა მიგრაციის შესასწავლად, მათი განსახლების არეალის დასადგენად. მეჯუდას ხეობაში მეჯუდას ზემოთ, თუ მის სათავეს არ ჩავთვლით, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ოსები იყვნენ განსახლებული. 1814 წლის აღწერის დავთრიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ხეობის სოფლები *ღროში, ანდორეთი, ბიეთი, ივრეთი, გორეთი, კოსტანაური, ბიყარი* ნასოფლარებს წარმოადგენდა, ოსები ამ სოფლებში ჯერ დასახლებული არ იყვნენ<sup>1</sup>. ამავე ხეობის ქართულ სოფლებში *ისროლისხევში, ქოლოთში, ქვითკირში*, ადგილ *საკაჭიოურში* ცოტა არ იყო ნამკვიდრევი, გაპარტახებული ადგილი. *ისროლისხევში* ასეთი ნაოხარი საკომლოები იყო *კვირიკაშვილების, ციცავების, დვალიანთი* (სულ 6 საკომლო), *ქოლოთში – ფსუტურების, ხარხელების*... მეჯუდას ხეობაში ოსების დასახლება 1814 წლისათვის რომ სულ ახალი დაწყებული იყო, ამას ისიც ადასტურებს, რომ ისინი ამ სოფლებში საკმაოდ მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ, მაგალითად სოფელ *ვანში, ბერძენტკარსა* და *არკინარეთში* ორ-ორი კომლი ოსური ოჯახი ცხოვრობდა. სოფელ *ბენდერში* მცხოვრები 17 კომლი ოსი „დროებით მაცხოვრებელი ღიახველი ოსები“ იყვნენ. „დროებით მაცხოვრებელი“ აქვს მიწერილი პატარა ღიახვის ხეობის სოფელ *ქვემო კელივანასა* (8 კომლი) და *ზემო კელივანაში* (12 კომლი)

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 367.

მცხოვრებ ოსებს. პატარა ღიახვის ხეობაში არავინ ცხოვრობდა *სარაბუკში, სნეკეში, დმენისში, სათიხარში*. ოსები ცხოვრობდნენ პატარა ღიახვის შენაკად *ფოტნისის, დამწვარას, გვიდისის და დვალურას* ხეობებში. აქ მდებარე სოფლები პატარა იყო. თითოეულ მათგანში ძირითადად ერთი (თითო კომლი იყო *ეთანანთკარში, თარანთკარში, კულდუმოში, თოვოში, ტყემლოვანში*), ორი (ორ-ორი კომლი იყო *რეხაში, კირკოტაში, კარიანთკარში, მაღდიგანთკარში, დისივინაში, პატარა ჩაბარუხეთში, რაინანთში, ბეხნოში, ქვემო ტოლიებში, ბეხტიანთში*), სამი (სამ-სამი კომლი ცხოვრობდა *ბაჟიანთკარში, ზემო ვანურში, თლათაანთში, ფუხანთკარში, ბადაანში*), ოთხი (ოთხკომლიანი სოფლები იყო: *შამბიეთი, ვადკარი, ზემო ლაჭაური, ბრილი, კობა*), ხუთი (ხუთკომლიანი სოფლები: *შამბიეთი, ბურნაჩანთკარი, გაბარანთკარი, ფარეხა, ორმითა, ზემო საჩინო*), ექვსი კომლი ცხოვრობდა. მხოლოდ *წიფორში, ლეკოანში, გნასურში, ინაურში, ზონკარში* ცხოვრობდა 10 კომლზე მეტი. ატარა ღიახვისა და მისი შენაკადის ხეობებზე ნასოფლარებიც იყო. აქ 10 ნასოფლარია ნაჩვენები (82 სოფლიდან): *ჩხიკეპრიეთი, ზემო ტოლიები, თხა, დვალურა, სნეკეი...* 1814 წლის აღწერა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პატარა ღიახვის ნასოფლარებსა და სოფლებს მინაწერი აქვს აქაური მკვიდრნი ბარის რომელ სოფლებში იყვნენ გადასახლებული. ამ სოფლებს შორის კი შეიძლება დავასახელოთ: *მეჯვრისხევი, მარანა, ტყვიავი, სართიჭალა, ქიწნისი, კავთისხევი, კულბითი, ლამისყანა, ხელთუბანი, წოდლა, შაკათგორი, საფეშეთი, კვლივანა, არცევი, თეზი, ნახიდი, ქსუისი, სვინეთი, დირბი, ფლავისმანი, ჯარიანშენი...* სულ მთლიანად პატარა ღიახვის ხეობის მთის სოფლებიდან ბარისა და მთისწინეთის სოფლებში 1814 წელს 310 კომ-

ლი იყო გადასახლებული<sup>1</sup>. ადგილზე კი დარჩენილი იყო 393 კომლი.

სრულ წარმოდგენას გვაძლევს 1814 წლის აღწერა „მადრან-დოლეთის“ სოფლების შესახებაც. როგორც ადრინდელი წყაროებით ცნობილია **მადრან-დვალეთში ცხრა სოფელი შედიოდა; ესენი იყო: ზემო ერმანი, შუა ერმანი, ქვემო ერმანი, ხოჯა, გვიდისი და ქალაქა, ქვემო კაბუეთი, ზემო კაბუეთი** („ძეგლი ერისთავთას“ – „კაბუ-შურნი“), **ბრუტაული** („ძეგლი ერისთავთას“ – „ბრუტაშვილნი“), **კელეთი** („ძეგლი ერისთავთას“ – „კელეურნი“). მთლიანად დიდი ღიახვის ხეობის სათავეში (მადრან-დვალეთში) სულ 164 კომლი ოსი ცხოვრობდა. დანარჩენი დიდი ღიახვის ხეობაში კი ეთნიკური ოსების რაოდენობა 1814 წელს 752 კომლი იყო<sup>2</sup>. აღწერის დავთარში დაფიქსირებულია დიდი ღიახვის ზოგირთი სოფლის ადგილ-მამულის სახელწოდებაც. მაგალითად, სოფელ *გუფთის* ასეთი ადგილ-მამულები იყო: *ბორცვა, ბუზალა, მსხლებისა – ხაჭაპური, ახალსოფლისა – ჭალოვანი...* პატარა ღიახვის ხეობასთან შედარებით, დიდი ღიახვის ხეობაში შედარებით დიდი სოფლებიც არსებობდა, მაგალითად, *გუფთაში* და *მსხლებში* 40-40 კომლი ცხოვრობდა, *გვერცვეში* – 31 კომლი, *კოშკაში* – 53, *ხეწეში* – 38, *როკაში* – 75, *ქეშელთაში* – 94, *მაცხოვარში* – 21, *ჯავისთავში* – 17, *თლიში* – 34. აქ ათ კომლზე ნაკლები იყო *ტონტობეთში, ლამიანში, ბარდნისში, კახირში, ჯრიაში, ზამთარეთში, ერწოში...*

1814 წლის აღწერა საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ მდინარე ქსნის შენაკად ჭურთის ხევიდან ადგილობრივი მკვიდრი ქართული გვარების მთისწინეთსა და ბარში გადასახლების დრო. XVIII საუკუნეში აქ სამი ძირითადი ქართული გვარი იყო აღრიცხული: *ილურიძე, დორეუ-*

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 367.

<sup>2</sup> (სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 367, გვ. 68.

ლი და ბუჯიძე/ბუჯიაშვილი. შემდეგ აქ მხოლოდ ილუ-  
რიძეები დარჩნენ, დორეულები და ბუჯიძე-ბუჯიაშვილები  
კი სხვაგან გადასახლდნენ. ირკვევა, რომ 1814 წელს ბუ-  
ჯიაშვილები და დორეულები ჯერ კიდევ მკვიდრად  
ცხოვრობდნენ (ილურიძეები 14 კომლის რაოდენობით იყ-  
ვნენ *ილურთკარსა* და *მეწკერში*, *ბუჯიაშვილები* 7 კომ-  
ლი – *ბუჯიანთკარში*, *დორეულები* – 16 კომლი – სო-  
ფელ *დორეულებში*)<sup>1</sup>. ჭურთის ხეობის ზედა სოფლებში  
(*ჩქუნეთი*, *ჯანგანთკარი*, *ჯორთისი*, *კუცხოეთი*, *ველისი*,  
*სოფელიკარი*, *ბოსელთა*, *ჩარანთკარი*, *სოფელიციხე*, *სა-  
ბარკლეთი*) კი უკვე ოსები მკვიდრობდნენ. სულ ჭურთის  
ხეობაზე 182 კომლი ცხოვრობდა. ამ რაოდენობას თუ გა-  
მოვაკლებთ 60 კომლ ქართველს, ეთნიკური ოსების რაო-  
დენობა 122 კომლი იყო. ინტერესმოკლებული არ უნდა  
იყოს, რომ ქსნის ხეობის სათავეში – *ჯამურში*, სადაც  
ოსები კომპაქტურად ცხოვრობდნენ, სულ 10 სოფელი  
იყო. ოსების საერთო რაოდენობა 1814 წლისათვის ჟა-  
მურში 112 კომლს შეადგენდა. ისიც საყურადღებოა, რომ  
ეს 112 კომლი სულ 55 საკომლოს ფლობდა<sup>2</sup>. საკომლოე-  
ბის მხრივ ანალოგიური მდგომარეობა გვექონდა შიდა  
ქართლის მთიანეთის ოსებით დასახლებულ სხვა სოფ-  
ლებშიც. გამრავლებულ ოსურ მოსახლეობას მიწის დე-  
ფიციტი ჰქონდა. ამიტომაც იყო ინტენსიური XIX საუკუ-  
ნეში მათი ქართლის მთისწინეთსა და ბარში გადასახ-  
ლება.

ოსების საქართველოში მიგრაცია თავდაპირველად  
აგრესიული იყო; ისინი ისტორიული და თანამედროვე  
საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებას აგრესიის  
გზით ახდენდნენ. თუმცა შემდეგ შემოსახლების ეს ფორ-  
მა შეიცვალა და მიგრირებულ ოსებს საქართველოს ხე-  
ლისუფლება და ცალკეული ფეოდალები თავისუფლად

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 367, გვ. 127-130.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 367, გვ. 161-164.

დასახლების საშუალებას აძლევდნენ, რადგან შიდა ქართლის მთიანი და მთისწინა რეგიონებში დემოგრაფიული კრიზისი იყო. სახელმწიფოსა და ცალკეულ ფეოდალებს მწარმოებელი აღარ ჰყავდათ ან თუ ჰყავდათ იმ რაოდენობით, რომ ეს მუდმივ ეკონომიკური კრიზისიდან თავდაღწევის საშუალებას არ წარმოადგენდა. ადასტურებელია არა ერთი ფაქტი სამეფო კარისა და ფეოდალების მიერ კავკასიის მთებიდან ოსების მოწვევისა. 1818 წლის გორის მაზრის კამერალური აღწერის დავთართით, შიდა ქართლის სოფელ შინდისში მცხოვრები გივი და ანდრია გოზაშვილები თავად თეიმურაზ მაჩაბლის მიერ ოსეთში ნაყიდი ყოფილან: «Служители во дворе, купленные от князя Теймураза Бортишвили Мачабели из Осетии: Гиви и Андрей Гозашвили»<sup>1</sup>. ოსეთში 1806 წელს ნაყიდი ერთი კომლი – კონა ნარიკაშვილი – სოფელ ტყვიაგშიც ცხოვრობდა: «Купленной назад тому 12 лет из Осетии»<sup>2</sup>.

## **6. შიდა მიგრაციული პროცესების შესახებ**

გვიან შუა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ინტენსიურად გადმოსახლდებოდა შიდა ქართლში. საამისო პირობებს ქმნიდა გადასახლებელ არეალში ბევრი ნასოფლარის არსებობა და იმერეთის მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე. ეს პროცესი ინტენსიური იყო XIX საუკუნეშიც. ამ დროს მოხდა ბორჯომის ხეობის მოშენება. ბორჯომის ხეობაში ზემო იმერელთა გადმოსახლებას არ შეუჩერებია შიდა ქართლის ბარის სოფლებში მიგრაცია. ბევრი ასეთი ფაქტი დადასტურებულია XIX საუკუნის აღწერის დავთრებში. მაგალითად ქარელთან ახლოს მდებარე სოფელ *სათემო ზვარში (სათერძეში)* 1886 წელს ზემო იმერეთის სოფელ ღორეშიდან

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 542, გვ. 388.

<sup>2</sup> [სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 542, გვ. 220.

*კურტანადეების* 11 ოჯახი მიგრირებულა, ხოლო ცოტით ადრე – 1877 წელს ამ სოფელში პირველი *კეთილადის* ოჯახი მოსულა იმავე *ლორეშიდან*<sup>1</sup>. იმერეთიდან გადმოსახლებულებით იყო მოშენებული სოფელი *თავოეთი* (ხცის სასოფლო საზოგადოება). 1886 წლისათვის აქ ასეთი 50 კომლი ცხოვრობდა (ყველაზე დიდი რაოდენობით იყვნენ *ტაბატაძეები, გრივალაშვილები, ჩადუნელები, ციცქიშვილები, გოვალაძეები, ბლიაძეები*)<sup>2</sup>.

XIX საუკუნის აღწერის დავთრებიდან ჩანს, რომ ბევრ მიგრანტს იზიდავდა ქალაქი *თელავი*. 1873 წლის აღწერით აქ 156 იმერლის ოჯახია დაფიქსირებული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ იმერელში დასავლეთ საქართველოს ყველა მხარის წარმომადგენელი იგულისხმება, მაგალითად, გურიიდან, ოზურგეთის მაზრის სოფელ *შუხუთიდან* გადმოსახლებულს „იმერელი“ აქვს მიწერილი. იგივე შეიძლება ითქვას ლეჩუმიდან მიგრირებულ *ხუბულავაზე, გიორგობიანზე*. „იმერელთა“ მიგრაცია თელავში ინტენსიური იყო 1860-იან წლებში<sup>3</sup>. დასავლეთ საქართველოდან თელავში გადმოსახლებულთა შორის ყველაზე მეტად მაინც იმერეთიდან მოსულები სჭარბობდნენ. გარდა დასავლეთ საქართველოდან გადმოსახლებულებისა, თელავში თავს იყრიდა კახეთის სხვადასხვა სოფლის (*ვარდისუბანი, ახმეტა, ხორხელი, კალაური, თოღნიანი, კონდოლი, ახატელი, რუისპირი, ტურისციხე, კურდღელაური, კელიციხე, ნაფარეული, სანიორე...*) მოსახლეობაც. 1873 წლის აღწერის დავთარშიც 1860-იან წლებში მიმდინარე მიგრაციული პროცესია აღნუსხული. თელავის აღნიშნულ აღწერაში დაღესტნიდან გადმოსახლებული დიდოელის მონათვლის საინტერესო ფაქტია დადასტურებული. *ნაიბოვების* ოჯახს ასეთი მინაწერი აქვს: «ГРУЗИН»

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.№1702, გვ. 69-78.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.№1705, გვ. 204-239.

<sup>3</sup> [სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 103.

(ქართველი), «православные» (მართლმადიდებელი), «из выкращенных дидойцев» (მონათლული დიდოელი)<sup>1</sup>. ამ ფაქტით დასტურდება, რომ ქართველები ქართველად თვლიდნენ იმ ეთნიკურად არა ქართველს, რომელიც მართლმადიდებლობას მიიღებდა. ასე რომ, ეს უძველესი ტრადიცია XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა.

## 7. ქართველთა რელიგიურ-კონფესიური ჯგუფების შესახებ

თელავის 1873 წლის აღწერა იმის საშუალებასაც იძლევა გაირკვეს სომხებად ჩაწერილებში ვინაა ქართველი გრიგორიანელი, რადგან ასეთებს ხშირად აღრინდელი ქართული გვარებიც აქვთ მიწერილი. მხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანით შემოვიფარგლებით: მარტიროზოვი (იგივე ბერძნიშვილი. 4 ოჯახი), ორიკოვი (იგივე ფეიქრიშვილი), აკოფაშვილი (იგივე კაკლიგუდაშვილი), არუთინოვი (იგივე აწყვერელი), არუთინოვი (იგივე ფეტვიხერეტიაშვილი. 2 ოჯახი), ოხანეზოვი (იგივე მათურელი. 2 კომლი), ხანგულოვი (იგივე ცუკუბერუაშვილი), ხუციევი (იგივე ბუტულაშვილი), მათიევი (იგივე აჩულიაშვილი), ბეგიჯანოვი (იგივე ტალიური)... ზოგიერთ გაგრეგორიანებულ-გასომხებულს კი ქართული გვარი შენარჩუნებული ჰქონდა: ბიჭიკაშვილი, კოტახეველი იგივე ბერუაშვილი (3 კომლი), ტალიაშვილი, ებიტაშვილი, ჯაჭვიაშვილი, ბაჩიაშვილი (4 კომლი), ჭალარაშვილი, მენაბდე-აფრიამაშვილი, მათურელი...

1817 წლის გორის აღწერით ჩანს გლეხების ყიდვის ფაქტები. ასეთ შემსყიდველებს შორის ეკლესიაც ყოფილა, მაგალითად გორში მაცხოვრებელი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ყმა *მეხიტაშვილს* მიწერილი აქვს:

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 103, გვ. 302.

„ნასყიდი ახალციხიდან“<sup>1</sup> გორის მოქალაქეების სიაში გვხვდება „ჭოლაძე (ქალიშვილი)“, რომელიც „იმერეთის აზნაურ ჭყონიასაგან ნაყიდი“ ყოფილა<sup>2</sup>. გორში საკმაო რაოდენობით ჰყავდა გლეხები აზნაურ *ზუბალოვს*, რომელიც იმდროისათვის უკვე სავაჭრო და სამეწარმეო საქმიანობაში იყო ჩაბმული. *ზუბალოვს* ნაყიდი ყმებიც ჰყავდა, მაგალითად, მაისურაძე – „იმერეთიდან თავად ჯაფარიძისაგან ნაყიდი“<sup>3</sup>, გურიულიშვილი – „იმერეთის თავად ხოსია ახვლედიანისაგან ნაყიდი“<sup>4</sup>, ცირეკიძე – „იმერეთიდან თავად ხეიძისაგან ნაყიდი“<sup>5</sup>. მცხეთის მონასტრის გლეხი ქუთათელაძე თავად იმერეთში წულუკიძისაგან ყოფილა ნაყიდი<sup>6</sup>, შაენაძე – „იმერეთის აზნაურ კახიანისაგან ნაყიდი“<sup>7</sup>. თავად ბეგთაბეგოვს, რომელიც ასევე სავაჭრო საქმიანობას მისდევდა, ქვათაძის ოჯახი უყიდა იმერეთის თავად ჯაფარიძისაგან<sup>8</sup>. ეს ფაქტებიც ადასტურებს ზემოთ ნათქვამს, რომ გურიაში, რაჭაში, ღუჩხუმში მცხოვრები ქართველები აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთათვის იმერლები იყვნენ.

1817 წლის აღწერა იმასაც გვიდასტურებს, რომ ქალაქ გორში მცხოვრები ეთნიკური სომხების ერთი ნაწილი „მცხეთის მონასტრის, იგივე კათალიკოზის“ ყმები იყვნენ. აღწერაში ასეთი ოცდამეხუთე კომლია შეყვანილი<sup>9</sup>. სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების ყმები ჰყოლია კავთისხევის მონასტერსაც, მაგალითად, ასეთი იყო

---

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 540, გვ. 70.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 540, გვ. 103.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 540, გვ. 109.

<sup>4</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 540, გვ. 109.

<sup>5</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 540, გვ. 109.

<sup>6</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 540, გვ. 110.

<sup>7</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 540, გვ. 109.

<sup>8</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 540, გვ. 109.

<sup>9</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 540, გვ. 76-83.



ქილიტაურის გვარისა<sup>1</sup>. ატოცის მონასტრის ყმა ყოფილა ჩარუაშვილი, ანჩისხატის ეკლესიისა – „ნაზაროვი“<sup>2</sup>.

ბოლო დროს დავით გარეჯის შესახებ მეზობელ სახელმწიფოში ქართველთათვის გაურკვეველი პრეტენზიები იქნა გამოთქმული. 1804 წლის საეკლესიო გლეხების აღწერაში დაფიქსირებულია მთელი რიგი სოფლები, რომლებშიც „წმინდის დავითის გარეჯის უდაბნოს გლეხნი“ მკვიდრობდნენ. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ თბილისი – აქ ასეთი 9 კომლი გლეხი ჰყავდა დავით-გარეჯს. ამ ეკლესიის 7 კომლი ცხოვრობდა ქვემო ქართლის სოფელ წაღასყურში. გარე კახეთის სოფლებიდან უნდა დავასახელოთ პატარძეული, საგარეჯო (თითქმის მთელი სოფელი. იმიტომაც შეერქვა ამ დასახლებულ პუნტს „საგარეჯო“, რომლის ადრინდელი სახელწოდება თვალი იყო), შიდა კახეთში: კარდანახი, ზიარი, ვაქირი, ჯიმიტი, იყალთო, ახშანი, აკურა (მთელი სოფელი), ვანთა და სხვა<sup>3</sup>.

## **8. ბერძნების შესახებ**

1859 წლის თელავის მაზრის აღწერით, სოფელ შაშიანში ცხოვრობდა რამდენიმე კომლი ეთნიკური ბერძენი, რომელთაგან ორი კომლი ქაშიშ-ოღლის გვარს ატარებდა, ერთი – ხუზუზ-ოღლის<sup>4</sup>. უცნაურია ბერძენთა გვარების თურქული სუფიქსით გაფორმების ფაქტი. ღოგორც ჩანს, ისინი ოსმალეთის იმპერიიდან იყვნენ მოსული და თურქულენოვანი ბერძნები (ურუმები) იყვნენ.

---

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 540, გვ. 74.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 540, გვ. 84-85.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 2044, გვ. 168-243.

<sup>4</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 2127.

## 9. სამეურნეო ყოფის ერთი ტრადიციის შესახებ

საქართველოს მრავალფეროვანი სამეურნეო ყოფა ახასიათებდა, რომლისთვისაც პრიორიტეტს მიწათმოქმედება წარმოადგენდა. მეურნეობის ეს დარგი კი უმეტეს შემთხვევაში მეცხოველეობასთან იყო შეხამებული. ამით იყო განპირობებული ორგანიზინადრობა, რაც მაგალითად, მეჯუდას ხეობის სათავეში მცხოვრებ მთიელებს ახასიათებდათ, რომლებსაც ხეობის ბარის ნაწილში ვენახები და სახნავეები ჰქონდათ. 1819 წლის აღწერის დავთარი გვიდასტურებს, რომ იმერეთის ხანის წყლის ხეობის რამდენიმე სოფლის მკვიდრთა მიერ მოსახლვრე სამცხის მთებში საცხოვრებელი ჰქონდათ – «ЖИТЕЛЬСТВО ИМЕЮТ В УЩЕЛЬЯХ АХАЛЦИХСКИХ ГОР»<sup>1</sup>.

ერწო-თიანეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს კახეთში, კერძოდ კი ახმეტაში, ვენახები ჰქონდა. ამის დამადასტურებელი ფაქტები კი ბევრია 1843 წლის სახელმწიფო გლეხების აღწერის დავთარში, მაგალითად, სოფელ სიმონიანთხევის მკვიდრ ბაია ბაიაშვილს თიანეთში ჰქონდა 16 დღიური მიწა, ახმეტაში კი ორი ვენახი 8.000 ძირი ვაზით<sup>2</sup>. იმავე დროს ერწოს სოფელ საყდრიონში მცხოვრებ გიორგი ტუშურის ოჯახს სახვნელი მიწა ჰქონდა ზემო თიანეთში 36 დღიური და ორი ვენახი თითოეული ოთხ-ოთხი დღიურის ფართობის, რომელშიც ჰქონდა 7.000 ძირი ვაზი, 10 თუთის ხე. იღებდა 240 კოდ ხორბალს, 60 კოდ ფეტვს, 15 კოკა (?) ღვინოს. ყავდა 800 ცხვარი და 9 ცხენი<sup>3</sup>. ცნობილია, რომ ერწო-თიანეთის ძირბველი, მტერს გადარჩენილი მოსახლეობა, თან-

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 805, გვ. 8-12.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 2040.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 2042.

დათან კახეთში, ძირითადად ახმეტაში გადასახლდა<sup>1</sup>. 1833 წლის საეკლესიო გლეხების აღწერით ირკვევა, რომ გადასახლებულ მოსახლეობას თავდაპირველ საცხოვრისში მამული კვლავ შენარჩუნებული ჰქონდა. ასე მაგალითად, ახმეტის სამთავარეპისკოპოსო გლეხებს – ქინკლაძეებს (7 კომლი), ნადირაშვილებს (7 კომლი), ფილაშვილებს (5 კომლი), მუკუხნელაშვილებს (3 კომლი), წინკვერაშვილებს, ჭიჭიკიშვილებს, ტურულიშვილებს, ახლაურებს, ტიკიშვილებს (თითო კომლი) – ასეთი მინაწერი აქვთ: „ამ ზემოთ აღნიშნულთა კომლთა აქვსთ უწინდელსა სადგომსა თელავის უეზდის სოფელს ერწოს სამკვიდრო მამული მამა-პაპეულთაგან დაშთენილი“<sup>2</sup>. სოფელ ახმეტაში „ღვთაების რუსთავის არქიეპისკოპოსის ყმანი“ ყოფილან ასევე ერწოდან გადმოსახლებული ძარღვაშვილები (7 კომლი), ერთგულაშვილები, ჭილაშვილები (4-4 კომლი), ჩაფურიშვილები (3 კომლი), შლაპაშვილები, ბეციაშვილები, კოხტაშვილები (2-2 კომლი), აგრეთვე თითო კომლი გავაზელაშვილი, ქავაზაშვილი (XVIII საუკუნეში – ქავაზაური), ფშავლიშვილი, ღოთიაშვილი, მაკუჭაძე (ერწოში სოფელი არსებობდა – მაკუჭაძეთკარი), ბუჩუკურიშვილი, გიგინაშვილი, ქიბროწაშვილი, ჯილაური (მათ სოფელსაც *ჯილაური* ერქვა), კოკოზაშვილი. მათ ასეთი საერთო მინაწერი აქვთ: „ამ ზემო აღნიშნულთა სასულიერო ყმათ თელავის უეზდის სოფელს ერწოს აცხადებენ იგინი რომელ მამა-პაპეული სახნავი მიწები იქონიების, ჰქონდა კუთვნილად, რომელსა მომეტებით სხვას სახელსასა უწოდებენ სახელდობ (?) ნაქალაქეს“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> თოფჩიშვილი რ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII–XX სს-ში. – თბ., 1984.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 2045, გვ. 370-375.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 2045, გვ. 376-380.

უფრო ადრინდელი საბუთებით, ერწო-თიანელებს კახეთში (ახმეტაში) ვენახები ჰქონიათ. 1787 წლის ერთ-ერთ განჩინებაში ვკითხულობთ: „ეს ბუღაურის სახასო ყოფილა თიანეთს არხალს ნასახლები, რომ თიანელთ ვენახები აქ ახმეტას აქვსთ – ზოგს ნასყიდი და ზოგს ბატონების წყალობა<sup>1</sup>. ასე რომ, ერწოსა და თიანეთის მოსახლეობა ახმეტასა და მის ახლო-მახლო სოფლებში საკუთარ მამულებში ჩასახლდა და გადასახლების შემდეგაც მათ ძველ საცხოვრისში ეს მამულები შეინარჩუნეს.

ჯავახეთის ზეგნის კიდესთან ახლოს მდებარე სოფლებს მეურნეობის ერთგვარად სხვაგვარი სისტემა ჰქონდათ შექმნილი – მათ ბაღები და ვენახები მტკვრისა და მის შენაკად ხეობებში ჰქონდათ. ამ სოფლების (კუმურდო, ხანდო, ჩუნჩხა, პრტენა, გოგაშენი, აფნია, სარო, ხიზაბავრა, კვარშა) მკვიდრთ ჩვეულებრივ მანცდამაინცდიდი დრო არ ეკარგებოდათ მტკვრის პირზე კუთვნილი ბაღებისა და ვენახების დასამუშავებლად. მეურნეობის ასეთი ფორმის საწარმოებლად კი პირდაპირ მისწრება იყო ტრადიციული დიდი ოჯახები. 1886 წლის საოჯახო სიებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაცული. ჯავახეთის რამდენიმე სოფელს – ჩალდას, ზემო ვარძიას, თმოგვს და სხვებს – პარალელურად ზამთრის სადგომიც/„საზამთრო სოფელიც“ ჰქონია, რომელიც რუსული ტერმინით – «зимовники» არის მოხსენიებული. ირკვევა, რომ ზედა ვარძიის „საზამთრო სოფელი“ ყოფილა გიორგიწმინდა, ხოლო თმოგვისა – ნაქალაქევი<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1970, გვ. 135.

<sup>2</sup> სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ. № 1848.

## 10. გარე მიგრაციული პროცესები

თბილისის მაზრის *კუკიისა* და *ჩუღურეთის* 1823 წლის აღწერებს შემდეგდროინდელი მინაწერი აქვს, რომ სოფლები თბილისს 1824 წელს შეურეთდა<sup>1</sup>. კუკიის აღწერაში ცალკეა გამოყოფილი მიგრირებული მოსახლეობა, რომლებიც აზერბაიჯანის ტერიტორიიდან მოსულან, კერძოდ, განჯიდან და ყაზახიდან. ეს მიგრირებულები ეთნიკური სომხები იყვნენ. ამ დროს კუკიაში 13 კომლი განჯელი სომეხი ცხოვრობდა. თბილითან ახლად მიერთებულ სოფლებში ჯავახეთიდან გადმოსახლებული ქართველებიც ცხოვრობდნენ. კუკიაში ესენი იყვნენ *გოვიჯანაშვილები*, *ყანდინაშვილები*, *ბერუაშვილები* (სულ 8 კომლი), ჩუღურეთში – *ბაბიურიშვილები*, *პახაძეები*, *მალხაზაშვილები* (სულ 5 კომლი)<sup>2</sup>.

1860 წლის თბილისის მაზრის აღწერიდან ირკვევა, რომ მეზობელი აზერბაიჯანის ტერიტორიიდან ქვემო ქართლის სოფელ *ანდრიაში* 15 კომლი თათარი იყო გადმოსახლებული<sup>3</sup>. ამავე აღწერით, ქვემო ქართლის სოფლებში *ბარმაქიზში* (98 ოჯახი) და *ბაკშიში* (44 ოჯახი) მართლმადიდებელი ბერძნები იყვნენ გადმოსახლებული, მათ შორის ორი კომლი – კონსტანტინეპოლიდან<sup>4</sup>. ონსტანტინეპოლიდან სამი კომლი იყო მოსული ბერძნულ სოფელ *ბულიასან-კეივანში*<sup>5</sup>. 1859 წლის აღწერა ამ სოფელში ბერძნების კონსტანტინეპოლიდან მოსვლის თა-

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№ 801, გვ. 101, 106; სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.№ 803, გვ. 255, 296.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ.№ 803, გვ. 276, 289, 302.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ.№ 2130-ა, გვ. 35-40.

<sup>4</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ.№ 2130-ა, გვ. 166, 196.

<sup>5</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ.№ 2130-ა, გვ. 260.

რიღს აკონკრეტებს – ერთი კომლი 1845 წელს, ორი კომლი – 1850 წელს მიგრირებულა<sup>1</sup>. 1860 წლისათვის ბერძნები ცხოვრობდნენ თბილისის მაზრის სოფელ *ტეუისში* (21 კომლი); ისინიც კონსტანტინეპოლიდან იყვნენ გადმოსახლებული<sup>2</sup>. ხოლო სოფელ *ხადიკში* ეთნიკური ბერძნები (23 კომლი) ალექსანროპოლის მაზრიდან იყვნენ მიგრირებული<sup>3</sup>. კონსტანტინეპოლიდან იყო მოსული აგრეთვე სოფელ *ხარაბაში* მცხოვრები 21 კომლი ბერძენი<sup>4</sup>.

ჯავახეთის სოფელ *ხანდოში* 1860 წელს 18 კომლი ქურთი ცხოვრობდა, რომლებიც ყარსიდან და ერევნის გუბერნიის სხვადასხვა სოფლიდან იყვნენ მიგრირებული<sup>5</sup>.

## 11. საინგილოს შესახებ

კამერალური აღწერის დავთრები ისტორიული აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) შესახებაც იძლევა გარკვეულ წარმოდგენას. ზაქათალას ოკრუგის ენისელის უჩასტკას 1859 წლის აღწერაში დაფიქსირებულია ინგილოების სოფლები. ეს სოფელი იყო *ენგიალი*. მის მკვიდრებს სარწმუნოების გრაფაში „მაჰმადიანი“ აქვთ მიწერილი (56 კომლი, 362 სული. მათ შორის ერთი კომლი ქრისტიანი იყო, რომელსაც გვარი არა აქვს დაფიქსირებული): «Крестьяне грузинского племени, так называемые Энгилоицы». ანალოგიური მინაწერი აქვს აგრეთვე სოფელ *მოსელის* (193 კომლი, 1.168 სული. აქაც ერთი კომლი ქრისტიანი იყო), *კაპანახის* (36 კომლი, 227 სული),

---

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ.№ 2121, გვ. 51-57.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ.№ 242, გვ. 413-41.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 242, გვ. 505-515.

<sup>4</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ.№ 242, გვ. 525-530.

<sup>5</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ.№ 242, გვ. 517-522.

ყანდახის (97 კომლი, 477 სული) მკვიდრებს<sup>1</sup>. 1888 წლის ზაქათალას ოკრუგის აღწერაში ქრისტიანი ქართველების – ინგილოთა ეთნოგრაფიული ჯგუფი ცალკეა აღრიცხული. ასეთი სოფლები იყო *ალიბგეალო*, რომელშიც 120 კომლი (862 სული) ცხოვრობდა, *ყარაღანი ინგილოების* (58 კომლი, 312 სული), *კეტუხლო ინგილოების* (38 კომლი, 227 სული), *კახ-ენგილო* (322 კომლი, 2150 სული), *მეშაბაში* (23 კომლი, 130 სული). საინგილოში ქართველებად აღრიცხული მოსახლეობა -შვილი სუფიქსიან გვარს ატარებდა: *ემრაშვილი*, *ნადირაშვილი*, *ხუციაშვილი*, *ასლამაზაშვილი*, *ანდრიაშვილი*, *თოფლიშვილი*, *მალუმაშვილი*, *ჯანაშვილი*, *შიოშვილი*, *მურადაშვილი*, *ქეხიშვილი*, *დარეჯანაშვილი*, *თარხანაშვილი*, *პაპუნაშვილი*, *საკნელაშვილი*, *მარკოზაშვილი*, *ანდრიაშვილი*, *სარდალაშვილი*, *ბაბაჯანაშვილი*, *ნადირაშვილი*, *ბერიკაშვილი*, *აბულაშვილი*, *პაპიაშვილი*, *ჩალახაშვილი*, *ლომაშვილი*, *ოთარაშვილი*, *თამაზაშვილი*, *შიოშვილი*, *ფოლადაშვილი*, *ზურაბაშვილი*, *ტარტარაშვილი*, *როსტიაშვილი*, *ქიტიაშვილი*, *კუზიბაშვილი*, *ბეჟანაშვილი*... სხვა ყველა აღწერისაგან განსხვავებით, ზაქათალას ოკრუგში მცხოვრებ ქრისტიან ქართველებს მამის სახელი ქართული ფორმით აქვთ ჩაწერილი, მაგალითად, «Андрей (პიროვნული სახელი) Николадзе (მამის სახელი) Зурабашвили (გვარსახელი)».

ველა მათგანს ეროვნების გრაფაში ქართველი უწერია, სარწმუნოების გრაფაში – მართლმადიდებელი, საოჯახო სალაპარაკო ენის გრაფაში – ქართული. თუ დავაჯამებთ ქრისტიანი ქართველების რაოდენობას, მივიღებთ 561 კომლს. სულთა რაოდენობა კი 3.681 იყო. ზემოთ თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ სოფელი ყარაღანი დავთარში შეტანილია ასე: „ყარაღან-ენგილო“, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ არსებობდა ამავე სახელწოდების სხვა სოფელიც, რომელსაც „ყარაღან-მუსულმან“ ერქვა

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ.№ 2120, გვ. 65, 87, 153, 167.

და რომელშიც ინგილოები ცხოვრობდნენ, რომლებიც მუსლიმები იყვნენ და რომელთა სალაპარაკო ენას თათრული წარმოადგენდა, ე. ი. ისინი ენობრივად უკვე ასიმილირებული იყვნენ. მაჰმადიან (სუნიტ) ქართველებს ეთნიკურობის («народность»-ის) გრაფაში „ინგილო“ ეწერათ, ხოლო საოჯახო სალაპარაკო ენის გრაფაში – ქართული. მაჰმადიანი ქართველები (ინგილოები) ცხოვრობდნენ შემდეგ სოფლებში: *ითი-თაღა* (68 კომლი, 362 სული), *მარხანი* (63 კომლი, 316 სული), *ღიაღია-ფაშა* (35 კომლი, 185 სული), *მოსული* (262 კომლი, 1,259 სული). ინგილოების იყო სოფელი *ენგიანი* (94 კომლი, 414 სული), მაგრამ ამ სოფელში ყველას არ ჰქონდა შენარჩუნებული ქართული ენა – 22 კომლის საშინაო სალაპარაკო ენას თათრული წარმოადგენდა. სამწუხაროდ, აღწერის დავთარში არაა შეტანილი მაჰმადიან ქართველთა ყველზე დიდი სოფელი *აღიაბადი*. ქართველ მაჰმადიანთა/ინგილოთა რაოდენობა შეადგენდა 522 კომლს (2,536 სული)<sup>1</sup>. ქალაქ *ზაქათაღას* აღწერაში შეყვანილია სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების 12 კომლი, რომელთა შინაური სალაპარაკო ენა ქართული იყო. აქვე 11 კომლი მართლმადიდებელი ქართველიც ცხოვრობდა.

## 12. ლეკიანობის შესახებ

ქართულ საისტორიო სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რუსეთის იმპერიის საქართველოში შემოსვლის შემდეგ ლეკიანობა შეწყდა. რა თქმა უნდა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიელთა თარეშების აღკვეთაში. მაგრამ, როგორც ჩანს, XIX საუკუნეში ლეკთა მეკობრეობა კვლავ გრძელდებოდა. ასე მაგალითად, თელავის მაზრის 1853 წლის კამერალური აღწერის დავთარში სოფელ გრემში მცხოვ-

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1897, 1900, 1902, 1906, 1907.



რებ კახაშვილების ერთ-ერთ ოჯახს მინაწერი აქვს: „ერთი ათი წლის ბიჭი აბრამ კახაშვილი ტყვედ არის ღეკებთან“<sup>1</sup>. ანალოგიური ფაქტია დადასტურებული 1843 წლის აღწერის დავთარში – თიანეთის სოფელ ჩაბანოდან ღეკების ტყვეობაში ყოფილა ღეგა ცხაოშვილის 16 წლის ვაჟი ზურაბი<sup>2</sup>.

ამრიგად, XIX საუკუნის კამერალური აღწერის დავთრები და საოჯახო სიები მნიშვნელოვან მონაცემებს მოიცავენ საქართველოში იმ დროს მიმდინარე მთელი რიგი პროცესების შესახებ, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ოფიციალურ დოკუმენტებში დადასტურებული შიდა და გარე მიგრაციული პროცესები, ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები, ქართველთა კონფესიური ჯგუფები, ქართულ-ოსური ურთიერთობები, ქართულ-ოსური ურთიერთობები, ებრაელები საქართველოში, რუსი სექტანტები საქართველოში, სამეურნეო და საოჯახო ყოფის საკითხები. უნიკალური მონაცემებია დაცული ქართული ანთროპონიმების (გვარსახელები, პიროვნული სახელები) შესახებ. მნიშვნელოვანი მონაცემებია დაცული პერსონალიების შესახებაც. მაგალითად, 1886 წლის საოჯახო სიაში სოფელ *ჩარგალში* აღრიცხულია ვაჟა-ფშაველას მამის ოჯახი. ის აღწერაში შეყვანილია 66-ე ნომრით. ოჯახის შემადგენლობა ასეთი იყო: «Разиков Павел Георгиевич – 59 (მოგვიანებით სხვა ხელით და სხვა მეღნით მინაწერი აქვს: «священник»); сыновья: Георгий – 29, Лука – 24. Николай – 19, Тевдор – 14, Сандро – 12»<sup>3</sup>. ამ საარქივო მასალის თანახმად, ვაჟა-ფშაველა 1862 წელს ყოფილა დაბადებული.

---

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 2090, გვ. 421.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 2042.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 1758.

## თავი II. XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრები საოჯახო ყოფის შესახებ

წიგნის წინამდებარე მონაკვეთიდან გაირკვა, რომ XIX საუკუნის კამერალური აღწერის დავთრებში ბევრი საყურადღებო მონაცემია, მათ შორის, სოციალურ ურთიერთობებზე. ცნობილია, რომ ქართულ მართმადიდებელ ეკლესიას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გარკვეული პრობლემები ჰქონდა შექმნილი. საამისოდ შეიძლება „წილკნის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელი“ (1669 წ.) გავისხენოთ: „ქაისხეველებს ამიტომ არა ეღვათ რა, რომ იმათი გული კიდევ მოუქცევარი იყო: ეფისკოპოზის შესვლას წყინობდნენ, არც აღსარებისა იცოდნენ“; „ანანურს ზევით მთიულეთს წილკნელისა არა ეღვა რა: არა ღრამა, არა საწირავი, არა სახუცო, არც ძველს გუჯარში ეწერა“; მთიულეთს „მცირე რამ ქრისტიანობა იყო და ორი ხუცესი, არც ქრისტიანობა და არც ნათლისღების შევილობა მართალ არ ეწოდებოდა, ისევ კერპის მგზავსნი იყვნენ; არც მართლა ნათლისღება იცოდნენ, აღსარება სრულიად არ იყო, არც მარხვა იცოდნენ, თვინიერ დიდმარხვის მეტი“<sup>1</sup>. ვითარება არც შემდეგ შეცვლილა. არის მოსახლეობაში ქორწინების კანონიერებას თუ საეკლესიო ჯვარისწერა განსაზღვრავდა, მთაში ეს ფუნქცია საქორწინო რიტუალს – ქორწილს ჰქონდა. ჯვრის დაუწერლობა მთიანეთის მთელ რიგ მხარეებში ჩვეულებრივი ამბავი იყო.

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტომო III, 1970, 53, 559.

1886 წლის საოჯახო სიებით, ერწოს სოფელ *ნაქალაქარში* თამარა ზაქარიას ასული ქმარზე 12 წლით უფროსი გახლდათ. იქვე აღმწერს დაფიქსირებული აქვს ოჯახის უფროსის მეორე ცოლი: „ელენე იოსების ასული – არაკანონიერი ცოლი – 40 წლის; არაკანონიერი ქალიშვილი თინა მიხეილის ასული – 3 წლის“<sup>1</sup>. საარქივო მასალიდან ჩანს, რომ ოჯახის უფროსის პირველი ცოლი კანონიერი იყო – მასთან ჯვარი ჰქონდა დაწერილი. აგრამ მიხეილ აფციაურს მეორე ცოლიც შეურთავს, რომელთანაც, ბუნებრივია, ჯვარს არაინ დაწერდა. იუხედავად ამისა, მან ეს მაინც გააკეთა. მეორე ცოლის შერთვა საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში ჩვეულებრივ პირველი ცოლის თანხმობით ხდებოდა. ეს ტრადიციული წესი ვაჟის არყოლის შემთხვევაში ხორციელდებოდა. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ერთგვარ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, რადგან ორცოლიან მამაკაცს პირველ ცოლთან ვაჟი ჰყავდა.

არაკანონიერი, ე. ი. ჯვარდაუწერელი ცოლი – მარიამ დავითის ასული – ჰყოლია თიანეთის სოფელ *ალოტში* მცხოვრებ *სულხან ჩოფიკაშვილსაც*. მთური ტრადიციიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, ის უბრალოდ საჭიროდ არ მიიჩნევა ჯვარის დაწერას. არაკანონიერი ცოლი ჰყავდა ერწოს სოფელ *გორანაში* მცხოვრებ 72 წლის *გამახელა უთურგას ძე არაბულს*. სოფელ *ტოლათსოფლის* მკვიდრი 60 წლის *ხათუთა აპარეკას ასული*, არაკანონიერ ცოლადაა ჩაწერილი<sup>2</sup>. ერწოს სოფლებში *ჯიღაურაში* (იგივე *გუდანელები*), *ხადოელებსა* და *თოხილჩებში* ძირითადად ხევსურეთიდან ჩამოსახლებულები ცხოვრობდნენ (*ჭინჭარაულები, არაბულები, ქერაულები, გოვოჭურები, წიკლაურები, ბასილაურები...*). 1886 წლის საოჯახო სიებში თითქმის ყველა მეორე ოჯახ-

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1741.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1735.

ხის უფროსს მიწერილი აქვს, რომ ჰყავს უკანონო ცოლი. მაგალითად 32 წლის *გიორგი ვეფხვიას ძე არაბულის* უკანონო ცოლი იყო სოფელ *ნადოკრის* მკვიდრი *ბუბა ბახას ასული* (27 წლის). შესაბამისად მათი შვილიც მარიამი უკანონო ქალიშვილადაა დაფიქსირებული. ასევე უკანონო ცოლი ჰყავდა 28 წლის *გიორგი ოდიას ძე ჭინჭარაულს*, 32 წლის *ქორია ბეწინას ძე რეინაულ-არაბულს* და ა. შ.<sup>1</sup>. ყველა ხევსურის ცოლი აღწერის დავთარში არაკანონიერადაა ჩაწერილი, იგივე შეიძლება ითქვას მათი შვილების შესახებაც. ამალითად, 40 წლის *დავით ქიბიშაურის* ცოლიც, ვაჟიც და ქალიშვილიც, აგრეთვე ძმიშვილებიც არაკანონიერად არიან აღრიცხული<sup>2</sup>. ერწოს სოფელ *საყარაულოში* ცხოვრობდა 24 წლის *გიორგი იაკობის ძე ჩეკურაშვილი*, რომელსაც 36 წლის არაკანონიერი ცოლი ჰყავდა – *მზექალა ჩალხიას ასული*, რომელიც ფშავის სოფელ *ჭიჭოღან* იყო გამოთხოვილი<sup>3</sup> (**ამ წყვილს შორის ასაკობრივი სხვაობა 12 წელი იყო – ქმარი ცოლზე უმცროსი გახლდათ**).

1873 წლის აღწერით „უკანონოშობილი“ შვილები აღრიცხული არიან სოფელ ახატანში. ასეთი სამი ვაჟი ჰყოლია ბერბიჭაშვილის ოჯახს. ამავე კატეგორიით არიან სოფელში აღრიცხული ვანკა მჭედლიშვილი და მოსე შოთნიაშვილი<sup>4</sup>. ჩამოთვლილნი თუ ჯვარდაუწერელი მშობლებისაგან იყვნენ გაჩენილი, ამას უკვე ვერ ვიტყვით სოფელ გოროვანში აღრიცხულ შემთხვევაზე – პიროვნებას აქ ასეთი მინაწერი აქვს: „უკანონო შვილი ანასი ზაქარია, გედევანოვის ნამუხლარი“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1737.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1747.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1750.

<sup>4</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 226, გვ. 115.

<sup>5</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 228, გვ. 86.

ანალოგიური მდგომარეობაა დაფიქსირებული ერ-  
წოს სოფელ *ტოლათსოფელში* (იგივე *ბაქნიანთხევი*). ამ  
სოფლის თითქმის ყველა ოჯახის რძალი არაკანონიერა-  
დაა აღრიცხული (ასეთები იყვნენ *ანდრია ხახანას ძე*  
*ბურდულის* (35 წლის), *ქოლიკე თათარას ძე ბურდულის*  
(50 წლის), *ბეწინა თათარიძის ძის* (29 წლის), *გიგია ბი-*  
*ჩინავის ძის* (37 წლის), *გარსია ხახანას ძის* (28 წლის)  
და სხვათა მეუღლეები და შესაბამისად მათი შვილები)<sup>1</sup>.  
არა ერთი და ორი იყო ასეთ მდგომარეობაში ერწოს სო-  
ფელ *თრანში*. ისევე როგორც სხვა სოფლებში აქაც  
ჯვარდაუწერლებს ხევესურეთიდან გადმოსახლებულები  
წარმოადგენდნენ. ამ თემასთან დაკავშირებით, აუცილე-  
ბელია აღვნიშნოთ, რომ უკანონო ცოლები და შვილები  
მხოლოდ ერწო-თიანეთის სოფლებშია აღრიცხული. რაც  
შეეხება ხევესურეთს, აქ ასეთებად არავინაა ჩათვლილი.  
მთის სოფლის აღწერებზე დაკვირვება იმასაც ადასტუ-  
რებს, რომ მთიელები გვიან ქორწინდებოდნენ, 28-29  
წლის მამაკაცებს ოჯახები ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შექ-  
მნილი.

XIX საუკუნის აღწერის დავთრები უნიკალური წყა-  
როა საოჯახო ყოფის შესასწავლად. ქართველი ეთნო-  
ლოგები საოჯახო ყოფას, იშვიათ გამონაკლისის გარდა,  
მხოლოდ ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე სწავ-  
ლობდნენ, არადა აღწერის დავთრები ამ მხრივ უნიკა-  
ლურ მონაცემებს შეიცავს, რადგან დაფიქსირებულია  
ოჯახების სულადობრივი შემადგენლობა. შესაძლებელია  
დიდი ოჯახების შემადგენლობისა და სიხშირის დადგე-  
ნა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იყო დიდი ოჯა-  
ხები ქართლსა და კახეთში. მთაში დიდი ოჯახები შედა-  
რებით მცირე რაოდენობით იყო და აქ ისინი ასეთი სი-  
დიდის არც იყო. ფშავსა და თუშეთში მხოლოდ ორიოდ  
შემთხვევა იყო დაფიქსირებული, რომლებშიც ორი ცოლ-

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1752.

შვილიანი ძმა ერთად ცხოვრობდა. ხევსურეთშიცაა ასეთი შემთხვევა დაფიქსირებული. მაგალითად, სოფელ ახიელში 1886 წელს ორი ძმა ერთად ცხოვრობდა, მაგრამ დასკვნა შეიძლება ამონაწერის შემდეგ გავაკეთოთ: „ოჩიაური დათვია აბას ძე – 50 წლის; ძმა ბადა აბას ძე – 47 წლის; ძმიშვილები: მინდია (14 წლის) და თოთია (3 წლის) ბადას ძენი; ცოლი – ქალია გოგოთურის ასული (45 წლის), ქალიშვილი – ლელა დათვიას ასული (15 წლის), რძალი (ძმის ბადას ცოლი) – ნანუკა გაგას ასული (40 წლის), ძმისშვილები: ნინო (15 წლის), მზექალა (6 წლის) ბადას ასულნი“<sup>1</sup>. ამრიგად, ხევსურეთში ესაა ორი ცოლშვილანი ძმის ერთ ოჯახად ცხოვრების იშვიათი შემთხვევა, მაგრამ მათი ერთად ცხოვრება ფაქტობრივად იმან განაპირობა, რომ ოჯახის უფროსს მხოლოდ ქალიშვილი ჰყავს, მას მემკვიდრე არ გააჩნია. ძმას ბადას კი ორი ვაჟიშვილი ჰყავდა; ტრადიციით კი მხოლოდ ისინი ითვლებოდნენ მემკვიდრეებად. ეს მასალა იმასაც აჩვენებს, რომ ორივე ძმა გვიან დაქორწინებულა – პირველი 34 წლის ასაკში, მეორე – 31 წლისა. ფშავის სოფელ ახადის მონაცემები კი იმის შესახებ მიუთითებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ორი ცოლიანი ძმა ერთად ცხოვრობდა, მაგრამ ერთ-ერთ ძმას შვილები არ ჰყავდა. გაყრა ყოველთვის ვაჟისშვილის გაჩენის შემდეგ ხდებოდა. თქმულს ადასტურებს 1886 წლის სოფელ ბუჩუკურთის საოჯახო სიებიც. უთურგა აბშილის ძე გოგოჭურს 2 ვაჟი ჰყავდა. ოჯახში მასთან ერთად ცხოვრობდა ორი ძმა: ალუდა (27 წლის) და ულაკაური (22 წლის). მის ერთ-ერთ ძმას ცოლი ჰყავდა, მაგრამ საქორწინო წყვილი ჯერ შვილების გარეშე იყო, ამიტომაც ძმები ერთმანეთთან ჯერ გაყრილები არ იყვნენ. ხევსურული ტრადიციით შვილში კი აუცილებლად ვაჟიშვილი იგულისხმება. 1886 წლისათვის ხევსურეთში გამონაკლისს მუცოში არსებუ-

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 1728, გვ. 23.

ლი ერთი დიდი ოჯახი წარმოადგენდა, რომელშიც 14 სული ცხოვრობდა:

„ქავთარ გიორგის ძე ჭინჭარაული – 60 წლის;

შვილი გიორგი ქავთარის ძე – 20 წლის;

ძმა ბატარა გიორგის ძე – 50 წლის;

ძმისშვილები:

გიორგი გიორგის ძე – 10 წლის,

გაგა თაძიას ძე – 37 წლის,

გიორგი ბათირას ძე – 35 წლის;

[ეს ორი ძმა – თაძია და ბათირა – ცოცხლები აღარ ჩანან]

ასლო ბიძაშვილები:

გიორგი (9 წლის) და ღვთისაგარ (7 წლის) გაგას ძენი;

ცოლი: ნათელა ლაგაზის ასული (70 წლის);

რძლები: ნანა ნადირას ასული (60 წლის),

ლეკა ბეკურის ასული (70 წლის),

ლელა სამუკას ასული (60 წლის),

ლელა აპარეკას ასული (40 წლის),

სამძიმარა ზიას ასული (27 წლის)“.

მოყვანილი საარქივო დოკუმენტით, დიდი ოჯახის წევრთა საშუალო ასკი 46 წელი იყო.

ხევსურებში ინდივიდუალურ ოჯახებს ნელ-ნელა წაყლი მხოლოდ სხვაგან, მაგალითად ერწო-თიანთში, გადასახლების შემდეგ შეუდგა. ფშავლებს შორის დიდი ოჯახები, თუმცა არა ისეთი მასშტაბის როგორც ქართლსა და კახეთში, იგრის ფშაველებში იყო წარმოქმნილი, რაც განპირობებული იყო ამ გეოგრაფიულ გარემოში მეურნეობის მასშტაბებით. მაგალითად, სოფელ ბახალში 1886 წელს ასეთი დიდი ოჯახი სულ სამი იყო: იოსებ ბერის ძე ელოელიშვილის (55 წლის) ოჯახში 19 სული ცხოვრობდა, ხოლო გიორგი ბეწინას ძე ბეწინაშვილის ოჯახში – 13 სული. ამ უკანასკნელი ოჯახის შემადგენლობა ასეთი იყო: „გიორგი ბეწინას ძე ბეწინაშვილი – 31 წლის, მისი შვილი – იაკობ გიორგის ძე (1

წლის), ძმები: გამახარე (29 წლის) და ღვთისაგარ (35 წლის) ბეწინას ძენი; ძმისშვილები: ლახარე (7 წლის), მიხეილ (5 წლის) გამახარეს ძენი; ცოლი – პატარქალი ღვთისასული (40 წლის. **ცოლი ქმარზე 9 წლით უფროსია**); ქალიშვილები: ბაბალე (12 წლის) და კუკია (7 წლის) გიორგის ასულნი; ძმისშვილი – სოფიო ღვთისასასული (2 წლის); დედა თინათინ ქავთარის ასული (80 წლის); რძლები: სალომე ხუმარას ასული (36 წლის) და დედუნა ციოტის ასული (29 წლის).

დიდი ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი **24,15 წელი** იყო.

1886 წელს კლასიკური დიდი ოჯახები დაფიქსირებულია „იერის ფშავის“ სოფელ ყვარაში. ნადირა გიორგის ძე ზურაბიშვილის (54 წლის) დიდ ოჯახში 43 სული ცხოვრობდა, არჩემა მწარიას ძე არჩემაშვილი (50 წლის) ოჯახში – 24 სული, ჯუღურა ჯილოს ძე ნათათრალიშვილის (56 წლის) ოჯახში – 16 სული<sup>1</sup>. პირველ მათგანში, რომელშიც ოჯახის უფროსის ძმები და ბიძაშვილები ცხოვრობდნენ **11 რბალი იყო აღრიცხული**, ე. ი. ფშაველთა შორის დიდი ოჯახები „იერის კუდებში“ მცხოვრებ და ერწო-თიანეთში მიგრირებულებს შორისაა დაფიქსირებული. ამავე სოფელში კიდევ სამი დიდი ოჯახი იყო: *ჩერქეზა თინიბექის ძე ხვლეურის* ოჯახი 24 სულისაგან შედგებოდა, ე. *არჩემაშვილისა* – 36 სულისაგან, *ნადირო გიორგის ძე ზურაბიშვილისა* – 36 (21 მამრობითი – 15 მდედრობითი) სულისაგან<sup>2</sup>. ნადიროსთან **ოჯახში ცხოვრობდა ორი ცოლშვილიანი ძმა და ხუთი ცოლშვილიანი ბიძაშვილი** (კვირიკას ძენი და მამუკას ძენი). ამავე ოჯახში იყო ნადირას ბიძა ბეწინა (57 წლის), რომელსაც ორი ვაჟი ჰყავდა, 15 და 8 წლისანი. 1873 წელს *ზემო თიანეთში გიორგი ღვთისაგარის ძე იორამაშვილის* ოჯახში 31

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 1742, გვ. 35-26, 46-47, 49-51

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 171, გვ. 49.



სული იყო (17+14). საკმაოდ ბევრი დიდი ოჯახი იყო 1886 წლის საჯახო სიებით ერწოში. სამაგალითოდ შეიძლება სოფელი საყდრიონი დავასახელოთ; აქ ივანე გლახას ძე პატურაშვილის (იგივე სისაურის) (42 წლის) ოჯახში 18 სული ცხოვრობდა, ზაქარია გიორგის ძე ნინიაშვილის (წივილაშვილის) (62 წლის) ოჯახში – 18 სული, მწარია გიორგის ძე ნინიაშვილის (წივილაშვილის) (61 წლის) ოჯახში – 16 სული, დავით ირემას ძე ომარაშვილის (ხახაშვილის) (51 წლის) ოჯახში – 15 სული, შიო გრიგოლის ძე სიმონაშვილის (45 წლის) ოჯახში – 16 სული, დიმიტრი ბეროს ძე ტუშურის (66 წლის) ოჯახში – 23 სული. ანალოგიური ვითარება გვექონდა სოფელ თოლენჯშიც

1873 წლის კამარალური აღწერის დავთარში გუდამაყრის სოფელ *ლუთხუბში* ორი დიდი ოჯახი იყო. *ხუზაურ ჭრელას ძე თლოშიაურის* (61 წლის) ოჯახში 22 სული (11 მამრობითი + 11 მდედრობითი) ცხოვრობდა. ხუზაურთან 4 ცოლ-შვილიანი ძმა იყო: *სიმონი* (53 წლის), *ღვთისავარი* (51 წლის), *ფილიპე* (46 წლის), *გიორგი* (33 წლის). ხუზაურს სამი ვაჟი ჰყავდა – *ვასილი* (30 წლის), *გიორგი* (22 წლის), *გაბრიელი* (7 წლის). *სიმონი*, *ღვთისავარი*, *ფილიპე* და *გიორგი* თითო-თითო ვაჟის მამები იყვნენ – *ივანე* (6 წლის), *გრიგოლი* (7 წლის), *აბრაძი* (2 წლის). ოჯახში შემადგენლობაში იყო მეექვსე გარდაცვლილი ძმის შვილი – *მარტია* (33 წლის), რომელსაც სამი ვაჟი ჰყავდა (*მარტია*, 8 წლის), *ვაჟიკა* (4 წლის) და *ივანე* (1 წლის).

1860 წლის კამერალურ აღწერაში დიდი ოჯახები დადასტურებულია მთიულეთში. აქ ასეთი **ოჯახების სულთა შემადგენლობა საშუალოდ 20 იყო**. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ სოფელ მულურიანში ანუ ქავთურთაში მცხოვრები ბერი პაპას ძე *ქავთარაშვილის* (80 წლის) მაგალითი. მასთან ერთად ცხოვრობდა ოთხი ცოლ-შვილიანი ვაჟი: *ივანე* (48 წლის), *გიგოლო* (42 წლის), *გამახარე* (40 წლის) და *იაკობი* (37 წლის). ივანეს

ჰყავდა ერთი ვაჟი – გლახა (12 წლის), გიგოლოს 3 ვაჟი: შიო (20 წლის), გლახა (4 წლის) და გიორგი (2 წლის). მესამე ვაჟსაც გამახარეს ერთი ვაჟი ჰყავდა – დიმიტრი (2 წლის). აღწერის დავთარში ქალები შეყვანილი არ არიან, მაგრამ ნაჩვენებია მათი რაოდენობა (10). საერთო ჯამში გაუყერლ ოჯახში 20 სული იყო გაერთიანებული. მთიულეთში 20 სულიანზე მეტი გაუყერელი ოჯახი, ერთი გამონაკლისის გარდა, არ დასტურდება. ესაა სოფელ ზემო ჩირიკში შიო გლახას ძე *კობაიძის* (40 წლის) ოჯახი: „შვილები: გივი (17 წ.), მათე (14 წ.), მახარებელი (10 წ.). კომლში ცხოვრობდა შიოს ძმა ბერი (37 წ.), რომელსაც ჰყავდა 1 წლის ანდრია. გაუყერელ ოჯახში ცხოვრობდნენ ოჯახის უფროსის ორი გარდაცვლილი ძმის შვილებიც: აბრამი (22 წ.) და იაკობი (19 წ.) სიმონის ძენი და გაბრიელი (16 წ.) და შიო (10 წ.) გიგილოს ძენი. დიდ ოჯახში შედიოდა აგრეთვე ორი ბიძაშვილი: იაკობ (28 წ.) და სიმონ (23 წ.) გივის ძენი. ასე რომ, ამ ოჯახში 13 მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო, რასაც 11 მდედრობითი სქესისა ემატება (სულ 23 სული). ანალოგიური მდგომარეობა გვექონდა გუდამაყარშიც. 1860 წელს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ყველაზე დიდი გაუყერელი ოჯახი (24 სული) სოფელ დუმაცხოში იყო:

„დიდება პაპას ძე აფციური – 80 წლის,

მისი ძმისშვილი: მამუკა – 60 წლის,

მისი (დიდებას შვილები): ხვედია (38 წლის), კირცკოლა (35 წლის), კაწარა (28 წლის), შიო (28 წლის), ღერენა (25 წლის), გიორგი (15 წლის);

ხვედიას შვილი: სტეფანე (7 წლის),

კაწარას შვილი: ივანე (1 წლის),

მამუკას შვილები: ბერი (22 წლის), გიორგი (18 წლის), პაპი (16 წლის), გივი (6 წლის), გოგი (4 წლის)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 250, გვ. 286, ოჯახის № 19.

15 მამაკაცთან ერთად ოჯახში 9 მდედრობითი სქესის წარმომადგენელიც იყო. ამ დიდი ოჯახის წევრი მამაკაცების საშუალო ასაკი **25,3 წელი** იყო.

ვითარება ამ მხრივ განსხვავებული არ გვექონდა ხევის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეშიც. მაგალითად, სოფელ გარბანში თადია რუხიას ძე *გელიაიძის* (40 წლის) ოჯახში 17 სული (11 მამრ. + 6 მდედრ.) იყო თავმოყრილი. ფშავში, მთიულეთში, გუდამაყარსა და ხევში დიდი ოჯახების გაჩენა, ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს XIX საუკუნეში მეცხვარეობის მასშტაბების გაზრდასთან.

საოჯახო ყოფისათვის 1860 წლის აღწერის დავთარში დაცულია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ცნობაც. ხევის სოფელ ფხელშეში *გაბრიელ ჩქარეულის* ოჯახში ცხოვრობდა ზესიძე – *იმედა ავსაჯანიშვილი*, რომელიც აქ სხვა სოფლიდან – ტყარშეტიდან – იყო მოსული. აღწერის დავთარი იმასაც გვიჩვენებს, რომ გაბრიელ ჩქარეულს ვაჟი არ ჰყავდა. ანალოგიური ფაქტი მთის სხვა სოფლებში არ დასტურდება. არ დასტურდებოდა ასეთი ფაქტები XX საუკუნის 70-80-იან წლებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებითაც.

1873 წელს შიდა ქართლის სოფელ *ბაზალეთში გოგია აბრამის ძე ებიტაშვილის* (46 წლის) ოჯახი **32 სულისაგან** შედგებოდა. გოგიასთან ერთად ცხოვრობდა 5 ძმა. მეხუთე ძმას, რომელიც 23 წლის იყო დავთარში ცოლ-შვილი არ უჩანს. ოჯახის უფროსს გოგიას 4 ვაჟი ჰყავდა, ძმებს: თევდორეს (45 წლის) – 2, იაკობს (42 წლის) – 3, სოლომონს (36 წლის) – 3, სვიმონს (33 წლის) – 1<sup>1</sup>. 1830 წელს ქართლის სოფელ ტირძინში ხუთი ცოლ-შვილიანი ძმა ერთ ოჯახად ცხოვრობდა. ოჯახის უფროსი, ჩვეულებრივ, ასაკით უფროსი ძმა იყო – *ნინია გოგიას ძე ზერეკიძე*, რომელსაც ოთხი ვაჟი ჰყავ-

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 227, გვ. 18.

და. ოთხი ვაჟი ჰყავდა მესამე ძმასაც. მეორე ძმას ბეჟანს ჰყავდა 7 ვაჟი, რომელთაგან უფროსი 21 წლის და უმცროსი 1,5 წლის იყო. საერთო ჯამში კომლი 35 სულისაგან შედგებოდა<sup>1</sup>. ქვემო ქართლის სოფელ დოუბანში 1831 წელს რამდენიმე დიდი ოჯახი იყო, რომელთაგან ყველაზე მეტი სული ორ მათგანში იყო თავმოყრილი – რევაზ სულხანიშვილის (52 წლის) კომლში 30 ადამიანი იყო, ხოლო გოგია ჩამჩამბახაშვილისაში – 32<sup>2</sup>. პირველ მათგანში 6 ინდივიდუალური ოჯახი იყო გაერთიანებული, მეორეში – 5. შეაყურადღებოა, რომ ამ ორი ოჯახის მონაცემების მიხედვით, **ქმარსა და ცოლს შორის საშუალო ასაკობრივი სხვაობა 12,6 წელს შეადგენდა.**

1859 წლის აღწერით შიდა ქართლში, ხაშურში მცხოვრები სახაზინო ყმის პავლე შიოს ძე ქიტიაშვილის (60 წლის) 31 სულიანი (16 მამრ. + 15 მდედრ.) ოჯახი შემდეგი შემადგენლობისა იყო:

„შივლნი ამისნი: შიო (20 წ.) და სოლომონ (6 წ.);

ძმა პავლესი: გლახა (50 წ.),

შივლნი ამისნი (გლახასი): გიორგი (15 წ.), ესტატე (12 წ.), ზაქარა (5 წ.);

ძმა პავლესი: სვიმონ (45 წ.),

შივლნი ამისნი (სვიმონისი): ალექსი (15 წ.), ანდრია (12 წ.), დიმიტრი (11 წ.), ედიშერ (9 წ.); ძმა სვიმონისი (მე-3 ძმა): გრიგოლ (40 წ.); ბიძაშივლნი სვიმონისი (ოჯახში მცხოვრები ოთხივე ძმის ბიძაშვილი): გიორგი რამაზის ძე (22 წ.), ანდრო რამაზის ძე (19 წ.); მეორე ბიძაშვილი ამისივე: ევრემ ივანეს ძე (10 წლის)<sup>3</sup>.

დიდი ოჯახის წევრი მამაკაცების საშუალო ასაკი **23,2 წელი** იყო.

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 1244, გვ. 159.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, 1274, გვ. 96-97, 97-98.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 2332, გვ. 226, ოჯახის № 226.

1830-1831 წლების აღწერით რამდენიმე დიდი ოჯახი იყო შიდა ქართლის სოფელ ხოვლეში. 31 სულისაგან შედგებოდა ბერუა კომლადის (90 წლის) ოჯახი, 22 სული იყო მერაბ პაპინაშვილის (99 სული) ოჯახში, ხოლო დიმიტრი ბახტადის (50 წლის) ოჯახი 45 სულისაგან შედგებოდა. აი, ეს უკანასკნელი:

„დიმიტრი ბახტაძე – 50 წ.

ცოლი დარეჯანი – 40 წ.

მათი შვილები:

ბერუა (30 წ.),

გიორგი (22 წ.),

პეტრე (15 წ.);

ბერუას ცოლი: ქეთევანი – 17 წ.

მათი შვილები: სოლომონი – 4 წ.

ივანე – 1 წ.;

დიმიტრის ძმა: აღდგომელა – 40 წ.

მისი ცოლი: ნენე – 30 წ.

მათი ქალიშვილები:

ელისაბედი – 10 წ.

ნინო – 9 წ.

მართა – 5 წ.

მაია – 4 წ.

დიმიტრის ძმიშვილები:

ქიტია – 27 წ.

როსტომი – 26 წ.

ანდრია – 23 წ.

სვიმონი – 21 წ.

სოსია – 15 წ.

ქიტიას ცოლი: ბარბარე – 15 წ.

ქიტიას და ტასია – 10 წ.

მათი დედა: ელისაბედი – 49 წ.

დიმიტრის ბიძაშვილები:

სოსია – 40 წ.

რამაზი – 30 წ.

სოსიას ცოლი: ანა – 26 ლ.  
 მათი შვილები:  
 ნინიკა – 12 ლ.  
 გიორგი – 1 ლ.  
 მათი ქალიშვილები:  
 ნინო – 7 ლ.  
 მენე – 4 ლ.  
 რამაზის ცოლი: მართა – 25 ლ.  
 მათ ქალიშვილი: სალომე – 4 ლ.  
 სოსიას ბიძაშვილები:  
 ბერუა – 50 ლ.  
 გოგია – 40 ლ.  
 დატა – 30 ლ.  
 ვასილი – 24 ლ.  
 ბერუას ცოლი: ნენე – 40 ლ.  
 გოგიას ცოლი:  
 თინათინი – 20 ლ.  
 მათი ქალიშვილი: სოფია – 2 ლ.  
 დათას ცოლი: ელისაბედი – 17 ლ.  
 მათი შვილი – ივანე – 1 ლ.  
 ბეროას დედა: ელენე – 65 ლ.<sup>1</sup>

წარმოდგენილ სიას თუ დავაკვირდებით დავინახავთ, რომ დიმიტრი ბახტაძის ოჯახში 9 ოჯახი/ცოლქმარი/საქორწინო წყვილი იყო. ოჯახში ცხოვრობდა აგრეთვე 2 ქვრივი ქალი. ოჯახში მხოლოდ ერთი ცოლქმრული წყვილი იყო, რომელთა ასაკობრივი სხვაობა 5 წელი იყო, დანარჩენი წყვილების ასაკს შორის სხვაობა 10 წელზე ნაკლები არ ყოფილა. მაქიმალური სხვაობა კი 20 წელს შეადგენდა. ქმარსა და ცოლს შორის საშუალო ასაკობრივი სხვაობა კი საკმაოდ დიდი იყო – 11,9 წელი. აშკარაა კიდევ ის ფაქტი, რომ მამაკეები საკმაოდ გვიან ქორწინდებოდნენ, მაშინ როდესაც ქალებს ძალიან ადრე

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 1243, გვ. 142-143.

ათხოვებდნენ. ქალების გათხოვების საშუალო ასაკი 15 წელი იყო. ამ დიდი ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი **20 წელი** იყო. გაუყრელი ოჯახები სოფელ ღოუბნში 1823 წლის აღწერაშიც ბევრია დადასტურებული. აქ 27 სული-საგან შედგებოდა დავით ჩომახაშვილი (80 წლის) ოჯახი, ხოლო გიორგი სულოსანაშვილის (75 წლის) ოჯახში 29 სული ცხოვრობდა. გიორგის ცოლი მათა 70 წლის იყო. გიორგის ჰყავდა სამი ცოლ-შვილანი ვაჟი. ერთი ძმა ასევე ცოლ-შვილანი და კიდევ ორი ცოლ-შვილანი ძმის-შვილი, რომელთა მამებიც ცოცხლები არ ჩანან. **სულ ერთად ოჯახში 8 წყვილი იყო:**

„შვილები: I. რევაზ (45 წ.), ამისი ცოლი ანა (35 წ.),  
ამათი შვილები: ზურაბ (10 წ.), ზაქარია (8 წ.), გაბრიელ  
(6 წ.),

ქალიშვილები: დარეჯანი (12 წ.), ელისავეტა (1 წ.);

II. ნინია (35 წ.), ამისი ცოლი ანახანუმი (27 წ.);

ამათი შვილები: მიხეილი (4 წ.), ალექსანდრე (1 წ.);

III. დემეტრე (26 წ.), ამისი ცოლი მარიამ (15 წ.);

IV. [ოჯახის უფროსის გიორგის] ძმა სულხანი (48 წ.),  
ამისი ცოლი ქეთევანი (35 წ.),

ამათი შვილები: დავით (12 წ.), შიო (8 წ.), პეტრე (6 წ.),

ქალიშვილები: თამარა (4 წ.), ეფემია (2 წ.);

V. [ოჯახის უფროსის გიორგის] ძმისშვილი: სოლომონი  
(40 წ.),

ამისი ცოლი ელისაბედი (20 წ.),

ამათი ქალიშვილები: ანა (7 წ.), სალომე (5 წ.), ბარბარე  
(1 წ.).

VI. [ოჯახის უფროსის გიორგის] ძმისშვილი: იოსები  
(25 წ.),

ამისი ცოლი ანა (14 წ.) [სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 802,  
გვ. 84].

დიდი ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი **20,4** წელი იყო. 1823 წელს ქვემო ქართლის სოფელ ბოგვში არსებული დიდი ოჯახი შემდეგი შემადგენლობის იყო:

„მაკარ კიკოლას ძე აზრაკაძეშვილი – 65 წ.,

ცოლი მარიაში – 45 წ.;  
 ძმები: 1. ივანე – 60 წლის,  
 ცოლი ბარბარე – 30 წლის;  
 ივანეს შვილები: ბერუა – 25 წლის, აზრაკაძე – 11  
 წლის,  
 ივანეს ქალიშვილები: ანა – 8 წ., თინა – 6 წ., ტასო – 4  
 წ., მაია – 2 წ.  
 2. აბრაამი – 40 წლის,  
 აბრაამის ცოლი: თამარა – 25 წ.  
 აბრაამის შვილი: გლახა – 10 წ.  
 აბრაამის ქალიშვილები: ელენე – 8 წ., მართა – 6 წ., ქე-  
 თევანი – 3 წ.  
 3. იოსები – 35 წლის;  
 იოსების ცოლი: მარია – 16 წ.  
 4. დავითი – 35 წლის,  
 დავითის ცოლი: ელენე – 20 წ.,  
 დავითის ქალიშვილები: სალომე – 5 წ., სოფიო – 3 წ.  
 ბერუას (ოჯახის უფროსის მაკარის I ძმის შვილი) ცო-  
 ლი: თამარა – 15 წლის<sup>1</sup>.

ამრიგად, გაუყრელი ოჯახი 23 სულისაგან (8  
 მამრ.+15 მდედრ.) შედგებოდა. ოჯახის უფროს მაკარს  
 შვილები არ ყავდა. ასაკობრივი სხვაობა მასსა და მის  
 მეუღლეს შორის იყო 20 წელი. პირველ ძმას ივანესა და  
 მის მეუღლეს შორის ასაკობრივი სხვაობა 30 წელს შე-  
 ადგენდა. როგორც ჩანს, ივანესათვის ის მეორე ცოლი  
 იყო, რადგან ივანეს უფროსი შვილი ბერუა 25 წელის  
 იყო (დედინაცვალი მასზე სულ 5 წლით იყო უფროსი).  
 15 წელია ასაკობრივი სხვაობა მეორე ძმას – აბრაამსა  
 და მის ცოლს შორის. მის ცოლს ვაჟი უკვე 15 წლის  
 ასაკში შესძენია. **მესამე ძმას იოსებსა და მის ცოლს შო-  
 რის ასაკობრივი სხვაობა 19 წელი იყო.** როგორც ჩანს,  
 იოსები ახალი დაოჯახებული იყო. **მეოთხე ძმა დავითიც**

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 802, გვ. 3.



**ცოლზე დიდი იყო მთელი 15 წლით.** მათი უფროსი ქალიშვილი 5 წლის გახლდა, ე. ი. დედას უკვე 15 წლის ასაკში შესძენია. ასე რომ, ამჟამად ჩანს, თუ რა ადრეულ ასაკში ათხოვებდნენ ქვემო ქართლში ქალიშვილებს. ეს ასაკი 14-15 წლით იყო განსაზღვრული. მაკარ აზრაკაძის ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი კი ზუსტად **21 წელს** შეადგენდა.

1886 წელს დიდი ოჯახი არსებობდა შიდა ქართლის სოფელ ბანისწყალში (ხცის სასოფლო საზოგადოება); ეს იყო სიმონ გოგიას ძე გელაშვილის (85 წლის) ოჯახი: „მისი შვილები: 1. გიო – 48 წლის, 2. პავლე – 38 წლის, 3. ედიშერი – 28 წლის, 4. ალექსი – 26 წლის, 5. იგორი – 23 წლის, 6. დავითი – 21 წლის, 7. პეტრე – 15 წლის; მისი (ოჯახის უფროსის – სიმონის) შვილიშვილები: 1. ნიკოლოზ გიოს ძე, 2, ვასილ გიოს ძე – 10 წლის, 3. ვლადიმერ გიოს ძე – 10 წლის, 4. ივანე პავლეს ძე – 10 წლის, 5. ნიკოლოზ ეფიმის ძე – 4 წლის, 6. ზაქარია ეფიმის ძე – 2 წლის [ეფიმი სიმონის შვილებს შორის საერთოდ არ ჩანს]; ილია იოსების ძე – 23 წლის, სოლომონ იოსების ძე – 21 წლის [ამ ორი უკანასკნელი პიროვნების ოჯახის უფროსთან ნათესაური კავშირი არ ჩანს]; მისი (ოჯახის უფროსის – სიმონის) შვილიშვილის შვილი: არჩილ ილიას ძე – 4 წლის; ოჯახის უფროსის ცოლი: ელიზაბეტა – 73 წლის, ქალიშვილი: მარტა – 15 წლის; რძლები: 1. სონა გიოს ასული – 42 წლის, 2. მატრონე პავლეს ასული – 33 წლის, 3. სალომე ლევანის ასული – 27 წლის, 4. ელიზავეტა სისოს ასული – 28 წლის; შვილიშვილები: ზენო გიოს ასული – 12 წლის, 2. მარიამ პავლეს ასული – 7 წლის, 3. ელისაბედ პავლეს ასული – 3 წლის, 4. ოლღა პავლეს ასული – 1 წლის, 5. ანგელინა პავლეს ასული – 1 წლის, 6. დარია ედიშერის ასული – 5 წლის, 7. მარიამ ედიშერის ასული – 1 წლის, 8. ანა იოსების ასული – 13 წლის; შვილისშვილის შვილი – ოლღა – 1 წლის. გაუყრელ ოჯახში ერთად ცხოვ-

რობდა სულ 32 სული. ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი **20 წელი** იყო.

შიდა ქართლის კიდევ ერთი გაუყრელი ოჯახი სოფელ დიდ მეჯვრისხევში:

„გიორგი ივანეს ძე ბიბილური – 80 წლის;

შვილები მისი: 1. ევსტათი – 24 წ., 2. მიხეილ – 25 წლის, 3. სიმონი – 6 წლის, 4. კონსტანტინე – 4 წლის, 5. ვასილი – 3 წლის;

გიორგის ძმები: 1. მათე – 59 წლის, 2. ზაქარია – 54 წლის, 3. ილარიონი – 49 წლის;

გიორგის ძმიშვილები: 1. ნიკოლოზ მათეს ძე – 24 წლის, 2. სტეფანე მათეს ძე – 20 წლის, 3. ლავრენტი ნიკოლოზის ძე – 2 წლის, 4. მიხეილ ზაქარიას ძე – 9 წლის, 5. იოსებ ზაქარიას ძე – 7 წლის; 6. ივანე – 21 წლის, 6. ალექსი – 14 წლის, 7. დიმიტრი – 14 წლის, 8. გრიგოლ (4 წლის) ზაქარიას ძენი.

ქრისტესია გრიგოლის ძე – 34 წლის,

პეტრე ქრისტესიას ძე – 2 წლის;

მისი [ოჯახის უფროსის] ცოლი: ბარბარე დავითის ასული – 40 წლის [როგორც ჩანს მეორე მეუღლეა];

მისი [ოჯახის უფროსის] ქალიშვილი: მარიამ – 12 წლის; რძლები: 1. სიდონია გლახას ასული – 60 წლის, 2. ეფემია ალექსის ასული – 40 წლის, 3. ანა იოსების ასული – 30 წლის, 4. სოფიო სიმონიეს ასული – 40 წლის, 5. მარიამ გაბრიელის ასული – 30 წლის.

ბიბილურის ოჯახში, რომელშიც ძნელდება ზოგიერთი პირის ნათესაობის დადგენა, 27 სული ცხოვრობდა. გაუყრელი ოჯახის წევრების საშუალო ასაკი **26 წელს** შეადგენდა.

შიდა ქართლის სოფელ ზედუღეთში გრიგოლ ანდრეას ძე ამირიძის (37 წლის) დიდ ოჯახში 21 სული ცხოვრობდა. ამ შემთხვევაში გარკვეულ გამონაკლისთან გვაქვს საქმე – დარღვეულია ტრადიციი: გაუყრელ ოჯახში ოჯახის უფროსზე ასაკით უფროსი ორი ძმა, ორივე ცოლშვილიანი, იყო: დიმიტრი 43 წლის გახლდა, ზაქა-

რია კი – 39-ის. ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი **20 წელს** შეადგენდა.

21 სული იყო თავმოყრილი შიდა ქართლის სოფელ ტყემლოვანში (წინარების სასოფლო საზოგადოება) შიო გლახას ძე *კობაიძის* (67 წლის) ოჯახში. საგულისყუროა, რომ ოჯახის უფროსს მეორე ცოლი ჰყავდა – ხვარამზე გივის ასული, რომელიც 40 წლის იყო და რომელიც შვილად ერგებოდა. მათ შორის ასაკობრივი სხვაობა 27 წელი იყო. ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი **18 წელს** შეადგენდა.

დიდ ოჯახზეა საუბარი 1776 წლის ერთ-ერთ არხაში: „...ყოფლად მოწყალის ჭირი მოსცეს **რეხელს პანპალას-შიელს გიორგისა და ღტისიას**, გიორგი ერისთავის ყმას. ... სამჯერ აკლებული ვართ, ერთხელ დავით ერისთავმა ამიკლო და ახლა როსტომ ამიკლო. ... **ცხრამეტი სული ხიზანი გახლავართ** და უღელი ხარი და ერთი ზროხა გვეყვანდა, უღელი ხარიც, ის ძროხაც, ქორწილი მქონდა და იასაულები შემომიცივიდნენ, **ნეფე დელოფალი ძირს ჩამოყარეს**, ერთი თოფი, ... ორი ხანჯალი, ერთი სახნისი, რაც სახლის ავეჯეულობა იყო, სულ წმიდათ წამოიღეს. **სამნი ძმანი გახლავართ**, ერთი თოფი გვექონდა, ხან ერთი წამოვიღებდით, ხან მეორე, ხამ მესამე, – თიბათვეს, კათათვეს და მარიამობის თვეს სამნივე ერთმანეთზე ვაწერივართ“<sup>1</sup>.

დიდ ოჯახებად ცხოვრება საქართველოში არაპირდაპირ დადასტურებულია XVIII საუკუნის ჩვენამდე მოღწეულ აღწერის დავთრებში, რომლებშიც კომლის უფროსთან ერთად მითითებულია მასში მცხოვრები „თავების“ რაოდენობაც. „თავი“ და ზოგჯერ „თოფი“ მიუთითებს ოჯახში სრულასაკოვანი მამაკაცების რაოდენობაზე. „ბ“ (ორთავიანი) ოჯახებზე რომ არაფერი ვთქვათ,

<sup>1</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, თბ., 1953, გვ. 93.

აღწერის დავთრებში აღრიცხული არიან „გ“ (სამთავიანი) და მეტთავიანი ოჯახებიც. მაგალითად, XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის კახეთის აღწერაში სოფელ უჯარმაში „ნუკრადე ხუცესის“ ოჯახში გ (სამი) თავი, ე. ი. სამი სრულასაკოვანი მამაკაცი იყო<sup>1</sup>. ხაშში აბრამ დეკანოზის ოჯახში იყო „თავი გ, თოფი გ“<sup>2</sup>. იგივე ვითარებაა დადასტურებული პატარძელში ესტატე ყუშიტაშვილის ოჯახში<sup>3</sup>, ერწოს სოფელ ვაგრანეთში – გოგია სასიკაშვილის ოჯახში<sup>4</sup>, გორანაში – ჯაბან შამაზასშვილის ოჯახში, შილდაში – მამუკა იორდანეშვილის ოჯახში<sup>5</sup>, ფშაველში – რამაზა მჭედლიშვილის ოჯახში<sup>6</sup>, ზეგანში – ყვაიანი გიორგის ოჯახში, არტოზანში – შერმაზან ხუცისშვილის ოჯახში, თელავში – შათირიშვილი გამახარეს ოჯახში. ბევრი ასეთი ოჯახი იყო 1781 წელს მთიულეთში. აქ ოთხ და მეტთავიანი ოჯახებიც იყო. სოფელ მუღურეში ერთ ოჯახში ცხოვრობდნენ ადამ, გიორგი, ჭიჭა და დათუნა წამალაიძეები (4 თავი)<sup>7</sup>, ბენია-თკარში – ღუჭა, ადამა, დავითა, ჭიჭო, ხახო ბენიაიძეები (5 თავი), მიდელანთკარში – ფოცხვერა, ბერი, მამა და ივანე მიდელაურები (4 თავი), იუხოში – მგელა, შალვა, ჩიტა და ივანე ქვიცურები (4 თავი). ხუთსულიანი ოჯახები იყო ხევშიც, მაგალითად, ასეთები იყო სტეფანწმინდაში ხაბაჭა, ამოან, მამა, ისე და ძია ქუშაშვილების ოჯახი<sup>8</sup>, თარგმანში – ბერა, ისე, ზარიბეგ, პავლია და ივანე ჯამარჯაშვილების ოჯახი. ექვსი თავი იყო მარტია ღუღუშაურის ოჯახში; მასთან ერთად ცხოვრობდნენ ჯა-

- 
- <sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 26.
  - <sup>2</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 29.
  - <sup>3</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 31.
  - <sup>4</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 47.
  - <sup>5</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 57.
  - <sup>6</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 64.
  - <sup>7</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 106.
  - <sup>8</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 112.

რია, მამუკა, უძილა, შაშვია, ბერდია ღუდუშაურები<sup>1</sup>. ანა-ნურში „ბრაჭული დეკანოზის შვილის დეკანოზ დავითის ოჯახი ოთხთავიანი იყო<sup>2</sup>. ქაისხევში „ფისაძე მღვდელ ზოდისკეს ოჯახი შვიდთავიანი იყო (ზოდისკეს გარდა აღრიცხული არიან გრიგოლ, გიორგი, ბარნაბე, იოვანე, იაკობ და იოსებ)<sup>3</sup>. ოთხთავიანი იყო ეთვალისში ბაწაწა, ბაღია, იასე და გიგაურ ფრიდონას შვილების ოჯახი<sup>4</sup>. ექვსი თავი იყო სოფელ ყვავილის ერთ-ერთი ოჯახში (ჭონქაძე ათანასეს შვილი მღვდელი ბასილ, მახარა, შიო, მოსე, სვიმონა და სესანა)<sup>5</sup>. საშაბუროში აზნაურ შაბური შვილების ოჯახიც გაუყრელი (ექვსთავიანი) იყო – ფირან, ქაიხოსრო, ივანე, იოსებ, ზაზა, ფარსადან შაბური შვილები<sup>6</sup>. აქვე შაბური შვილების სხვა ოჯახში ოთხი თავი იყო აღრიცხული. რამდენიმე იყო ოთხთავიანი ოჯახი გლეხებს შორის, მაგალითად, ერთად ცხოვრობდნენ გიორგი, ზაქარია, ბერუა და შერმაზან მოლოდინები<sup>7</sup>. გამოიკვეთება გარკვეული ტრადიცია აზნაურთა გაუყრელად ცხოვრებისა – წინდუშეთში აზნაური კობიაშვილები დიდ ოჯახებად ცხოვრობდნენ, ერთ-ერთ მათგანში კი 5 ძმა ცხოვრობდა ერთად („აზნაურ შვილი კობიაშვილი ნასყიდა, ნიკოლოზ, ფერმანგი, გოგია, ზურაბ“<sup>8</sup>). ძალიან ბევრია 1774 წლის ქსნის ხეობის აღწერის დავთარში აღრიცხული სამ და ოთხთავიანი კომპლები. აქ ხუთთავიანი იყო სოფელ პავლაინთკარში ელო, ბერი, ზურაბ, სეხნია

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 113.

<sup>2</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 122.

<sup>3</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 123.

<sup>4</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 125.

<sup>5</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 127.

<sup>6</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 130.

<sup>7</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 131.

<sup>8</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 177.

და საბა პავლიაშვილების ოჯახი<sup>1</sup>. სოფელ დადიანეთში ერთად ცხოვრობდნენ პატა, ოთარა, ბერი, ივანე და გოგია (ხუთი თავი) ბერიანიძეები<sup>2</sup>. ექვსსულიანი იყო სოფელ იკოთში მამუკა, ზურია, გიორგი, მახარებელი, დემეტრე და ნინია ბაშარულების და „გიორგი, ბერი, დათუნა, ელისბარ და გოგია ნიაურელების გაუყრელი სახლები<sup>3</sup>.

მნიშვნელოვანი რაოდენობით იყო გაუყრელი ოჯახები შიდა ქართლის ქსნის ხეობასა და მიმდებარე ხეობებში. მაგალითად, 1860 წლის აღწერაში სოფელ ქოლოთში დიმიტრი ივანეს ძე ბარაულის (უნდა იყოს – სარაულის – რ. თ.) (45 წლის) ოჯახში 34 სული (18 მამარ. + 16 მდედრ.) ცხოვრობდა. ოჯახის უფროსს ჰყავდა ვაჟები: 1. სოლომონი (22 წ.), ანდრია (20 წ.), ალექსი (19 წ.), გიგო (17 წ.), იაკობი (6 წ.), ევრემი (4 წ.); დიმიტრის ღვიძლი ძმები: 1. თამაზა (44 წლის), 2. სიმონი (35 წლის), 3. გიორგი (32 წ.). თამაზას თავის მხრივ სამი ვაჟი ჰყავდა: 1. მათე (18 წ.), 2. ვანო (9 წ.), 3. ზაქარია (7 წ.); სიმონის შვილები: 1. მიხეილ (9 წ.), ვანო (6 წ.); გიორგის შვილები: 1. ფილო (13 წ.), ანტონი (10 წ.); დავთარში მითითებულია დიმიტრის კიდევ ერთი 3 წლის ძმისწული (სახელის გარეშე).

კახეთის სოფელ *მელაანში გიორგი ნინიას ძე დათუაშვილის* ოჯახში 6 ცოლშვილიანი ძმა ერთად ცხოვრობდა. მის შემადგენლობაში 36 (19+17) სული იყო. ანალოგიური მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ **აღწერის დავთრებში არა ერთი და ორი გეხვედება ოჯახები, რომელთა შემადგენლობაში 40 სულზე მეტი შედიოდა.** მაგალითად, 1873 წელს სოფელ **დიდ ანაგაში დიმიტრი იოსების ძე მახარაშვი-**

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 188.

<sup>2</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 192.

<sup>3</sup> ი. ჯავახიშვილი, სეიდ, I, თბ., 1956, გვ. 197, 199.

ლის ოჯახი 44 სულიანი (20+24) იყო. ასევე 44 სულისაგან შედგებოდა სოფელ ბოდბე-ზურაბიანში იოსებ ქიტელას ძე კოჭლამაზაშვილის ოჯახი (27+17). დაფიქსირებულია დიდი ოჯახები, რომლებშიც 50 სულზე მეტი ცხოვრობდა. მაგალითად, 1859 წლის კამერალური აღწერის დაეთარის თანახმად, საგარეჯოში ისაკ იოსების ძე ბუზარიაშვილის ოჯახში 52 („ამა კომლში მდედრისა ნათესაენი არიან 25 სული, მამრობითი – 27“) სული იყო<sup>1</sup>. ამ დიდ ოჯახში არა მხოლოდ ისაკ ბუზარიაშვილის ძმები ცხოვრობდნენ თავიანთი ცოლ-შვილით, არამედ ბიძაშვილების რამდენიმე წყებაც. კახეთში დიდი ოჯახები დადასტურებულია უფრო ადრინდელი კამერალური აღწერის დავთრებშიც. კონკრეტულად ეს დიდი ოჯახი 1842 წელსაც არსებობდა. მაშინ ბუზარიაშვილების დიდ ოჯახში 17 სული ცხოვრობდა და ოჯახის უფროსს ისაკის ძმა სოფრონი წარმოადგენდა, რომელიც 1859 წლისათვის უკვე გარდაცვლილი იყო<sup>2</sup>. იქვე საგარეჯოშივე 1859 წელს *დავით გლახას ძე როსტიაშვილის* დიდ ოჯახში 37 სული ცხოვრობდა. ოჯახის უფროსს ძმები არ უჩანან; სამაგიეროდ, 9 ბიძაშვილიდან 7 სრულწლოვანი გახლდათ.

1886 წლისათვის ბევრი დიდი ოჯახი იყო გარე კახეთის სოფელ მარტყოფში, მაგრამ განსაკუთრებული იყო *გიორგი იასეს ძე სამჭკუაშვილის* (62 წლის) ოჯახი, რომელიც 57 სულისაგან შედგებოდა. უპრიანია ამ ოჯახის მთლანად წარმოდგენა:

- „გიორგი იასეს ძე სამჭკუაშვილი – 62 წლის;  
 გიორგის [ოჯახის უფროსის] შვილები [ვაჟები]:
1. ილარიონი – 39 წლის,
  2. ლუარსაბი – 34 წლის,
  3. მიხეილი – 32 წლის;

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, საქ. № 193, გვ. 88.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 1769, გვ. 71.

გიორგის [ოჯახის უფროსის] ძმები:

1. იოსები (გარდაცვლილა 1873 წელს) – 49 წლის,

2. იაკობი – 52 წლის;

მისი [იაკობის] შვილები:

სოლომონი – 25 წლის,

ქიტესა – 12 წლის,

ფილო – 6 წლის;

გიორგის [ოჯახის უფროსის] ძმის შვილები:

ადამი – 49 წლის,

ეგნატე – 46 წლის,

ზაქარია – 45 წლის,

ბესარიონი – 42 წლის,

ნიკოლოზი – 34 წლის;

ილარიონის, გიორგის [ოჯახის უფროსის] [პირველი შვილის]

შვილები:

გრიგოლი – 10 წლის,

ვლადიმერი – 1 წლის;

ლუარსაბის, გიორგის [ოჯახის უფროსის] [მეორე შვილის]

შვილები:

მირიანი – 7 წლის,

ბაგრატე – 3 წლის;

მიხეილის, გიორგის [ოჯახის უფროსის] [მესამე შვილის]

შვილები:

სიმონი – 4 წლის;

ადამის [ოჯახის უფროსის] გიორგის უფროსი ძმისშვილი]

შვილები:

რაჟდენი – 25 წლის,

ლევანა – 9 წლის (+1873),

ივანე – 19 წლის,

დავითი – 10 წლის,

ანდრია – 8 წლის;

ეგნატეს [ოჯახის უფროსის] გიორგის მეორე ძმისშვილი]

შვილები:



ვასილი – 14 წლის;  
 ზაქარიას [ოჯახის უფროსის გიორგის მესამე ძმისშვი-  
 ლი] შვილები:  
 ლავრენტი – 19 წლის,  
 ანტონი – 16 წლის,  
 ახალდაბადებული – 7 თვის;  
 ბესარიონის [ოჯახის უფროსის გიორგის მეოთხე ძმის-  
 შვილი] შვილები:  
 ალექსანდრე – 9 წლის,  
 დიმიტრი – 6 წლის,  
 ივანე – 4 წლის;  
 ნიკოლოზის [ოჯახის უფროსის გიორგის მეხუთე ძმის-  
 შვილი] შვილები:  
 კონსტანტინე – 5 წლის,  
 შიო – ახალდაბადებული;  
 გიორგის [ოჯახის უფროსის] ცოლი: ეკატერინე – 54  
 წლის;  
 ილარიონის, გიორგის [ოჯახის უფროსის] [პირველი შვი-  
 ლის] ცოლი: ლიზა – 31 წლის;  
 მათი ქალიშვილები:  
 სოფია – 14 წლის,  
 ბარბარე – 5 წლის;  
 ლუარსაბის, გიორგის [ოჯახის უფროსის] [მეორე შვი-  
 ლის] ცოლი: ნინო – 28 წლის,  
 მათი ქალიშვილები: მარია – 2 წლის;  
 მიხეილის, გიორგის [ოჯახის უფროსის] [მესამე შვილის]  
 ცოლი: სიდინია – 21 წლის,  
 იოსების [გარდაცვლილი ძმის] ცოლი: ელიზავეტა – 45  
 წლის  
 (მათი შვილები საერთოდ არ ჩანან);  
 იაკობის [ოჯახის უფროსის – გიორგის მეორე ძმა] ცო-  
 ლი: ელიზავეტა – 49 წლის,  
 მათი ქალიშვილი მარია – 16 წლის;  
 სოლომონის [ოჯახის უფროსის გიორგის ძმის შვილის]  
 ცოლი: ეკატერინე – 21 წლის

(მათ შვილები არ უჩანთ);  
 ადამის [ოჯახის უფროსის გიორგის უფროსი ძმისშვილი]  
 ცოლი – მარია – 37 წლის,  
 მათი ქალიშვილები:  
 ეკატერინე – 17 წლის,  
 მარია – 14 წლის  
 სოფიო – 6 წლის;  
 ეგნატეს [ოჯახის უფროსის გიორგის მეორე ძმისშვილი]  
 ცოლი: ზელობია – 37 წლის,  
 მათი ქალიშვილები:  
 ნინო – 17 წლის, ოლღა – 12 წლის;  
 ზაქრიაის [ოჯახის უფროსის გიორგის მესამე ძმისშვი-  
 ლი] ცოლი: სოფიო – 37 წლის,  
 მათი ქალიშვილები: ანა – 3 წლის;  
 ბესარიონის [ოჯახის უფროსის გიორგის მეოთხე ძმის-  
 შვილი] ცოლი: მარია – 34 წლის,  
 მათი ქალიშვილები: ნატალია – 2 წლის;  
 ნიკოლოზის [ოჯახის უფროსის გიორგის მეხუთე ძმის-  
 შვილი] ცოლი: სალომე – 28 წლის;  
 ადამას [გაურკვეველია ოჯახის უფროსთან ნათესაური  
 დამოკიდებულება. სავარაუდოდ გიორგის გარდაცვლილი  
 ძმა უნდა იყოს, რომლის უფროსი შვილიც ასევე ადამის  
 სახელს ატარებდა] ცოლი: ელიზავეტა – 68 წლის.<sup>1</sup>  
 ამ დიდი ოჯახის წევრთა საშუალო სასკი **22,5 წე-  
 ლი** იყო.

წარმოდგენილი საარქივო მასალა მრავალმხრივი  
 ანალიზის საშუალებას იძლევა, აქ კი მხოლოდ ერთს  
 აღვნიშნავთ: **დიდ ოჯახში 10 პატარა/ინდივიდუალური  
 ოჯახი იყო გაერთიანებული.** კიდევ ერთი გარემოების  
 შესახებ: ერთი ახალდაბადებული სახელითაა ჩაწერილი  
 (შიო), მეორე 7 თვის ახალდაბადებული კი სახელის გა-

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1626, გვ. 27-29, ოჯახის № აღწერაში 69.

რეშეა დაფიქსირებული. ეს ფაქტი იმ ვარაუდის საშუალებას გვაძლევს, რომ სახელის გარეშე ჩაწერილი ჯერ მონათლული არ იყო და ის გააფორმეს უსახელოდ, თუმცა ეთნოგრაფიული რეალიებიდან გამომდინარე მას სახელი უცილობლად ექნებოდა შერქმეული.

1886 წლის საოჯახო სიებით მარტყოფში, როგორც აღვნიშნეთ, ბევრი დიდი ოჯახი იყო, მაგრამ ჩვენს ყურადღებას კიდევ ერთი მათგანი იქცევს. ესაა *ადამ მათეს ძე იობა შვილის* (60 წლის) ოჯახი. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ოჯახის უფროსი 1873 წელს გარდაცვლილა. ამ ფაქტის მიუხედავად კარგა ხნის გარდაცვლილი კვლავ დიდი ოჯახის უფროსადაა მოხსენიებული. როგორც ჩანს, 1873 წელი ოჯახისათვის (და სოფლისთვისაც) ფრიად სამწუხარო იყო, რადგან ამ 39 სულიანი ოჯახის კიდევ სამი წევრი ყოფილა აღნიშნულ წელს გარდაცვლილი: ადამის ძმა – ანტონი (48 წლის ასაკში), ადამის ბიძაშვილი – რევაზი (48 წლის ასაკში) და ადამის ბიძაშვილი სოლომონ პეტრეს ძის შვილი – აბრამი (11 წლის). თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ იმავე 1873 წელს ზემოხსენებულ 57 სულიან ოჯახშიც 2 სული იყო გარდაცვლილი, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ სოფელ მარტყოფში სიკვდილიანობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი რომელიმე ინფექციის (სავარაუდოდ, წითელას) გავრცელების შედეგი უნდა იყოს. აღნიშნულ ოჯახში ერთად ცხრა პატარა ოჯახი იყო თავმოყრილი. ოჯახის უფროსის სამი ვაჟიდან მხოლოდ უფროსს (ლონგინოზს – 36 წლისას) ჰყავდა ცოლი, დანარჩენი ორი ვაჟი (ილარიონი – 30 წლის და ქიტესა – 28 წლის დასაოჯახებლები იყვნენ). კომლში ცხოვრობდა უფროსის ორი ცოლშვილანი ძმა (იაკობი – 57 წლის და გიორგი – 51 წლის) და ორი ძმის შვილი (დავითი – 38 წლის და მიხეილი – 29 წლის), რომელთა მამა ივანე ცოცხლებს შორის არ ჩანს. აქვე იყვნენ ბიძაშვილები (რევაზ და პეტრე იოსების ძენი, რომელთაგან პირველ მათგანს უკვე საკმაოდ სრულწლოვანი შვილები ჰყავდა

და სოლომონ პეტრეს ძე – 59 წლის). ოჯახის შემადგენლობაში აღრიცხულია აგრეთვე 1873 წელს გარდაცვლილი ადამის ძმის ანტონის უკანონო ცოლი მართა (40 წლის). მას ჰყავდა ერთი ქალიშვილი. მისი ამ ტერმინით დაფიქსირე აი მის შედეგი უნდა იყოს, რომ ქმართან ჯვარდაუწერელი არ იყო<sup>1</sup>.

1886 წლის საოჯახო სიებით, 39 სულიანი დიდი ოჯახი არსებობდა კახეთის სოფელ არტოზანში; ესაა **ივანე ანდრიას ძე სეხნიაშვილის** (40 წლის) ოჯახი. მასთან ოჯახში ცხოვრობდა ძმა – ადამი და გარდაცვლილი ძმის ისაკის ცოლ-შვილი. ოჯახის შემადგენლობაში შედიოდა 4 ბიძაშვილი – სოლომონის ძენი, რომლებიც შესაბამისად 57, 37, 33 და 30 წლისანი იყვნენ. ყველა მათგანი ცოლშვილიანი იყო. საერთო ჯამში **დიდ ოჯახში 8 ინდივიდუალური ოჯახი იყო გაერთიანებული**<sup>2</sup>. კახეთისავე სოფელ მერეში (ვარდისუბნის საზოგადოება) დადასტურებულია 23 სულიანი დიდი ოჯახი, რომელსაც ერთი თავისებურება ახასიათებდა. ოჯახის უფროს ჰყავდა ოთხი ვაჟი და ბიძაშვილის შვილები, რომელთაგან არცერთის მამა ცოცხალი არ იყო. ამის გამო, ამ ოჯახში შესაბამისად ცხოვრობდნენ ბიძაშვილების – როსტომის, გიორგის, იაკობის, ნიკოლოზის – ქვრივები<sup>3</sup>.

1886 წელს საკმაოდ ბევრი დიდი ოჯახი იყო ქიზიყში (სიდნალის მაზრაში). ამ მხრივ ერთგვარად გამორჩეული იყო სოფელი ბოდბე. გარე კახეთში გამოირჩეოდა კაკაბეთი. კახეთის დიდ ოჯახებში გაერთიანებული ყოფილან არა მხოლოდ ძმები და ალალი ბიძაშვილები, არამედ – გარეთა ბიძაშვილებიც (მესამე თაობისანი – «троюродные братья»). საკუთარი ინდივიდუალური ოჯა-

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1626, გვ. 5-6, ოჯახი № აღწერაში 13.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1765]. [სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1765.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1778, გვ. 230-231, ოჯახის № აღწერაში 155.

ხის, ძმებისა, ალალი ბიძაშვილებისა და გარეობიძაშვილების ნაერთს წარმოადგენდა ზიარი-კაჭრეთში ანდრია ზახას ძე ქერუჭაშვილის დიდი ოჯახი<sup>1</sup>. მარტო კაკაბეთში 20 სულიანი და მეტი დიდი ოჯახი ათამდე იყო, ხოლო ყველაზე დიდში 37 სული იყო აღრიცხული. აი, ეს ოჯახი:

„თამაზაშვილი ლუარსაბ ანდრიას ძე – 55 წლის,

შვილი მისი: ივანე ლუარსაბის ძე – 26 წლის;

ძმები მისი [ლუარსაბის]:

1. პეტრე ანდრიას ძე – 49 წლის,
2. ზაქარია ანდრიას ძე – 46 წლის,
3. სოლომონ ანდრიას ძე – 38 წლის,
4. დიმიტრი ანდრიას ძე – 35 წლის,
5. მიხეილ ანდრიას ძე – 31 წლის,
6. ალექსანრე ანდრია ძე – 27 წლის;

ძმის შვილები მისი [ლუარსაბის]:

1. ნიკოლოზ პეტრეს ძე – 17 წლის,
2. გრიგოლ პეტრეს ძე – 13 წლის,
3. გაბრიელ პეტრეს ძე – 7 წლის,
4. იოსებ პეტრეს ძე – 2 წლის,
5. ილია ზაქარიას ძე – 18 წლის,
6. ალექსანდრე ზაქარიას ძე – 15 წლის,
7. დავით ზაქარიას ძე – 5 წლის,
8. რაჟდენ ზაქარიას ძე – 1 წლის,
9. სიმონ სოლომონის ძე – 6 წლის,
10. ვლადიმერ სოლომონის ძე – 3 წლის,
11. ილია სოლომონის ძე – ახლადაბადებული,
12. ლევან დიმიტრის ძე – 5 წლის,
13. ზაქარია მიხეილის ძე – 3 წლის

[მე-6 ძმას, 27 წლის მიხეილ ანდრიას ძეს არ უჩანს

ცოლ-შვილი]

მისი [ლუარსაბის] ალალი ბიძაშვილი:

---

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1585, გვ. 90, ოჯახის № აღწერაში 84.

- ივანე აბრამის ძე – 33 წლის;  
 ცოლი მისი [ლუარსაბის]:  
 მარიამ თევდორეს ასული – 44 წლის;  
 რძლები მისი [ლუარსაბის]:
1. მარიამ დიმიტრის ასული – 35 წლის,
  2. ეკატერინე აბრამის ასული – 39 წლის,
  3. ტასო ივანეს ასული – 33 წლის,
  4. ეკატერინე დავითის ასული – 25 წლის,
  5. ნინო გლახას ასული – 22 წლის;
- მისი [ლუარსაბის] ძმისშვილი გოგონები:
1. მარიამ პეტრეს ასული – 13 წლის,
  2. ალექსანდრა პეტრეს ასული – 5 წლის,
  3. მაგდა ზაქარიას ასული – 14 წლის,
  4. ოლღა ზაქარიას ასული – 7 წლის,
  5. სოფიო ზაქარიას ასული – 4 წლის,
  6. მართა სილომონის ასული – 8 წლის.
  7. სოფიო დიმიტრის ასული – 7 წლის,
  8. მარიამ დიმიტრის ასული – 3 წლის;
- დედა მისი [ლუარსაბის] – ეკატერინე ზაალის ასული – 77 წლის<sup>1</sup>.

დიდი ოჯახის წევრთა **საშუალო ასაკი 20,9 წელი** იყო.

ამონაწერიდან შეიძლება განვსაზღვროთ მამაკაცების საქორწინო ასაკი. ოჯახის უფროსის მე-6 ძმა 27 წლის ალექსანდრე არ ჩანს დაქორწინებული. დანარჩენი ექვსი ძმის და მათი პირველი შვილების ასაკის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ თავად ოჯახის უფროსი თამაზი დაქორწინდა 28 წლის ასაკში, დანარჩენი ძმები კი 31 წლის ასაკში – პეტრე, 27 წლისა – ზაქარია, სილომონი – 31 წლისა, დიმიტრი – 29 წლისა, მისეილი – 27 წლისა.

<sup>1</sup> [სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 1586, გვ. 6, ოჯახის № აღწერაში 5.

არა ერთი და ორი დიდი ოჯახი იყო სოფელ მატანში. ყველაზე დიდი კი *ბერო გრიგოლის ძე საქუაშვილის* ოჯახი იყო – ის 30 სულისაგან შედგებოდა. ამ ოჯახის უფროსი 90 წლის გახლდათ (ცოცხალი ჰყავდა 85 წლის მეუღლე მარიაში), რომელიც 5 ცოლ-შვილიან ძმას აერთიანებდა. უფრო მეტი დიდი ოჯახი იყო სოფელ მარლისში, რომელიც დღეს მატნის უბანია. *ფილიპე თამაზის ძე ტუგულაშვილის* (75 წლის) 34 სულიან ოჯახში ძმებთან ერთად ალალი და ახლო ბიძაშვილებიც ცხოვრობდნენ.

1888 წლის საოჯახო სიებით, ბევრი დიდი ოჯახი იყო ქიზიყის სოფელ ზემო მაჩხაანში. აქ ჩვეულებრივი ამბავი იყო 20, 26, 31 სულიანი ოჯახები. ყველაზე დიდ გაუყრელ ოჯახში კი ერთ ჭერქვეშ 51 სული ცხოვრობდა:

„იოსებ სტეფანეს ძე გოგილაშვილი – 60 წლის,

შვილები: მალაქია იოსების ძე – 27 წლის,

ლეონ იოსების ძე – 16 წლის;

[ოჯახის უფოსის იოსების] ძმები:

1. აბრამ სტეფანეს ძე – 53 წლის,

2. მიხეილ სტეფანეს ძე – 50 წლის,

3. ივანე სტეფანეს ძე – 42 წლის,

4. ნიკოლოზ (ნინიკო) სტეფანეს ძე – 38 წლის,

5. ბეჟან (ვასილ) სტეფანეს ძე – 25 წლის;

[ოჯახის უფოსის იოსების] ძმის შვილები:

1. ალექსანდრე დავითის ძე – 28 წლის

(უფროსი ძმა დავითი გარდაცვლილია),

2. გრიგოლ (გიგა) დავითის ძე – 22 წლის,

3. თომა დავითის ძე – 20 წლის,

4. დიმიტრი დავითის ძე – 17 წლის,

5. ალექსანდრე აბრამის ძე – 18 წლის,

6. ნიკოლოზ მიხეილის ძე – 16 წლის,

7. დავით მიხეილის ძე – 8 წლის,

8. სტეფანე მიხეილის ძე – 1 წლის,

9. სიმონ (ბასა) ივანეს ძე – 13 წლის,

10. გიორგი (ზაად) ივანეს ძე – 4 წლის,

- 11.ილია ივანეს ძე – 1 წლის,  
 12.სტეფანე ნიკოლოზის ძე – 3 წლის,  
 13. ბესარიონ ნიკოლოზის ძე – 1 წლის,  
 14.სიმონ ევგენის ძე – 5 წლის  
 (ოჯახის უფროსის ძმებს შორის ევგენი არ ჩანს);  
 [ოჯახის უფროსის იოსების] ბიძა: ილარიონ მამუკას ძე –  
 80 წლის;  
 [ოჯახის უფროსის იოსების] ბიძაშვილები:  
 ისაკ ილარიონის ძე – 26 წლის;  
 [ოჯახის უფროსის იოსების] გარე ბიძაშვილის შვილი:  
 გიორგი (იგივე ქარუმ) ისაკის ძე – 6 წლის;  
 [ოჯახის უფროსის იოსების] ცოლი:  
 გაიანე ვასილის ასული – 46 წლის,  
 [ოჯახის უფროსის იოსების] ქალიშვილი:  
 მარიამ იოსების ასული – 10 წლის;  
 [ოჯახის უფროსის იოსების] ძმისშვილი გოგონები:  
 1.ბარბარე დავითის ასული – 15 წლის,  
 2.მართა დავითის ასული – 10 წლის,  
 3.პელაგია არსენის ასული – 16 წლის  
 (არსენი ცოცხალ ძმებ შორის არ ჩანს)  
 4.ბარბარე აბრამის ასული – 1 წლის,  
 5. ელიზავეტა მიხეილის ასული – 14 წლის,  
 6.თეკლე მიხეილის ასული – 11 წლის,  
 7.ანა მიხეილის ასული – 5 წლის,  
 8.ზეინაბ მიხეილის ასული – 3 წლის,  
 9. თეკლა ივანეს ასული – 10 წლის,  
 10. ნატალია ევგენის ასული – 12 წლის,  
 11. თებრონია ნიკოლოზის ასული – 8 წლის,  
 12. ნინო ბიჭიას ასული – 8 თვის;  
 ბიძაშვილის შვილები:  
 1.თებრონია ალექსანდრეს ასული – 6 წლის,  
 2. თებრონია ისაკაის ასული – 1 წლის;  
 რძლები:  
 1.ნინო ივანეს ასული – 42 წლის,  
 2.ეკატერინე გიორგის ასული – 17 წლის,



3. პარასკევა გურგენის ასული – 42 წლის,
4. სოფიო თევდორეს ასული – 39 წლის,
5. თეონა მიხეილის ასული – 31 წლის,
6. ეფემია იოსების ასული – 29 წლის,
7. პარასკევა ანდრიას ასული – 25 წლის,
8. ნატალია ივანეს ასული – 22 წლის,
9. ანასტასია ზაქარიას ასული – 55 წლის,
10. ოლღა იაკობის ასული – 16 წლის,
11. ნინო გრიგოლის ასული – 21 წლის<sup>1</sup>

დიდი ოჯახის წევრთა საშუალო სასკი **20,7 წელი** იყო.

საყურადღებოა, რომ ამ ოჯახის შესახებ ეთნოგრაფიული მასალა მოხმობილი აქვს ეთნოლოგ რუსუდან ხარაძეს, რომელიც გამოუქვეყნებია ჯერ კიდევ 1887 იოსებ ცისკარიშვილს (ი. კახელს) 1887 წელს გაზეთ „ივერიაში“ და შემდეგ თავად ავტორს. სამწუხაროდ, ავტორი ამ გაუყრელ ოჯახს გოგიშილად მოიხსენიებს, თუმცა გვარის ადგილობრივი გამოთქმა „გოგილაანი“ ზუსტად მიუთითებს იმის შესახებ, რომ საქმე სწორედ გოგილაშვილების ოჯახთან გვაქვს. რუსუდან ხარაძის მონაცემებით, გოგილაშვილების გაუყრელი ოჯახი არა 51 სული-საგან შედგებოდა, არამედ 57-საგან. როგორც ჩანს, 1888 წლის შემდეგ დიდი ოჯახის სულთა შემადგენლობა კვლავ გაზრდილა. გოგილაშვილების დიდ ოჯახს საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მთელი „უბანი“ სჭერია, რომელიც მოიცავდა ქვის 12 ერთსართულიან კრამიტით გადახურულ ნაგებობას; თითოეული მათგანი სამი და ოთხო ოთახისაგან შედგებოდა. ყველა ეს ნაგებობა ერთ დიდ ეზოში იყო მოთავსებული. ამ ნაგებობებს გარდა დიდ ოჯახს ჰქონდა აგრეთვე ერთი საერთო სახლი – დარბაზი, სადაც სადილობისა და ვახშმობის დროს მთელი ოჯახი იკრიბებოდა. ოჯახში 25 შრომისუ-

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან.3, საქ. №159, გვ. 182-183, ოჯახის № 301.

ნარიანი მამაკაცი იყო, რომლებიც სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში – ხვნა-თესვაში, მეცხვარეობაში, სარძევე მეურნეობაში, მეღორეობასა და მეცხენეობაში – იყვნენ დასაქმებული. გოგილაშვილების დიდ ოჯახს ჰყოლია 3.000 სული ცხვარი, 600 – ძროხა, 200 – ცხენი, 300 – ღორი. ამას გარდა ოჯახს ჰყოლია ორი გუთნეული (თითოეულში შედიოდა რვა უღელი ხარ-კამენი). ოგილაშვილების ცხრა ძმისა და ბიძაშვილისგან შედგენილი დიდი ოჯახი გაყრილა 1899-1900 წლებში. თავისი არსებობის უკანასკნელ პერიოდში გოგილაშვილების ოჯახი ოთხ სახლში ყოფილა გადანაწილებული: ორ სახლში იმყოფებოდნენ უფროსი პატარძლები თავიანთი ქმრებით, მესამეში – უმცროსი ასაკის წყვილები, მეოთხეში – გოგონები. ოჯახის დიასახლისი ყოფილა ოჯახის უფროსის – იოსების (რომელიც ეთნოგრაფიულ მასალაში ცოცხანას სახელით არის მოხსენიებული) ცოლი, რომელიც მთელი კვირის სამუშაოს რიგს (ე. წ. ნობათს) ადგენდა. ნიშანდობლივია, რომ გაუყრელი ოჯახის კუთვნილი მთელი ფული დიასახლისის ხელში იყო. მთელი კვირის განმავლობაში საკვების მომზადებასა და განაწილებას თვალყურს ადევნებდა სპეციალურად გამოყოფილი ერთ-ერთი ქალი (მენობათე)<sup>1</sup>.

ბევრი გაუყრელი ოჯახი იყო მელაანში, ვაქირში (აქ 30 სული იყო *თევდორე დიმიტრის ძე ვარდიაშვილის* ოჯახში, 28 – *იოსებ თათაეუზის ძე ქემაშვილის* ოჯახში, 18 – *სპირიდონ ქრისტესიას ძე ქემაშვილის* ოჯახში, 16 – *სოლომონ ანდრიას ძე დავითაშვილის* ოჯახში და ა.შ.), ბაკურციხეში (24 სული იყო *იორდან გიორგის ძე თორიაშვილის* ოჯახში), ბოდბე-ზურაბიანში, ფხოველში, ტიბაანში, ცლუნკაანში, ჭერემში (28 სულიანი იყო *ნიკოლოზ დავითის ძე ბარბაქაძის* ოჯახი. 85 წლის ოჯახის უფ-

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ.: P. Харадзе. Грузинская семейная община, I, Тб., 1960, с. 91-92.

როსს 3 ცოცხალი ვაჟი და 17 შვილიშვილი ჰყავდა. 2 ვაჟი გარდაცვლილი იყო).

საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით იყო დიდი ოჯახები სამცხე-ჯავახეთში. ბუნებრივია, შეუძლებელია თითოეულ მათგანზე შეჩერება, მაგრამ ზოგიერთ მათგანზე დირს ყურადღების გამახვილება. ასეთი დიდი ოჯახი არაერთი იყო კათოლიკე ქართველებს შორის. 1886 წელს სოფელ არალში *ანტონ პეტრეს ჩილინგარიშვილის* ოჯახში 31 სული იყო აღრიცხული (17 მამრობითი + 14 მდედრობითი), *პეტრე აფრიაშას ძე ჩილინგარიშვილის* ოჯახში – 33 სული. ამ უკანასკნელი კომლის უფროსი 63 წლის გახლდათ. ოჯახში პეტრესთან ერთად ცხოვრობდა 3 ცოლ-შვილიანი ძმა (ანდრია – 51 წლის, გაბრიელი – 49 წლის, იაკობი – 32 წლის) და მეხუთე გარდაცვლილი ძმის – პავლეს ოჯახი. ე. ი. რეალურად **ერთ ოჯახში თავი ჰქონდა მოყრილი 5 ოჯახს**. ამას ემატება კიდევ მეექვსე ოჯახი – ოჯახის უფროსის პეტრეს ვაჟი, სტეფანეც (31 წლის ცოლ-შვილიანი იყო), რომელსაც ვაჟები – 9 და 7 წლისან – ჰყავდა. მეშვიდე ოჯახი ჰქონდა შექმნილი ოჯახის უფროსის მეორე ვაჟს – სეროფს და მერვე გარდაცვლილი ძმის პავლეს ვაჟს 21 წლის სიმონს. კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: ოჯახის უფროსი პეტრე (63 წლის) ცოლზე ეკატერინეზე (50 წლის) 13 წლით უფროსი იყო<sup>1</sup>.

რამდენიმე დიდი ოჯახი იყო ურაველის საზოგადოების სოფელ ანდრიაწმინდაში. 20-20 სული იყო *პავლე ფიდას შვილ ტაბატაძისა* და *იორდან თომას შვილ ბერიძის* ოჯახებში, 25 – *სოლომონ დიმიტრის შვილ ტაბატაძის* კომლში. არც ერთ ამ კომლში 4 ოჯახზე ნაკლები არ ყოფილა. იმავე საზოგადოების სოფელ ღრელში შეიძლება *საბა თევდორას შვილ იაძისა* და *სოლომონ იოსებას შვილ ნებაძის* დიდი ოჯახების გამოყოფა. პირველ

<sup>1</sup>სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1836, გვ. 121-123.

მათგანში ერთ ჭერქვეშ 24 სული იყო გაერთიანებული, მეორეში – 30. **პირველ ოჯახში 7 პატარა ოჯახი შედიოდა, მეორეში – 8<sup>1</sup>.** აწყურის საზოგადოების სოფელ დგვარში *გოლა ნინიას შვილ გოგოლაძის* (45 წლის) დიდ ოჯახში 30 სული იყო აღრიცხული. გოლას 6 ძმა ჰყავდა, რომელთაგან ინდივიდუალური ოჯახი იმ პერიოდისათვის მხოლოდ 4 მათგანს ჰქონდა შექმნილი. 25 და 24 წლის ძმები დავითი და მიხეილი ჯერ ცოლიანები არ იყვნენ. ცოცხალი იყო ოჯახის უფროსის დედა თეკლე, რომელიც 1886 წელს 72 წლის ასაკისა გახლდათ. სოფელ ზურზელში *გიორგი სტეფანეს შვილ ზედვინიძის* (63 წლის) ოჯახში 30 სული (16 მამრობითი + 14 მდედრობითი) იყო. პირველი რაც გვინდა აღვნიშნოთ ისაა, რომ გიორგის ცოლი მარინე 7 წლით უფროსი იყო ქმარზე (70 წლის). გარდა ოჯახის უფროსისა ცოლ-შვილიანები იყვნენ მისი უფროსი შვილი და სამი ძმა. 35 სულიანი იყო სოფელ მუსხში *ივანე თვედორეს შვილ ივანიძის* ოჯახი (53 წლის). მასთან ერთად წარმოდგენილი იყო 3 ძმის ინდივიდუალური ოჯახი და კიდევ ერთი გარდაცვლილი ძმის ცოლ-შვილი. ოჯახში ცოლ-შვილიანები იყვნენ აგრეთვე გარდაცვლილი ძმის მოსეს შვილები ვასილი და ფილიპე. ამავე სოფელში *თომა გიორგის შვილ მაისურაძის* დიდ ოჯახში საერთო ჯამში **6 ინდივიდუალური ოჯახი იყო გაერთიანებული<sup>2</sup>.** ტაძრისში 25 სულიანი გახლდათ *გიორგი პეტრეს შვილ გოგოლაძის* ოჯახი, შალაშეთში *გიორგი მოსეს შვილ მელიქიძის* ოჯახი კი 27 სულისაგან შედგებოდა, ჭობარეთში *პავლე ივანეს შვილ* ინასარიძისა – 25 სულისაგან, *პეტრე პავლეს შვილ ჯვარიძისა* – 30 სულისაგან. ჯავახეთის სოფელ ქილდაში ამ მხრივ გამორჩეული იყო *პავლე გიორგის*

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1840, გვ. 50-56.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №184, გვ. 70-72.

*შვილ ნადირაძისა და გიორგი სულთანის შვილ მაღრაძის ოჯახები* (შესაბამისად 23 სული და 25 სული).

ქართულ ოჯახში მის წევრთა ურთიერთობებს ტრადიცია განსაზღვრავდა და ის ძირითადად სქესოვრივ-ასაკობრივი ხასიათისა იყო. ოჯახის უფროსი აუცილებლად ასაკით უფროსი მამაკაცი უნდა ყოფილიყო. აღნიშნულს XIX საუკუნის რუსული აღწერებიც ადასტურებს. მაგრამ გამონაკლისებიც იყო. 1860 წელს ქსნის ხეობის სოფელ დაბაკნეთში (თეზელაანში) იყო *სოსიკა შიოს ძე ბაშარულის* გაუყრელი ოჯახი, რომელის 24 სულისაგან (14 მამრ. + 10 მდედრ.) შედგებოდა. ოჯახის უფროსის ასაკი 27 წელი იყო. კომლში იყო აგრეთვე ორი 40 წლის მამაკაცი – სოსიკას ბიძა გლახა და ბიძაშვილი ისე, აგრეთვე მეორე ბიძა – ზაქარია, რომელიც 34 წლის გახლდათ<sup>1</sup>. ეს ოჯახი დაფიქსირებულია 1873 წლის აღწერაშიც. 13 წლის შემდეგ დიდ ოჯახში მცხოვრები მამაკაცების რაოდენობა 6 სულით იყო გაზრდილი და 20 სულისაგან შედგებოდა. ოჯახის უფროსი სოსიკა, რომელიც 40 წლის იყო, 13 წლით იყო გლახაზე დიდი (53 წლის). 52 წლის იყო ბიძაშვილი იასე ბერის ძე. ამ შემთხვევაში ტრადიციის აშკარა დარღვევასთან გვაქვს საქმე. შესაძლებელია ეს ფაქტი ასაკით უფროსი ოჯახის წევრების ავადმყოფობით აიხსნას, ან იმ ფაქტით, რომ თავის დროზე სოსიკას მამა – შიო იყო ოჯახის უფროსი და საოჯახო შეთანხმებით მისი ასაკით უფროსი ვაჟი დატოვეს ამ საპატიო მოვალეობის შესასრულებლად. იმავე ქსნის ხეობაში სოფელ ლომისხევშიც გვექონდა ტრადიციის დარღვევა. ოჯახის უფროსი იყო 35 წლის *ზაქარია ვილიძეს ძე ოდიშვილი*. ამავე კომლში ცხოვრობდა ზაქარიას 40 წლის ბიძაშვილი გლახა სეხნიას ძე, რომელსაც ოთხი ვაჟი ჰყავდა. მეჯუდას ხეობის სათავის სოფელ ისროლისხევის დიდი ოჯახის უფროსი

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 228, გვ. 29, ოჯახის № 14.

ნინიკა შიოს ძე გინტური (50 წლის) ათი წლით უმცროსი იყო თავის ძმა სვიმონზე. კიდევ ერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ 1886 წლის აღწერიდან: ფშავის სოფელ ჩარგალში ოჯახის უფროსს – პაპა თინიბექის ძეს, რომლის ასაკი იყო 35 წელი, ჰყავდა 37 წლის ძმა მწარია და 66 წლის მამა თინიბეგ გამიხარდის ძე<sup>1</sup>. როგორც ჩანს, მამამ სიცოცხლეშივე გადაწყვიტა, თუ რომელი შვილი უნდა ჩასდგომოდა ოჯახს სათავეში.

XIX საუკუნის აღწერის დავთრები საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ არა მხოლოდ ოჯახის შემადგენლობა, არამედ ერთი ოჯახის საშუალო ასაკი. სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები ამ მხრივ ერთგვარ განსხვავებულ სურათს გვაძლევს. ზემოთ ზოგიერთი ოჯახის ასეთი მონაცემები წარმოდგენილი გვქონდა. მოვიყვანოთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების რამდენიმე სოფლის 1886 წლის მონაცემებს.

**ხევსურეთი:** აკუმოში *თოთია ბაბუას ძე ლოქოკელის* (67 წლის) ოჯახში 10 სული იყო აღრიცხული, ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი 29 წელზე მეტი იყო; ბარისახო: *თინიბექ ადიას ძე არაბულის* ოჯახი (6 სული, ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი – 29 წელი); *თორღვა მკელიას ძე არაბული* (50 წლის) (7 სული, საშუალო ასაკი 37 წელი); *კურდღელა ურჯუკას ძე არაბული* (52 წლის) (9 სული, საშუალო ასაკი 24 წელი); გუდან: *ოღინა გამახელას ძე ჭინჭარაულის* (36 წლის) ოჯახი (6 სული, საშუალო ასაკი 27 წელი); სოფელი ბუჩუკურთა: *უთურგა აბშილას ძე გოგოჭური* (31 წლის): 7 სული, საშუალო ასაკი 25 წელი; სოფელი ბლო: *აბა კურდღელას ძე გივაური* (40 წლის): 9 სული, საშუალო ასაკი 23 წელი; სოფელი მუცო: *ქავთარ გიორგის ძე ჭინჭარაული* (60 წლის): 23 სული, საშუალო ასაკი 28 წელი. ამრიგად,

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 1759, გვ. 47-48, ოჯახის № 22.

აქ წარმოდგენილი ხევისურეთის ათი ოჯახის მონაცემებს თუ შევადრებთ, აღმოჩნდება, რომ საქართველოს მთიანეთის ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი თითქმის **29 წელი** (28,9 წელი) იყო.

**თუშეთი.** სოფელი ბუხურთა: *ჩიტურა გიოს ძე ცოცანიძის* (55 წლის) ოჯახი – 10 სული, საშუალო ასაკი – 17 წელი; სოფელი დანო: *გაბრიელ ნებიერის ძე თავებრიძის* ოჯახი – 14 სული, საშუალო ასაკი – 25 წელი; სოფელი ინდურთა: *სოლომონ კვიციანის ძე ქავთარძის* (57 წლის) ოჯახი – 14 სული, საშუალო ასაკი 22 წელი; სოფელი ინდურთა: *ნიკოლოზ ზაქარიას ზე ბურკიძის* (57 წლის) ოჯახი – 8 სული, საშუალო ასაკი 23 წელი; სოფელი ინდურთა: *სიმონ გრიგოლის ძე უშარაულის* (42 წლის) ოჯახი – 10 სული, საშუალო ასაკი 22 წელი; სოფელი ბიქიურთა: *ანტონ თევდორეს ძე ღუღელაურის* (40 წლის) ოჯახი – 10 სული, საშუალო ასაკი 33 წელი; სოფელი ფარსმა: *ვილიპე გიოს ძე აშაძის* (38 წლის) ოჯახი – 10 სული, საშუალო ასაკი 20 წელი; სოფელი ქემელაურთა: *ცოგი შაბდის ძე ბუქურაიძის* (58 წლის) ოჯახი – 11 სული, საშუალო ასაკი 21 წელი; სოფელი კვაველო: *ღვთისაგარ გუდას ძე თილიძის* (40 წლის) ოჯახი – 10 სული, საშუალო ასაკი 21 წელი; 1886 წლის თუშეთის 8 ოჯახის მონაცემებით ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი **23 წელი** იყო.

**ფშავის** მონაცემები ასეთია: სოფელი გოგოლაურთა, *გიორგი თიბელას ძე კინწიშვილის* (100 წლის) ოჯახი – 12 სული, საშუალო ასაკი 32 წელი; სოფელი გომეწარი: *ელიზბარ გოგოლას ძე გოგოლაურის* (58 წლის) ოჯახი – 7 სული, საშუალო ასაკი 27 წელი; სოფელი მათურა: *გეგურა კურდღელას ძე კურდღელაშვილის* (60 წლის) ოჯახი – 16 სული, საშუალო ასაკი 25 წელი; სოფელი ბუჭყინტა: *გამიხარდი როსტომის ძე ქუმსიაშვილის* (47 წლის) ოჯახი – 20 სული, საშუალო ასაკი 37 წელი; სოფელი ვანხევი: *გიორგი გოგიას ძე ხუცურაულის* (76

წლის) ოჯახი – 8 სული, საშუალო ასაკი – 29 წელი; *მამუკა ელიზბარის ძე ხუცურაულის* (58 წლის) ოჯახი – 12 სული, საშუალო ასაკი – 23 წელი; *ჭრელა გიგოლოს ძე ხუცურაულის* (37 წლის) ოჯახი – 11 სული, საშუალო ასაკი – 21 წელი; სოფელი უკანაფშავი: *ქვთარ ბერის ძე არჩემაშვილის* (55 წლის) ოჯახი – 13 სული, საშუალო ასაკი – 30 წელი. 1886 წლის ფშავის 8 ოჯახის მონაცემებით ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი **28 წელი** იყო.

**„ივრის ფშავის“** (ივრის ხეობის სათავე) სოფელი: ბაჩალი: *გიორგი ბეწინას ძე ბეწინაშვილის* (31 წელი) ოჯახი – 13 სული, საშუალო ასაკი 25 წელი; *იოსებ ბერის ძე ელოელიშვილის* (55 წლის) ოჯახი – 19 სული, საშუალო ასაკი – 32 წელი; *გოგილა ბადათერას ძე ახალაურის* (27 წლის) ოჯახი – 8 სული, საშუალო ასაკი – 23 წელი; სოფელი ყვარა: *ჯულურა ჯიდას ძე ნათათრალიშვილის* (56 წლის) ოჯახი – 15 სული, საშუალო ასაკი – 22 წელი. ივრის ფშავში ოჯახის საშუალო ასაკობრივი მაჩვენებელი **25,5 წელი** იყო.

ცალკე უნდა წარმოვადგინოთ **თიანეთის** მხარის მონაცემები. სოფელი ჯიჯეთი: *გივი შიოს ძე სულხანიშვილის* (56 წლის) ოჯახი: 12 სული, საშუალო ასაკი – 22 წელი; *მერმაზან შიოს ძე სულხანიშვილის* (55 წლის) ოჯახი: 11 სული, საშუალო ასაკი – 21 წელი; სოფელი ახალსოფელი (ყოფილი სახასო): *მარმაზან იასეს ძე ტიგინაშვილის* (60 წლის) ოჯახი: 14 სული, საშუალო ასაკი 25 სული; *სიმონ ზურაბის ძე კაციელაშვილის* (50 წლის) ოჯახი – 26 სული, საშუალო ასაკი – 25 წელი; სოფელი თიანეთი: *ნინიკო სოლომონის ძე შიომღვიმელიშვილის* (36 წლის) ოჯახი – 15 სული, საშუალო ასაკი – 20 წელი; *გიორგი თოთიას ზე თურქიაშვილის* (55 წლის) ოჯახი – 14 სული, საშუალო ასაკი 28 წელი; სოფელი მელიასხევი: *იოსებ გიორგის ძე პატაშურის* (33 წლის) ოჯახი – 18 სული, საშუალო ასაკი 21 წელი; სოფელი საკრეჭო: *გიორგი ივანეს ძე ღვინიაშვილის* (46 წლის) ოჯახი – 20 სული, საშუალო ასაკი – 20 წელი; სოფელი კაკმეთი:



თიბელა ივანეს ძე მამადაშვილის (40 წლის) ოჯახი – 10 სული, საშუალო ასაკი – 23 წელი. თიანეთის სოფლების ოჯახების საშუალო ასაკობრივი მაჩვენებელი **23 წელია**.

**ერწო.** სოფელი ნადირაანთხევი/ხევსურთსოფელი: სოლომონ გიორგის ძე ჯამაგიძის (37 წლის) ოჯახი – 19 სული, საშუალო ასაკი – 22 წელი; მათე პეტრეს ძე ჯამაგიძის (49 წლის) ოჯახი – 25 სული, საშუალო ასაკი – 28 წელი; სოფელი ნადოკრა: მათე ივანეს ძე ქავთარაძის (36 წლის) ოჯახი – 14 სული, საშუალო ასაკი – 20 წელი; სოფელი ორხევი: ბერო გლახას ძე ფუნთუშაშვილის (59 წლის) ოჯახი – 21 სული, საშუალო ასაკი – 30 წელი; სოფელი თოღენჯი: გიორგი თევდორეს ძე ბოლაველის (48 წლის) ოჯახი: 13 სული, საშუალო ასაკი – 25 წელი; ბაგრატ ლაზარეს ძე ბუჯიაშვილის (38 წლის) ოჯახი – 14 სული, საშუალო ასაკი – 21 წელი; სოფელი გორანა: ივანე კაციას ძე წამალაშვილის (48 წლის) ოჯახი: 12 სული, საშუალო ასაკი – 18 წელი; პეტრე გიგილას ძე ჯაბანაშვილის (59 წლის) ოჯახი – 12 სული, საშუალო ასაკი – 21 წელი; სოფელი სიმონიანთხევი: მახარე იანეს ძე მოხევიშვილის (38 წლის) ოჯახი – 15 სული, საშუალო ასაკი – 17 წელი; სოფელი ქვემო ნაქალაქარი: პატარკაცი (გიორგი) მამუკას ძე აფციაურის (47 წლის) ოჯახი – 16 სული, საშუალო ასაკი 31 წელი; სოფელი საყდრიონი: შიო გრიგოლის ძე სიმონიშვილის (45 წლის) ოჯახი – 16 სული, საშუალო ასაკი 20 წელი. ამრიგად, ერწოს 11 ოჯახის მონაცემებით, ოჯახის საშუალო ასაკობრივი მაჩვენებელი **23 წელი** იყო.

**კახეთი.** სოფელი მარედისი: ფილიპე თამაზის ძე ტუგუელაშვილის (75 წლის) ოჯახი – 33 სული, საშუალო ასაკი – 18 წელი; თევდორე ნინიას ძე ბერძნიშვილის (45 წლის) ოჯახი – 10 სული, საშუალო ასაკი – 21 წელი; ბერო გიორგის ძე ხოხობაშვილის (55 წლის) ოჯახი – 24 სული, საშუალო ასაკი – 19 წელი; სოფელი ფხოველი: ინაკ ასლანის ძე ვილივაშვილის (45 წლის) ოჯახი – 20 სული, საშუალო ასაკი – 25 წელი; სოფელი ტიბაანი:

*ივანე გურგენის ძე ხატიაშვილის* (47 წლის) ოჯახი, – 20 სული, საშუალო ასაკი – 23 წელი; სოფელი ველისციხე: *გიორგი ნიკოლოზის ძე ხარატიშვილის* (55 წლის) ოჯახი – 16 სული, საშუალო ასაკი – 21 წელი; სოფელი ჯუგაანი: *ლუარსაბ ზაქარიას ძე ალადაშვილის* (45 წლის) ოჯახი – 19 სული, საშუალო ასაკი – 19 წელი; *ნოდარ ნინიას ძე კიკილაშვილის* (80 წლის) ოჯახი – 23 სული, საშუალო ასაკი – 28 წელი; სოფელი კაკაბეთი: *დიმიტრი კიკოს ძე ოტიაშვილის* (52 წლის) ოჯახი – 24 სული, საშუალო ასაკი – 21 წელი; *ისაკ საბას ძე კვეზერლიშვილის* (36 წლის) ოჯახი – 18 სული, საშუალო ასაკი – 19 წელი; სოფელი ვაქირი: *თევდორე დიმიტრის ძე ვარდიაშვილის* (43 წლის) ოჯახი – 30 სული, საშუალო ასაკი – 19 წელი; სოფელი ბაკურციხე: *იორდანე გიორგის ძე თორიაშვილის* (54 წლის) ოჯახი – 24 სული, საშუალო ასაკი – 19 წელი; სოფელი ბოდბე-ზურაბიანი: *გაიოზ (ლაზარე) სოლომონის ძე ტარყაშვილის* (77 წლის) ოჯახი – 23 სული, საშუალო ასაკი – 28 წელი; ზემო მანხიანი: *დიმიტრი სიმონის ძე ნატროშვილის* (49 წლის) ოჯახი – 31 სული, საშუალო ასაკი – 20 წელი; *დავით ნოდარის ძე ჭანაშვილის* (38 წლის) ოჯახი – 20 სული, საშუალო ასაკი – 16 წელი; *ქრისტეფორე გრიგოლის ძე ჭანაშვილის* (48 წლის) ოჯახი – 26 სული, საშუალო ასაკი – 20 წელი; სოფელი მელაანი: *ისაკ პეტრეს ძე დათუაშვილის* (34 წლის) ოჯახი – 12 სული, საშუალო ასაკი – 16 წელი; *მიხეილ ნინიას ძე დათუაშვილის* (60 წლის) ოჯახი – 19 სული, საშუალო ასაკი – 20 წელი; *ზაქარია გიორგის ძე დიდიძის* (45 წლის) ოჯახი – 14 სული, საშუალო ასაკი – 20 წელი; *ზაქარია გიორგის ძე ჭავჭავაძის* (55 წლის) ოჯახი – 19 სული სული, საშუალო ასაკი – 22 წელი.

ამრიგად, 1886 წლის კახეთის 23 ოჯახის მონაცემებით, ოჯახის საშუალო ასაკობრივი მაჩვენებელი **20 წელი** იყო.

**ქართლი.** ზემოთ წარმოდგენილ ქართლის მონაცემებს თუ დავაჯამებთ, მივიღებთ შემდეგ სურათს – ოჯახის წვრთა საშუალო ასაკი **21 წელი** იყო. 1833-1832 და 1842 წლების აღწერის დავთრებით შიდა ქართლში ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი უფრო დაბალი იყო. მაგალითად, სოფელ რუისში *გიგოლო ბერუაშვილის ქვრივის – ბარბარეს* 24 სულიანი ოჯახის საშუალო ასაკი 17,5 იყო, სოფელ წაბლოვანში ეს მაჩვენებელი 18,3 წელს უდრიდა, ზემო ხვითში – 19 წელს, მოხისში – 20,3 წელს.

**სამცხე.** სოფელი არალი: *ანტონ პეტრეს ძე ხილინგარაშვილის* (53 წლის) ოჯახი – 31 სული, საშუალო ასაკი – 20 წელი; *პეტრე აფრიაშის ძე ხილინგარაშვილის* (63 წლის) ოჯახი – 33 სული, საშუალო ასაკი – 22 წელი; სოფელი ანდრიაწმინდა: *პავლე ფიდას შვილი ტაბატაძის* (54 წლის) ოჯახი (რუსულად სამცხეში აღწერილი ოჯახების უფროსები ასე არიან ჩაწერილი: «Павле Пидашвили Табатадзе») – 20 სული, საშუალო ასაკი – 21 წელი; *სოლომონ დიმიტრის ძე ტაბატაძის* (58 წლის) ოჯახი – 25 სული, საშუალო ასაკი – 18 წელი; *იორდანე თომა შვილი ბერიძის* (45 წლის) ოჯახი – 20 სული, საშუალო ასაკი – 17 წელი; სოფელი ღრელი: *საბა თევდორეს შვილი იაძის* (66 წლის) ოჯახი – 24 სული, საშუალო ასაკი – 20 წელი; *სოლომონ იოსების შვილი ნებაძის* (56 წლის) ოჯახი – 30 სული, საშუალო ასაკი – 21 წელი; სოფელი დგვარი: *გოლა ნინიკას შვილი გოგოლაძის* (45 წლის) ოჯახი – 30 სული, საშუალო ასაკი – 21 წელი; სოფელი ზურხელი: *გიორგი სტეფანეს შვილი ზედგინიძის* (63 წლის) ოჯახი – 30 სული, საშუალო ასაკი – 22 წელი; სოფელი მუსხი: *ივანე თევდორეს შვილი ივანიძის* (53 წლის) ოჯახი – 35 სული, საშუალო ასაკი – 20 წელი; *თომა გიორგის შვილი მაისურაძის* (71 წლის) ოჯახი – 27 სული, საშუალო ასაკი – 23 წელი; სოფელი ჭობარეთი: *პავლე ივანეს შვილი ინასარიძის* (63 წლის) ოჯახი – 25 სული, საშუალო ასაკი – 22 წელი; *პეტრე*

პაელეს შილი ჯვარდიის (56 წლის) ოჯახი – 30 სული, საშუალო ასაკი – 24 წელი.

ამრიგად, 1886 წლის სამცხის 13 ოჯახის მონაცემებით, ოჯახის საშუალო ასაკობრივი მაჩვენებელი **20 წელი (19,6)** იყო.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები ოჯახების წევრთა საშუალო ასაკობრივი მაჩვენებლების შესახებ გარკვეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს. ბარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში ის 20-21 წელი იყო, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ქორწინება საკმაოდ ახალგაზრდულ ასაკში ხდებოდა, განსაკუთრებით ეს ითქმის ქალებზე; მათი ძირითადი ნაწილი 14-15 წლის ასაკში თხოვდებოდა. შესაბამისად, ოჯახები მრავალშვილიანი იყო. რაც შეეხება მთიან რეგიონებს, აქ განსაკუთრებულ შემთხვევებთან გვქონდა საქმე. ხევსურეთში ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი 29 წელი იყო. როგორც კაცები, ისე ქალები საკმაოდ გვიან ქორწინდებოდნენ. ეს კი უკვე გამორიცხავდა მრავალშვილიანობას (საშუალოდ შვიდი-ათი შვილი), თუმცა აქ საშუალოდ ოთხი შვილი მაინც ჰყავდათ. ოდნავ უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდათ ფშავის მკვიდრებს – აქ ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი ხევსურეთზე ერთი წლით ნაკლები იყო და ის 28 წლით განისაზღვრებოდა. უფრო ახალგაზრდული იყო „ივრის ფშავის“ მკვიდრთა ოჯახები (25,5 წელი), რაც ბართან უფრო სიახლოვითა და ინტეგრაციული პროცესებით უნდა აიხსნას. „ივრის ფშავში“ ბართან სიახლოვისა და ინტეგრაციის, აგრეთვე გადარეკვითი მეცხვარეობის განვითარების შედეგი იყო ბევრი დიდი, გაუყრელი ოჯახის არსებობაც. ფაქტობრივად ქართლისა და კახეთის მაჩვენებელთან ახლოს იდგა ერწო-თიანეთის ოჯახი (გაუყრელი ოჯახები) ოჯახის წევრთა საშუალო ასაკობრივი მაჩვენებელი (23 წელი). რაც შეეხება მთიანეთის ისეთ მხარეს როგორცაა თუშეთი, აქ ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი 23 წელი იყო. ხევსურეთთან და ფშავთან შედარებით, თუშეთის ოჯახის ახალგაზრდული

მანვევენებელი ბართან გაძლიერებული ინტეგრაციისა და გადარეკვითი მეცხვარეობის მაღალ დონეზე არსებობის შედეგი უნდა იყოს. მეზობელი მთიანი მხარეებისაგან განსხვავებით, აქ უფრო ახალგაზრდულ ასაკში ქორწინდებოდნენ. თუშეთში დიდი ოჯახებიც არსებობდა, თუმცა არა ისეთი კლასიკური ტიპის გაუყრელი ოჯახები, როგორც ქართლსა და კახეთში.

დიდი ოჯახი ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში კარგადაა შესწავლილი. მეცნიერები მას „საოჯახო თემს“ უწოდებდნენ და უკავშირებდნენ გვაროვნულ თემს; მიაჩნდათ, რომ ეს იყო ერთგვარი გადმონაშთი კლასობრიობამდელი საზოგადოებისა. თუმცა აღნიშნული შეხედულების საპირისპიროდ წარმოიქმნა მეორე, თანაც უკიდურესი შეხედულება, რომ დიდი ოჯახები ტრადიციული არ იყო და ისინი მხოლოდ XIX საუკუნეში წარმოიქმნა საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების შედეგად, რადგან გაუყრელ ოჯახში მრავალი შრომისუნარიანი ადამიანის ერთად ცხოვრება ხელს უწყობდა ქონების უფრო მეტად დაგროვებას. პირველი შეხედულების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ თუ კლასობრიობამდელი საზოგადოების გადმონაშთი იყო დიდი ანუ საოჯახო თემი, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ის მთიან რეგიონებში უნდა ყოფილიყო, განსაკუთრებით ყველაზე კონსერვატულ ხევსურეთში. ზემოთ მოყვანილი იქნა სათანადო მონაცემები იმის შესახებაც, რომ დიდი ოჯახები არსებობდა XVIII საუკუნის საქართველოშიც; ეს კი ის დროა, როდესაც საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობები ჯერ განვითარებული არ იყო. მადუნად, ქართულ დიდ, გაუყრელ ოჯახს არც პირველყოფილ საზოგადოებასთან ჰქონდა კავშირი და არც კაპიტალისტურთან. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შენიშნეს, რომ დიდ ოჯახს პატარა ანუ ინდივიდუალურ ოჯახთან ჰქონდა ეკონომიკური უპირატესობა (ი. ცისკარაშვილი). შესაბამისად, არ იყო მიზანშეწონილი დიდი ოჯახისათ-

ვის „საოჯახო თემად“ მოხსენიება და აქედან გამომდინარე, ის არც გადმონაშთს წარმოადგენდა.

კიდევ ერთი გარემოების შესახებ. შემორჩენილი აღწერის დავთრების მიხედვით, მართალია, XVIII საუკუნეში კახეთში არსებობდა დიდი ოჯახები, მაგრამ მათი ხვედრითი წილი, ინდივიდუალურ ოჯახებთან შედარებით, მცირე იყო. ეს ფაქტი კი განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ კახეთში მკვიდრი მოსახლეობა ფაქტობრივად უმნიშვნელო რაოდენობით იყო შემორჩენილი; ამ დროს ხდებოდა კახეთის ხელახალი მოშენება საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონებიდან გადმოსახლებულთა ხარჯზე. აშკარად უფრო მეტი გაუყრელი ოჯახები კი იქ გვქონდა, სადაც ძველი მოსახლეობა აგრძელებდა ცხოვრებას, სადაც საგარეო ფაქტორის გამო, დემოგრაფიული რყევები შედარებით ნაკლებად ხდებოდა. კახეთში მოსახლეობის მომრავლებისა და დემოგრაფიული სტაბილიზაციის შემდეგ თანდათან იმატა დიდი ოჯახების რაოდენობამაც, რაც კაპიტალისტური ფაქტორით ნამდვილად არ ყოფილა განპირობებული. ჩვეულებრივ გლეხი კარგად აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ გაუყრელად ცხოვრებას გარკვეული ეკონომიკური უპირატესობა გააჩნდა პატარა ანუ ინდივიდუალურ ოჯახებთან შედარებით. თანაც, ბუნებრივია, აქტიურად მოქმედებდა ტრადიციული ფაქტორიც. აშკარაა, რომ საქართველოში მრავალრიცხოვანი დიდი ოჯახები არსებობდა იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, სადაც ნაყოფიერი მიწები დიდი რაოდენობით იყო, ხოლო მთიან და ვიწრო ხევებიან რეგიონებში მათი რაოდენობა შეზღუდული და დიდი ოჯახები არც ისეთი მრავალრიცხოვანი იყო. როგორც რუსუდან ხარაძემ გაარკვია, ზუსტად ანალოგიური სიტუაცია ყოფილა სხვაგანაც, მაგალითად ხორვატიაში<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> P. Харадзе. Грузинская семейная община, II, Тб., 1961, с. 8.

XIX საუკუნის აღწერის დავთრებში ინდივიდუალური ოჯახების, ხშირად არანათესაეების, შეყრის ფაქტებიცაა დადასტურებული. ოჯახების შეყრის მიზანი ეკონომიკური იყო, მეტი მუშახელი მეტი მოსავლისა და ხვავის გარანტია იყო. ეს ტრადიცია, როგორც ჩანს, XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა. ერთი ასეთი ფაქტი 1859 წლის თელავის მაზრის სოფელ *ახატელის* აღწერაშიც არის დაფიქსირებული. აქ *საბა ბოჭოიძეს* ასეთი მინაწერი აქვს: „ძმათ შესულნი ამასთან გლეხნი *იოანე მამუკას ძე გოცირიძე* და მისი ძმა – *გიორგი*“<sup>1</sup>. 1873 წლის აღწერაში ერწოს სოფელ *ზემო ნაქალაქარში* დაფიქსირებულია „ძმათშეყრილი ოჯახები“. *შალვა ბენას ძე ბექაურის* (39 წლისას) ოჯახს შეყრია *ბერი ბიასლანის ძე ბექაური* (42 წლისა), რომლებიც, როგორც ჩანს, ბიძაშვილები იყვნენ. ამასთანავე შალვასთან გარდაცვლილი ძმის ორი შვილიც ცხოვრობდა<sup>2</sup>. ამავე სოფელში 61 წლის *გიორგი ავთანდილის ძე პატაშურს* შეყრია 48 წლის *ხიზანა ბერის ძე პატაშური*. გიორგის მემკვიდრე არ უჩანს (ქალიშვილი მემკვიდრედ არ ითვლებოდა), რამაც, როგორც ჩანს, ბიძაშვილის შეყრა განაპირობა. 1830-1831 წლის აღწერით ჭართლის სოფელ *დოლასქედში* *ნინია სიჯანაშვილის* ოჯახში, რომელიც 30 სულისაგან შედგებოდა, შეყრილი იყო თავისი ოჯახით *თამაზ სიჯანაშვილი*<sup>3</sup>. ერთი ასეთი ოჯახი მეზობელ სოფელ *დგნალშიც* არსებობდა – ერთ ოჯახად ორი სხვადასხვა გვარის – *მიხეილ ძიაკაშვილი* და *გოგია თლოშიაური* – ოჯახები იყვნენ შეყრილი<sup>4</sup>.

ცნობილია, რომ გვიან შუა საუკუნეებში საქართველოში ხდებოდა ოჯახების შეყრა. ერთმანეთთან ხდებოდა არა მხოლოდ ნათესაეების, ძმა-ბიძაშვილების შეყრა,

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 2126, გვ. 335.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 169, გვ. 20-29.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 1245, გვ. 522.

<sup>4</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 1245, გვ. 537.

არამედ არანათესავეებისაც. 1720 წლის ძმათ-შეყრის საბუთში ვკითხულობთ: „... ესე უკუნისამდე ჟამთა და დროთა გასათავებელი პირი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ბრმაგიორგიშვილებმა ოთარამ და ესტატე შენ, ჩვენს ძმასა და სახლის კაცს მექანარის-შვილს ნასყიდას და ქიტესას; – ასე რომ, ძმათ შაგიყარეთ და ჩვენი მამული გაგიერთეთ და საძმოთ დავდევით მინდორში თუ კარზე, მთასა თუ ბარსა“<sup>1</sup>. ასეთი „შეყრილობის წიგნები“ არა ერთი და ორია შემორჩენილი. ისინი დგებოდა როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ოჯახებს შორის, აგრეთვე ადრე გაყრილ ოჯახებს შორის, რომელთა ადრინდელი ერთობის აღდგენა ეკონომიკური მდგრადობას უზრუნველყოფდა. შეყარა ხდებოდა არა მხოლოდ გლეხური, არამედ თავადაზნაურული ოჯახებისაც. აგალითად 1735 წელს ადრე გაყრილი ჯავახიშვილები ისევ შეყრილან: „ასე რომე მამა ჩვენი და პაპა ჩვენი გაყრილიყვნენ. ჩვენ ყმაწვილები ვიყავით ერთმანეთის მტრობით და ქიშპობით მტერი მოგვერია, ოჯახიც დაგვიმცირდა და ყოველმა კაცმა ჩვენი დაჩაგვრა მოინდომა. ამასაც რომ ღონე აღარ ჰქონდა, თავი აღარ დაგვიდგა. ესლა ჩვენც ეს საქმე დავინახეთ და ერთმანეთის სახლისკაცობა მოვინდომეთ და შევიყარენით, ეს ფიცი და პირი დავდევით და ძმათ და სახლიკაცად შევიყარენით“<sup>2</sup>. 1778 წელს ერთმანეთს შეყრიან ადრე დაშორებული გოსტაშაბიშვილები – „ახლა ჩვენ ერთმანეთის სიყვარულით მოვინდომეთ ძმათ შეყრა და ერთად ყოფნა“<sup>3</sup>.

პატარა ოჯახების შეყრის ფაქტებს ყურადღება მიაქცია ივანე ჯავახიშვილმა და საამისოდ ქართული წე-

---

<sup>1</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 188.

<sup>2</sup> მითითებულია წიგნიდან: P. Харадзе. Грузинская семейная община, I, Тб., 1960, с. 35.

<sup>3</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 97-99.



რილობითი დოკუმენტებიც საკმაო რაოდენობით შემოგვთავაზა. აშკარაა, რომ ადრე, წინა თაობაში გაყრილი ოჯახები ისევ ერთდებოდნენ. რა თქმა უნდა, შეყრა, გაერთიანება პრაქტიკული მოსაზრებებით ხდებოდა. ერთ-ერთ შეყრილობის წიგნში ეს პირდაპირაა ნათქვამი: „ტფილისის აოხრების შემდგომ ჩემმა ძმამ ყიზლართგან ჩემი რძალი გამოისყიდა და მე იმის ჩამოსაყვანად ყიზლარში წავედი და ჩამოვიყვანე. თუმცა მე და ჩემი ძმა და რძალი გაყრილები ვიყავით და ცალ-ცალკე ვცხოვრობდით, მაგრამ ჩვენი საერთო კეთილდღეობის გულისათვის ერთ ოჯახად შევიყარენით. ჩვენ უნდა ერთი ერთმანართს ვუშველოთ, ვიმუშაოთ და ვაჭრობა ვაწარმოვოთ და ყველაფერი გავაკეთოთ, რაც ჩვენი სახლისათვის სასარგებლო იქნება და ჩვენ შორის სიტყვები „ჩემია“ და „შენია“ არ უნდა იყოს, არამედ ყველაფერი რაც გვაქვს და რაც გვექნება, ყველას თანასწორ წილად უნდა გვეკუთვნოდეს“<sup>1</sup>. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: შეყრას ხშირად „ძმათ შეყრას“ და შეყრის შემდეგ უკვე დაშორებული ბიძაშვილები ერთმანეთს ძმებს უწოდებენ. 1777 წლის შეყრილობის წიგნი: „ეს წიგნი მოგართვი მე ელიზბარ სოლოლაშვილმა ქაიხოსროს შვილმა შენ, ნათესავსა ჩემსა, ხოლო დღეითგან ძმასა ჩემსა შიომს სოლოლაშვილსა. ... თქვენი დიდი სიყვარული მქონდა და მაქვს იმიტომ-კი არა, რომ ნათესავები ვართ, არამედ იმიტომ რომ ნებითა ღვთისათა შევეერთდით თითქოს ერთი მამისა და ერთი დედისა შვილები ვყოფილიყავით: შენ შენი შვილებით ერთი ძმა ხარ, მე კი მეორე ძმა ... რაც გვაბადია და მომავალშიც გვექნება ჩვენ თანასწორად უნდა გვეკუთვნოდეს და ყველაფერი უნდა საერთო შეთანხმებით გავაკეთოთ და გადავწყვიტოთ ხოლმე და

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI, თბ., გვ. 143.

**რასაც შევიძენთ, საერთო უნდა იყოს**<sup>1</sup>. ივანე ჯავახიშვილი იმაზედაც ამახვილებს ყურადღებას, რომ გლეხური ოჯახების შეყრა XX საუკუნის 20-იან წლებშიც ხდებოდა. მისთვის ასეთი დოკუმენტი გიორგი ჩიტაიას გადაუცია, რომელიც შიდა ქართლის სოფელ გრაკალიდან ჩამოუტანია.

1886 წლის საოჯახო სიებში დაფიქსირებულია ამოწვევტილი კომლებიც. ზოგჯერ ასეთი ამოწვევტილი კომლი არც თუ ისე მცირე რაოდენობითაა, მაგალითად, ახმეტაში ასეთი ამოწვევტილი კომლი 20 იყო<sup>2</sup>. ამავე პერიოდში აქვე ძალიან ბევრი მიგრირებულიც იყო. თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ახმეტასა და მის მიმდებარე სოფლებში სჭარბობდნენ მთიდან ჩამოსახლებულები, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ინტენსიური იყო მოსახლეობის მიგრაცია დასავლეთ საქართველოდან – ზემო იმერეთი, ლეჩხუმი. ეს მიგრირებულები, რომელთა საერთო რაოდენობა 56 კომლი იყო, აღწერის დავთარში „დროებით მცხოვრებლებად“ არიან ჩაწერილი. შაყურადღებოა, რომ დასავლეთ საქართველოდან ყველა გადმოსახლებული აღწერის დავთრებში იმერლებად/იმერეთიდან გადმოსახლებულადაა მიჩნეული. როგორც ჩანს, XIX საუკუნეში ხალხში არსებული ტრადიცია დასავლეთ საქართველოს ყველა მკვიდრის იმერელად მიჩნევის შესახებ კვლავ ძალაში იყო.

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI, თბ., 1982, გვ. 142.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1727.

### თავი III. საქართველოში პიროვნული სახელების რქმევის ერთი ტრადიციის შესახებ

XIX საუკუნის აღწერის დავთრებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული გვარსახელებისა და პიროვნული სახელების შესასწავლად. ხშირად ამა თუ იმ გვარის წარმომადგენლებს ადრინდელი გვარიც აქვთ მიწერილი, რა თქმა უნდა, თუ ასეთი გააჩნდათ. მხოლოდ ერთი მაგალითის მოყვანით დაგვამაყოფილდებით. ეთნოგრაფიული მასალებით თიანეთში მცხოვრები გონჯილაშვილების, პატურაშვილების, მექვაბიშვილების, კახოშვილების ადრინდელი გვარი სისაური იყო. აღნიშნული გვარების ადრინდელი გვარი (სისაური) XIX საუკუნის აღწერის დავთრებშიცაა ფიქსირებული, მაგალითად, 1873 წლის აღწერაში<sup>1</sup>.

თვალყურის გადავინება შეიძლება პიროვნულ სახელებზედაც. კანონიზებულ ქრისტიანულ სახელებთან ერთად კვლავ პოპულარული იყო ძველი ქართული გამჭვირვალე სახელები. ამ თვალსაზრისით, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს გარკვეული თავისებურებები ახასიათებდა: *ამნათი, ახალა, ბერი, ბეწუნა, ბოსელა, ბუთხუზა, გამიხარდი, ვლახა, გონიერა, დაბალი, დათვია, დიდება, ვაჟიკა, ვეფხვია, თავუა, თავბერა, თეთრა, თვარელა, თითბერა, თურქა, იანვარა, იმედა, ირემა, კაკალა, კაციელი, კაცურა, კუნწულა, კურდღელა, ლაშქარა, ლევა, ლეკვია, ლეკია, ლომია, ლომკაცი, მაისა, მამანი, მამისთვალა, მამისიმედი, მამისწვერა, მარტა, მახარე, მაღალა, მაყვალო, მაჭარა, მეელა, მეგრელი, მემცხვარე, მემველი, მთვარელა, მოკლია, მყვირალი, მწარია, მჭედელა, ნასყიდა, ნებიერი, ნემსა, ნისლაური, ობოლა, ოქროპირი,*

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 177, გვ. 59-108.

პატარა, პირქუში, რუხია, საბრალო, სამება, სიხარულა, ტირილა, ტუხა, უგუნურა, უმცროსა, უფლისა, უგუნურ, უშიშა, უჭკუა, ფიცხელა, ფოთოლა, ფოცხვერა, ფშაველა, ქება, ქორია, ქურციკა, ღვთისავარ, ღვინია, ყვირილა, შავთვალა, შიშია, შოშია, შუღლია, ჩერქეზი, ჩქარია, ცისკარა, ცისმარა, ციხელა, ცოტუა, ცქიფი, ძაღლია/ძაღლიკა, წამალა, ჭაბუკა, ჭრელა, ჭუკია, ხალია, ხარია, ხარება, ხატია, ხატისო, ხევსურა (ფშავეში), ხელა, ხოხობა, ხმელა, ხუმარა, ჯიქურა, ჯიხუა... ყველა ეს სახელი მამაკაცისაა, რომლებიც ძირითადად მთასა და მთისწინეთში იყო გავრცელებული. ქართლისა და კახეთის ბარში კი მხოლოდ მკაცრად რეგლამენტირებული კანონიზებული ქრისტიანული სახელები ერქვათ. 1886 წლის საოჯახო სიებში ფშავეში პიროვნებები ორი სახელით არიან ჩაწერილი. მაგალითად ივრის ხეობის სათავეში სოფელ *კორსავეში* ოჯახის უფროსს *იმედა ლომიას ძე ლომიშვილს* 5 ვაჟი ჰყავდა და ხუთივეს ორი სახელი ერქვა: გოგია-ივანე, ჭრელა-ლუარსაბ, ქუმელა-პავლე, შუშანა-ანტონ<sup>1</sup>.

ტრადიცია იყო გვარსახელის პიროვნულ სახელად გამოყენებისა. საამისო მონაცემები ქვემოთ საკმაოდაა წარმოდგენილი, მაგალითად, მიქელაძე მიქელაძე, მარაულ მარაული, გიგაურა გიგაური და ა. შ. ქვემოთ წარმოდგენილ სია გვიჩვენებს თუ რამდენად ტრადიციული იყო ამა თუ იმ გვარში ის სახელები, რომლებიც თავის დროზე ამ გვარებს დაედო საფუძვლად, მაგალითად, მაცა მამაცაშვილი, მასურა მაისურაძე...

XIX საუკუნის აღწერის დავთრებიდან ამონაწერები არაერთი სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველიცაა, კერძოდ, ამ პერიოდიდან ქართველ ხალხში ვრცელდება ისეთი ანთროპონიმები, რომლებიც ადრე მათთვის უცნობი იყო ან იშვიათად ხდებოდა მათი გამოყენება. მხედველობაში გვაქვს რუსეთის მართლამიდებელი ეკლესიის გავლენით შემოსული პიროვნული სახელები.

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 254, ან. 3. საქ. № 1742, გვ. 20.

ასეთ სახელთა შორის შეიძლება დავასახელოთ: ვასილი, სტეფანე, იგორ, ვლადიმერ, ოლდა...

**1831 – თბილისის მაზრა**

ამირან ამირანაშვილი  
არჯევან არჯევანიძე  
ბაქრაძე ბაქრაძე  
ბერიძე ბერიძიშვილი  
გერმან გერმანოზიშვილი  
ვარსიმ ვარსიმაშვილი  
თამაზ თამაზაშვილი  
თედია თედიაშვილი  
ივანე ივანიშვილი  
ლაზარ ლაზარაშვილი  
მამუჩი მამუჩაშვილი  
მასურა მაისურაძე  
პაატა პაატაშვილი  
სულხან სულხანიშვილი  
ფარსადან ფარსადანიშვილი  
ქაიხოსრო ქაიხოსროშვილი  
ღვთისაგარ ღვთისიაშვილი  
ჭემშარიტა ჭემშარიტაშვილი

**1843 – თბილისის მაზრა**

აბრამ აბრამაშვილი  
აზრაკაძე აზრაკაძე  
მიქელაძე მიქელაძე  
ქურუსულ ქურუსულიშვილი

**1818 – თბილისის მაზრა)**

აბიათარ აბიათარიშვილი  
აბრამ აბრამაშვილი  
აზარია აზარიშვილი  
დავით დათუკიშვილი  
დათუა დათუაშვილი  
დიმიტრი დიმიტრაშვილი  
დრეიძე დრეიძიშვილი  
თამაზ თამაზაშვილი  
ზაალ ზაალიშვილი  
ივანე ივანიშვილი

იორდან იორდანიშვილი  
კიტუა კიტუაშვილი  
კორღალიძე კორღალიძე  
ლაზარე ლაზარაშვილი  
მათურელ მათურელი  
მარაულ მარაულიშვილი  
მასურა მაისურაძე  
ნადირა ნადირაშვილი  
ონოფრე ონოფრიშვილი  
როსტომ როსტომაშვილი  
სამუკა სამუკაშვილი  
სულხან სულხანიშვილი  
ქარაულ ქარაული  
ხომიზურ ხომიზური

**1873 – სიღნაღის მაზრა**

ბადურიძე ბადურაშვილი  
ბეგლარ (ბეგა) ბეგაშვილი  
ცისკარა ცისკარაშვილი

**1873 – თიანეთის მაზრა**

არჩემა არჩმაშვილი  
ბაჭყურა ბაჭყურაშვილი  
ბეწინა ბეწინაშვილი  
ბულაღა ბულაღაშვილი  
გაბიდაურ გაბიტაშვილი  
თავაჭინა თავაჭინაშვილი  
გამახარე გამახარეშვილი  
თინიბექ თინიბექიშვილი  
კარატიელ კარატიელი  
კვირიკა კვირიკაშვილი  
ლაგაზა ლაგაზაშვილი  
მამსიკა მამსიკაშვილი  
მგელა მგელაშვილი  
მარაულ მარაული  
მანურა მანურიშვილი  
მჭედელა მჭედელიშვილი

ოთარ ოთარაშვილი  
რუხია რუხიაშვილი  
სალირა სალირაშვილი  
სისოურ სისოური  
ქაა ქააძე  
შალვა შალვაშვილი  
ჩეკურა ჩეკურაშვილი  
ჩერქეზა ჩერქეზიშვილი  
ჩხუტია ჩხუტიაშვილი  
ციხია ციხიაშვილი  
წიკლაურ წიკლაური  
ჭრელა ჭრელაშვილი  
ჭუჭა ჭუჭაშვილი  
ხადულა ხადულაშვილი  
ხარება ხარებაშვილი  
ხუცურა ხუცურაული  
ჯანგირა ჯანგირაშვილი  
ჯელა ჯელაური  
ჯიმშიტა ჯიმშიტაშვილი

**1873 – თელავის მაზრა**

ბაბხო ბაბხიშვილი  
ბედო ბედოძე  
გიგაურა გიგაური  
დიდება დიდებაშვილი  
იღო იდიძე  
ფარსადან ფარსადანიშვილი  
ქავთარა ქავთარაძე  
ცოცხალა ცოცხალაშვილი  
წოწკურა წოწკოლაური  
ხოსიკ ხოსიკაური

**1843 – თიანეთის მაზრა**

ბახტურ ბახტურიძე  
ბუთხუზი ბუთხუზი  
გარშაული გარშაული  
დულუხაურ დულუხაური  
ვეშაგურ ვეშაგური  
ზარიძე ზარიძე  
თადიაურ თადიაურიშვილი

თევდორე თევდორიძე  
კლიტაურ კლიტაური  
მცხეთელაძე მცხეთელაძე  
სააკაძე სააკაძე  
ტუშურ ტუშური  
ხამხაძე ხამხაძე  
ხოსრო ხოსროშვილი

**1814 – ქსნისა და ლიახვის ხეობა.**

ბალხამა ბალხამაშვილი  
ბასილა ბასილაშვილი  
ბექაურ ბექაური  
გავროზა გავროზაშვილი  
გიუნა გიუნაშვილი  
ლოთე ლოთეშვილი  
ჩერქეზ ჩერქეზაშვილი

**1843 – დუშეთის მაზრა.**

აბრამ აბრამიშვილი  
ბათურ ბათურაშვილი  
ბერო ბერუაშვილი  
ბიძინა ბიძინაშვილი  
ბუწანკალურ ბუწანკალური  
გაგელა გაგელიძე  
გონჯილა გონჯილაშვილი  
გულა გულაშვილი  
იგრიაულ იგრიაშვილი  
ზარიძე ზარიძიშვილი  
თევდორე თევდორეშვილი  
მათურელ მათურელი  
მამსიკა მამსიკაშვილი  
მამუკა შავმამუკაშვილი  
მარაულ მარაული  
მანურ მანურიშვილი  
მანატელ მანატელაშვილი  
ნადიბაძე ნადიბაძე  
ნადირ ნადირაშვილი  
სისაურ სისაური

სულხან სულხანიშვილი  
ქინქლაძე ქინქლაძე  
ქისტაურ ქისტაური  
შერმაზან შერმაზანაშვილი  
შავერდა შავერდაშვილი  
შათირ შათირიშვილი  
შიო შიომღვიმელი  
ჩეკურ ჩეკურაშვილი  
ჭონქაძე ჭინქაძე  
ხარიტონ ხარიტონაშვილი  
ხუცურა ხუცურაული

**1873 – თიანეთის მაზრა**

ბასილა ბასილაშვილი  
ბუღალა ბუღალაშვილი  
თეთრაულ თეთრაული  
ნარიმან ნარიმანიშვილი  
ოქრუა ოქრუაშვილი  
პატარა პატარაშვილი  
ჩოკიანი ჩოკიანიშვილი  
ხოსიკი ხოსიკაური  
ხუზაურ ხუზაური

**XVIII ს. I მეოთხედი**

ბანცური ბანცური-  
გოშფარა გოშფარაშვილი  
გურამა გურამიშვილი  
დავითა დავითაშვილი  
დემეტრე დემეტრეშვილი  
ელიზბარა ელიზბარაშვილი  
ზაზუტა ზაზუტაშვილი  
ნანიტო ნანიტაშვილი  
ონანა ონანაშვილი  
სადირი სადირიშვილი  
სიბუა სიბოშვილი  
წითური წითურიშვილი  
ხიზანა ხიზანაშვილი  
ჯამარი ჯამარაული  
ჯაშია ჯაშიაშვილი

**1781 არაგვის ხეობა**

ამირიძე ამირიძე  
ოქროპირი ოქროპირიშვილი  
პარაშური პატაშური  
ჩრდილელი  
ჩრდილელიშვილი  
ჯანგირა ჯანგირაშვილი  
ჯერმიზა ჯერმიზაშვილი

**1774 ქსნის ხეობა**

ბუთხუზი ბუთხუზი  
ბუნტური ბუნტური  
ზარიძე ზარიძე  
კაიშაურ კაიშაური  
პავლია პავლიაშვილი(2)  
პოვლეური პოვლეური  
ფსუტურ ფსუტური  
ხრიკელი ხრიკელი

**1715 რუისის სამწყსო**

ბერი ბერუკაშვილი  
ბეჟუა ბეჟანაშვილი  
გივი გივიშვილი  
გოშფარ გოშფარაშვილი  
გულისა გულისაშვილი  
დემეტრა დემეტრაშვილი  
ივანე ივანაშვილი  
მამაცა მამაცაშვილი  
მასურა მაისურაძე  
მკერვალი მკერვალიშვილი  
ნადირა ნადირაშვილი  
ოქრუა ოქრუაძე  
შოშიტა შოშიაშვილი  
ძმათა ძმათაშვილი

**1801 კახეთი**

ბაია ბაიაშვილი  
თევდორე თევდორაშვილი2  
კახა კახაშვილი

მასურა მასსურაძე  
მახატელი მახატელი  
ნასყიდა ნასყიდაშვილი  
რაზომა რაზომაშვილი  
რუსია რუსიაშვილი  
ქინქლაძე ქინქლაძე  
ქუფრია ქუფრიაშვილი  
შოშია შოშიაშვილი  
ჩეკური ჩეკურიშვილი  
ჩუგო ჩუგოშვილი  
ხარება ხარებაშვილი  
ხომიზური ხომიზურიშვილი  
ხუცურა ხუცურაული  
ჯიმშიტა ჯიმშიტაშვილი

#### **1842 საეკლესიო**

მაისურაძე მაისურაძე (საგა-  
რეჯო)

#### **1860 დუშეთის უნასტკა**

ბუჩუკურ ბუჩუკური  
გულა გულაშვილი  
გულბათა გულბათაშვილი  
ლაგაზ ლაგაზიშვილი  
ოქროპირ ოქრუაშვილი  
ოქრო ოქროპირაშვილი  
სისაურ სისაურიშვილი  
ფოცხვერა ფოცხვერაშვილი  
ცოცხალა ცოცხალაშვილი  
წიკლაურ წიკლაური  
ხულუზაურ ხულუზაური

ხორხელა ხარხელაური (სო-  
ფელ ხორხში ასეთი იყო სა-  
მი კაცი)

#### **1821 ანანურის მაზრა**

ბალხამა ბალხამაშვილი  
ბასილ ბასილიძე  
ბერიანიძე ბერიანიძე  
ბერიძე ბერიძე  
გაბიდაურ გაბიდაური  
გიგაურ გიგაური (2 კაცი,  
სხვა სოფელში)  
გულბათა გულბათაშვილი  
გულა გულაშვილი  
თაბორი თაბორიძე  
კობაურ კობაური  
ლოთე ლოთიშვილი  
მაჭარაულ მაჭარაშვილი 2  
კაცი, სხვა სოფელი  
მილაძე მილაძე  
მორბელა მორბელაძე (3 კაცი)  
ნიაურ ნიაური  
სარაული სარაული  
სისოური სისაური  
ფრიდონა ფრიდონაშვილი  
ქარჩაიძე ქარჩაიძე  
ქისტაურ ქისტაური  
შარმადინ შერმადინი  
ჭარელო ჭარელიშვილი  
ჭონქაძე ჭონქაძე





ISBN: 978-9941-490-52-1



9 789941 490521